# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 29 მარტი 2000 №57 (1079) | ფასი 50 თეთრი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხურცილავა რუსებს ელის

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საფრანგეთში გამგზავრებამდე რუს თანატოლებთან ითამაშებს

## შოთა არველაძეს ზაფხულიდან ახალი მწვრთნელი ეყოლება




მომავალი სეზონიდან „აიაქსს“ კო ადრიანსე გაწვრთნის

## ხაშია თუ ფეხბურთი?

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირ ტრანსლაციას ევროპელები ლოგინში იხილავენ

## ფიფა მსოფლიოს აწესრიგებს

FIFA

ოთხი წელიც და... 2004 წლიდან, ალბათ, საერთაშორისო ჰარმონიული კალენდარიც გვექნება

## ლუის—რუისი?

დონ კინგმა ლენოქს ლუისს უჩივლა

# ებრაელებს თაფლობის თვე გაუტკბათ

## რუსების მერე საქართველოს ნაკრების შერცხვენასაც აპირებენ

დღეს საქართველოს ნაკრები თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ისრაელის ეროვნულ გუნდს აშქელონში ჩვენი დროით 8 საათზე ეთამაშება. დიახ, თითქმის უძლიერესი შემადგენლობით, რადგან მწვრთნელისთვის სასურველ ფეხბურთელთაგან ნაკრებს მხოლოდ ზაზა ჯანაშია აკლია. დანარჩენები ძოძუაშვილისა და ყიფიანის განკარგულებაში არიან და გუშინ აშქელონის „სილას“ 10-ათასიან სტადიონზე 40 წუთსაც ივარჯიშეს, უფრო სწორად, ორკარა ითამაშეს.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელთაგანმა რევაზ ძოძუაშვილმა, აშქელონში რომ შევეხმიანეთ, გვითხრა, ფეხბურთელთა მომზადების დონით კმაყოფილი ვარ, არავინ არაფერს უჩივისო. ჩვენებურებს გუშინ ისრაელ—რუსეთის ამასწინანდელი ამხანაგური მატჩის ვიდეოფირი უნახავთ და დღეს სათამაშო ტაქტიკაზე ულაპარაკიათ. მწვრთნელები აქცენტის გაკეთებას თავდასხმაზე აპირებენ, შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთო, განგვიცხადა ძოძუაშვილმა და ის ფეხბურთელებიც დაგვისახელა, ისრაელის ნაკრებთან ძირითადი შემადგენლობისთვის რომ შეუგულებიათ მას და დავით ყიფიანს. საქართველოს ეროვნული გუნდის ახალ, „ლოტოს“ მაისურას თავიდან უფრო ესენი მოირგებენ: *გვარამაძე; ხიზანიშვილი, ნემსაძე, სილაგაძე, კალაძე; ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე, კობიაშვილი; არჩილ არველაძე, დემეტრაძე.*

შემადგენლობიდანაც ჩანს, რომ ჩვენებურები დღეს შემტევ ფეხბურთს აპირებენ. ოთხივე ნახევარმცველი მეტოქის კარზეა დაგეშილი და შეტევისკენ უფრო მიუწევს გული, ვიდრე საკუთარი კარის დაცვისკენ. ბოსკამპისეული ნაკრებისგან განსხვავებით, დღეს უკანა ხაზი ლიბეროთი ითამაშებს, ეს ფუნქცია, მეტი შანსია, ნემსაძეს დაეკისროს, სტოპერობა სილაგაძეს დაევალება, მარჯვნივ ხიზანიშვილი ითამაშებს, მარცხნივ — კალაძე.

ისრაელის ნაკრებს დღეს ვერ დაეხმარება თელ ავივის „მაკაბის“ ნახევარმცველი, გიორგი ქინქლაძის ყოფილი დერბელი თანაგუნდელი ავი ნიმნი, იგი ვარჯიშისას დაშავებულა. ნაკრების ექიმმა მარკ სოსნოვსკიმ მისი წამლობა კი სცადა, მაგრამ ტკივილი ვერ და ვერ დაუამა. „ცუდია, რომ ნიმნიმ ტრავმა მიიღო, სოსნოვსკის რეკომენდაციით, სჯობს, მან ქართველებთან მატჩი გამოტოვოს“ — განაცხადა ებრაელთა დანიელმა მწვრთნელმა რიხარდ მიოლერ-ნილსენმა. მანვე თქვა, რომ ბანინის არყოფნაში ნაკრებს ამირ შელაჰი უკაპიტნებს.

მასპინძელთა სავარაუდო შემადგენლობა ასეთია: *კოენი; ხარაზი, შელაჰი, ბენადო, კეისი; ტალქარი, ბადირი, ბერკოვიჩი, ტალი, რევივო; კფირი.*

მიოლერ-ნილსენმა, სხვათა შორის, ესეც განაცხადა — საქართველოსაც თუ მოვუგეთ, ნამდვილი „თაფლობის თვე“ გვექნება, თუმცა ქართველებთან მატჩი ნამცხვარივით ტკბილი ვერ იქნება. მათთან მძიმე თამაში გველის. მიმაჩნია, რომ თუ კლასის ამაღლება გსურს, ძლიერ მეტოქეებს უნდა ეთამაშო...

ვნახოთ, რა იქნება დღეს. თაფლობის თვეო, ნამცხვარიო... ეგებ ორივე ჩვენთვის იყოს?..

წინასწარი მონაცემებით, ისრაელ—საქართველოს დღევანდელი ამხანაგური მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი ისრაელის მე-5, კომერციულმა სპორტულმა არხმა უნდა გადასცეს. ჩვენი ებრაელი კოლეგების თქმით, საქართველოში ამ მატჩის ნახვა მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ თამაშს სხვა ტელეკომპანიაც უჩვენებს.

კობა ინასარიძე

# ნუ წაახდენთ კარგ თამაშს ღვარძლით და ბოღმით!

## აზოტმა ბასკოს პირველად მოუგო

საქართველოს ჩემპიონატი

ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატთა, ბათუმის „ბასკოსა“ და რუსთავის „აზოტის“ ამ სეზონში მესამე მატჩი წინანდელებივით სანახავად საინტერესო კი იყო, მაგრამ გუნდების უსაქციელობამ თამაშიც წაახდინა და მაყურებელიც შეურაცხჰყო...

მატჩის დამთავრებისთანავე გამართული სადისციპლინო კომისიის საგანგებო სხდომის ვერდიქტი ასეთია:

აზოტელ არჩილ ჟღენტს და ბასკოელ მამუკა აბრამიძეს თითომატჩიანი დისკვალიფიკაცია მიეცათ. გარდა ამისა, ეს ორი კალათბურთელი და ბასკოელი ალეკო დავითულიანი 300-300 ლარით დაჯარიმდნენ.

დღეს ექვსეული ისვენებს. სატურნირო ცხრილის სათავეში ახალი არაფერია: „ბასკო“, „აზოტი“, სტუ...

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი




ბასკო — აზოტი. 81:83. გუშინ ფარი რუსთაველ ლევან წიკლაურისა (№12) იყო

# ანჩაბაძის გასაჭირი



ვლადიკავკაზური „ალანია“ რუსეთის ჩემპიონატის პირველ ტურს გიორგი კიკნაძის და გიორგი ანჩაბაძის გარეშე შეხვდა. წესით და რიგით ორივე ქართველს უნდა ეთამაშა „სპარტაკის“ წინააღმდეგ, მაგრამ ასე არ მოხდა. კლუბმა ისინი განაცხადში ვერ შეიყვანა, რადგან გადამწყვეტ მომენტში ვლადიკავკაზელებს ამ ფეხბურთელების ყოფილი კლუბებიდან განთავისუფლების ფურცლები არ აღმოაჩნდათ.

ესე იგი გამოდის, რომ ზემოაღნიშნულ ფეხბურთელებზე ტრანსფერები არ გაცემულა. შედეგად კიკნაძეც და ანჩაბაძეც დღეს თბილისში არიან და გაურკვეველი სიტუაციიდან თავის დაღწევას ცდილობენ. ანჩაბაძე გუშინ „დინამოს“ პრეზიდენტ მერაბ რატიანსაც ესაუბრა, თუმც ბევრი ვერაფერი გაარკვია.

გუშინვე მან „სარბიელს“ უთხრა — „ფაქტია, ჩვენს თავს რაღაც ხდება. თითქმის ყველაფერი რიგზე იყო და უცებ ამხელა დაბრკოლება გადაგველობა, არც კი ვიცი, რა ვქნა. რატიანმა მითხრა, ამ კვირის ბოლოს ისევ ვლადიკავკაზში მოგიწევს ჩასვლა და ყველაფერი მოგვარდებაო, მაგრამ მაინც ვშიშობ... როგორღა მოხერხდება ჩემი და კიკნაძის „ალანიას“ განაცხადში შეყვანა, ამაზე ვერაფერს გეტყვით“.

მოკლედ, ანჩაბაძე კვლავაც გაურკვევლობაშია. იქნებ ყველაფერს მისმა ვლადიკავკაზში ჩასვლამ მოჰფინოს ნათელი.

**ბაათა ძვანტალიანი**

# რუსი მოდის, რუსი მოდის!

დღევანდელი დღე რომ მეტად დატვირთულია საქართველოს საფეხბურთო ნაკრებებისთვის, თქმა არ უნდა. საღამოს აშქელონში ჩვენი ეროვნული ისრაელისას დაუპირისპირდება, ვეჭვობ, ამ მატჩის ნახვა ქართველ გულშემატკივართა ფართო აუდიტორიამ შეძლოს. ამის საკომპენსაციოდ ქომაგს გულდამშვიდებით შეუძლია დღის 4 საათისთვის თბილისის „ეროვნულზე“ შეიაროს. იქაც ფეხბურთია და საქართველოს ნაკრები ითამაშებს, ოღონდ ახალგაზრდული ნაკრები... დღეს „ეროვნულზე“ ქართველები რუსებს დაუხვდებიან და უეჭველად დიდ ბრძოლასაც გაუმართავენ. მურთაზ ხურცილავას და მის შეგირდებს გვარიანი დაკვირვება და მონდომება მართებთ. დღევანდელ მატჩში წარმატება მაინც პრესტიჟის ამბავია, თანაც ხურცილავას ხელში ახალგაზრდულ ნაკრებს დღემდე თავი არ შეურცხვენია და იმედია, ჩრდილოელ მეზობლებთან შეხვედრაშიც არ გაწბილდებიან ქართველები და დაუმარცხებელი მატჩების სერიას კვლავაც გააგრძელებენ.

რუსები დღეს ჩამოფრინდებიან ჩარტერული რეისით და მატჩის დამთავრებისთანავე დატოვებენ თბილისს.

დღევანდელ მატჩს ქართველი მსაჯები მოემსახურებიან. სერგო კვარაცხელიას კახა მესხი და გურამ ჩიგოგიძე დაეხმარებიან, მეოთხე მსაჯის მოვალეობას ლევან ფანიაშვილი გასწევს. მატჩის ინსპექტორ-დამკვირვებლის ფუნქციას კი სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცი ანატოლი მილჩენკო შეასრულებს.

**ბაათა ძვანტალიანი**



მურთაზ ხურცილავა

# კობიაშვილის თავ-ფეხი მწყობრშია

ვიტ ჯორჯიელ თენგიზ კობიაშვილს ბოლო დღეებია ტრავმებთან მეომარი ფეხბურთელის სახელი გაუვარდა — ჯერ იყო და „ლოკომოტივთან“ სათასო შეხვედრაში მეტოქესთან ორთაბრძოლისას კეფა გაიტეხა და შეხვედრა მარლით თავპირახვეულმა ჩაამთავრა, მერე კი სამტრედიის „იბერიასთან“ მატჩში თავს კოჭიც მიაყოლა და ახლა ფეხის ტრავმისთვის 28-ე წუთზე შეცვალეს. ბუნებრივია, „სარბიელი“ დაინტერესდა კობიაშვილის შემდგომი ბედით და „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელ სერგო კოტრიკაძეს დაუკავშირდა — მართალია, თენგიზმა მართლაც დაიზიანა კოჭი სამტრედიაში, მაგრამ ტრავმა არცთუ საშიში აღმოჩნდა და ვფიქრობ, „კოლხეთთან“ მატჩისთვის მწყობრში იქნება — გვიპასუხა სერგო კოტრიკაძემ.

**ლუკა თალაკვაძე**

# ვაჰ, მუხლნო შევარდნისანო!

მენისკი — მეოცე საუკუნის ფეხბურთის შავი ჭირი, ხრტილოვანი ფირფიტა მუხლთან და ტკივილებში მუშკეტერი (იჩხვლიტება და იმიტომ).

იყო დრო, როცა მენისკი ლამის სეზონს აკარგვინებდა ფეხბურთელებს, ადრე მისი მკურნალობა გვარიან დროს მოიცავდა და რეაბილიტაციის კურსიც დიდხანს გრძელდებოდა. ახლა საქმე უკეთესობისკენ წავიდა, მედიცინამ შიდსს და კიბოს ვერ მოუხერხა ვერაფერი, თორემ მენისკი და ხრტილოვანი ფირფიტები რა სახსენებელია, ჩემო ბატონო... ყოფნის მედიცინას ძალა და უნარი, ორიოდე თვეში ფეხზე დააყენოს ნამენისკარი მობურთალი.



რევაზ ხაჭაპურიძემ მეტოქეს ბურთი არ დაანება

ამოდენა შესავალი კი გორის „დილას“ დაცვის ბურჯ რევაზ ხაჭაპურიძესთან მიმართებაში დაგვჭირდა, სხვებივით მენისკს შეუწუხებია რეზო და რახან გორელებს გავარდნა არსად ემუქრებათ (არც ლიგიდან, არც ევროსარბიელზე), საოპერაციო დროდ ეს პერიოდი შეუგულებია.

ამ ოპერაციის გამო იყო, ხაჭაპურიძე თანაგუნდელებს ვერ დაეხმარა „კოლხეთთან“ შეხვედრაში და ეს დაეტყო კიდეც დაცვას — სამი ბურთი გაუშვეს.

როგორც „დილას“ ფეხბურთელებმა „სარბიელს“ უთხრეს, მათი თანაგუნდელი თავს ნორმალურად გრძნობს და მალე აღდგენითი კურსიც დაიწყება.

მენისკი კი... ოჰ, ეს მენისკი, უკვე რახანია აწუხებს ფეხბურთს.

**ლუკა თალაკვაძე**

# რეგიონალური ლიგა

## დასავლეთი

### „ა“ ზონა

XII ტური

25 მარტი

**რაჭა 5:0 მეშახტე**

1:0 კიკვაძე (22), 2:0 ჯმუხაძე (35), 3:0 ჯელაძე (42), 4:0, 5:0 კიკვაძე (48, 56)
გაფრთხილება: მეტონიძე, მურუსიძე (ორივე რაჭა)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**მეტალურგი 3:1 სულორი**

1:0, 2:0 აბაზაძე (7, 36), 3:0 ბუხსიანიძე (70), 3:1 ბელთაძე (83)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**რწმენა 1:0 გურია**

1:0 თოდაძე (41პ)
გაფრთხილება: შავგულიძე (რწმენა), ფირცხალაიშვილი (გურია)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**მალაროელი 1:3 ოკეანე**

0:1 გოგავა (36), 0:2 კრავეიშვილი (62), 0:3 კაცაძე (71), 1:3 ხარაიშვილი (83პ)
გაფრთხილება: გოცაძე (მალაროელი)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

27 მარტი

**იბერია 2 1:1 მარგვეთი**

0:1 მ. მუმლაძე (23), 1:1 ბანძელაძე (66),
გაფრთხილება: ხურციძე (იბერია), სულაკაძე, გაბრიჭიძე (ორივე მარგვეთი)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**ინტერი 0:1 გაგრა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 12 | 9 | 3 | 0 | 34:7 | 30 |
| ოკეანე | 12 | 7 | 2 | 3 | 24:12 | 23 |
| მეტალურგი | 12 | 6 | 3 | 3 | 21:16 | 21 |
| იბერია 2 | 12 | 4 | 6 | 2 | 16:12 | 18 |
| გაგრა | 12 | 4 | 5 | 3 | 19:19 | 17 |
| ინტერი | 12 | 4 | 5 | 3 | 14:10 | 17 |
| რაჭა | 12 | 3 | 5 | 4 | 15:14 | 14 |
| სულორი | 12 | 3 | 5 | 4 | 14:22 | 14 |
| რწმენა | 12 | 3 | 4 | 5 | 8:15 | 13 |
| მალაროელი | 12 | 2 | 4 | 6 | 17:22 | 10 |
| მეშახტე | 12 | 2 | 3 | 7 | 13:33 | 9 |
| გურია | 12 | 2 | 1 | 9 | 8:21 | 7 |

### „ბ“ ზონა

XII ტური

24 მარტი

**კოლხეთი 2 1:0 ბათუმი 2**

1:0 ყურაშვილი (85)
გაფრთხილება: ჩხენკელი (კოლხეთი 2), ბაჩილავა, ტუსკია (ორივე ბათუმი 2)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

**ჩელა 1:3 შუქურა**

0:1, 0:2, 0:3 ყულეჯიშვილი (22, 25, 32), 1:3 კეზუა (81პ)
გაფრთხილება: ესებუა, შამათავა (ორივე ჩელა), ყულეჯიშვილი, ჩადუნელი (ორივე შუქურა)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი -(ქუთაისი)

**მეგრი 2:0 მერცხალი**

1:0 გოგოხია (67), 2:0 აკობია (69)
გაფრთხილება: ჭურღულია (მეგრი), თავდიშვილი (მერცხალი)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**სქური 0:4 ზუგდიდი**

0:1 ჯოლოხავა (52), 0:2 ჯიქია (59), 0:3 თორია (75), 0:4 გოგიტიძე (86)
გაფრთხილება: პ. კვარაცხელია (სქური)
გაძევება: ქარდავა (სქური)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

25 მარტი

**ბახმარო 0:5 ლაზიკა**

0:1 ლიპარტია (7), 0:2 თოდუა (30), 0:3 ცაცუა (55), 0:4, 0:5 ლიპარტია (60, 86)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**სამეგრელო 1:3 ფაზისი**

0:1 მასხულია (6), 0:2 მაკალათია (61), 0:3 ჯღარკავა (83), 1:3 გამსახურდია (85)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 12 | 10 | 2 | 0 | 39:12 | 32 |
| მეგრი | 12 | 9 | 1 | 2 | 18:9 | 28 |
| კოლხეთი 2 | 12 | 7 | 3 | 2 | 15:12 | 24 |
| ზუგდიდი | 12 | 7 | 2 | 3 | 34:13 | 23 |
| ლაზიკა | 12 | 7 | 2 | 3 | 26:12 | 23 |
| ფაზისი | 12 | 6 | 3 | 3 | 18:18 | 21 |
| სქური | 12 | 4 | 1 | 7 | 18:26 | 13 |
| სამეგრელო | 12 | 3 | 3 | 6 | 17:20 | 12 |
| ბათუმი 2 | 12 | 1 | 6 | 5 | 13:19 | 9 |
| მერცხალი | 12 | 1 | 4 | 7 | 7:16 | 7 |
| ჩელა | 12 | 1 | 2 | 9 | 11:34 | 5 |
| ბახმარო | 12 | 1 | 1 | 10 | 9:34 | 4 |

## აღმოსავლეთი

### „ა“ ზონა

XI ტური

25 მარტი

**განთიადი 1:2 საუ**

1:0 კობაური (27), 1:1 ხაჩიძე (36), 1:2 დემურიშვილი (83)
გაფრთხილება: ბეროშვილი (საუ)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (რუსთავი)

**იბერია 1:0 ცხუმი**

1:0 არეშიძე (75)
გაფრთხილება: ხიდაშელი, არეშიძე, დავითაშვილი (ყველა იბერია), ი. ბოჯგუა (ცხუმი)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

**მესხეთი 4:2 თორი**

1:0 სიდამონიძე (20), 1:1 გლუნჩაძე (45), 2:1 სიდამონიძე (47), 3:1 მარღანია (59), 4:1 ინასარიძე (78ს.კ.), 4:2 ვარდიაშვილი (82)
გაფრთხილება: სიდამონიძე (მესხეთი), წიქარიშვილი (თორი)
გაძევება: წიქარიშვილი (61, თორი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**ვარძია 0:1 ივერია**

0:1 ფოფხაძე (85)
*ლეკიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (89, ვარძია)*
გაფრთხილება: ლომიძე (ივერია)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**არაგვი 0:3 ცხინვალი**

0:1, 0:2, 0:3 ვ. მარგიევი (36პ, 53პ, 73)
გაფრთხილება: მოსიაშვილი (არაგვი)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 11 | 9 | 2 | 0 | 19:2 | 29 |
| თორი | 11 | 7 | 1 | 3 | 21:10 | 22 |
| განთიადი | 11 | 7 | 1 | 3 | 22:12 | 22 |
| ივერია | 11 | 7 | 0 | 4 | 27:14 | 21 |
| იბერია | 11 | 5 | 1 | 5 | 16:15 | 16 |
| ცხუმი | 11 | 4 | 2 | 5 | 18:14 | 14 |
| საუ | 11 | 4 | 1 | 6 | 13:19 | 13 |
| მესხეთი | 11 | 3 | 4 | 4 | 17:25 | 13 |
| ვარძია | 11 | 3 | 1 | 7 | 8:22 | 10 |
| მრეტები | 10 | 1 | 4 | 5 | 9:18 | 7 |
| არაგვი | 11 | 1 | 1 | 9 | 12:31 | 4 |

### „ბ“ ზონა

XI ტური

27 მარტი

**ზოოვეტი 2:1 ხალიბი**

1:0 ჭოხონელიძე (16), 1:1 რაზმაძე (45), 2:1 დ. ხომერიკი (82)
გაფრთხილება: ს. არჩვაძე, დ. ხომერიკი, ბოსტოლანაშვილი, სამნიაშვილი (ყველა ზოოვეტი), ბოჭორიშვილი, ნ. ლაბაძე, რაზმაძე, სოხაძე (ყველა ხალიბი)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

**აკადემია 2:0 სამგორი**

1:0 ბახტაძე (72), 2:0 მჭედლიშვილი (85)
გაფრთხილება: რობაქიძე (აკადემია)
მსაჯი: მ. ურუშაძე (თბილისი)

**თბილისი 2 4:0 ყვარელი**

1:0 ა. მუმლაძე (12), 2:0, 3:0 მანჭარაული (34, 37), 4:0 ნიშნიანიძე (50)
მსაჯი: ნ. კილაძე (თბილისი)

**ამირანი 0:2 ლოკომოტივი 2**

0:1, 0:2 სიამაშვილი (74, 77)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

**არსენალი 2 1:1 ჭაბუკიანი**

0:1 უ. მეტრეველი (49), 1:1 ბერიანიძე (76)
გაფრთხილება: თვალაბეიშვილი, კალმახელიძე, პერტენავა (ყველა არსენალი 2), გიგუაშვილი, ყაველაშვილი (ორივე ჭაბუკიანი)
გაძევება: თვალაბეიშვილი (69, არსენალი 2)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 11 | 9 | 1 | 1 | 27:10 | 28 |
| ზოოვეტი | 11 | 7 | 2 | 2 | 27:16 | 23 |
| ჭაბუკიანი | 11 | 7 | 1 | 3 | 18:8 | 22 |
| არსენალი 2 | 11 | 6 | 3 | 2 | 25:14 | 21 |
| ამირანი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:20 | 17 |
| ალაზანი | 10 | 5 | 1 | 4 | 19:16 | 16 |
| აკადემია | 11 | 3 | 3 | 5 | 8:9 | 12 |
| ხალიბი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:19 | 11 |
| თბილისი 2 | 11 | 2 | 2 | 7 | 14:20 | 8 |
| ყვარელი | 11 | 2 | 1 | 8 | 12:27 | 7 |
| სამგორი | 11 | 2 | 0 | 9 | 14:33 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გეგმა გადაჭარბებით: თერთმეტი გოლი

## თემურ ქეცბაიას ტრანსფერი ჩაეშალა

**წინა** კვირა ლეგიონერებისთვის მეტად სახეირო გამოდგა. ახალი ქართული რეკორდი რვა გოლში გამოიხატა. ასეთი შედეგი ჯერ არ გვქონია.

თავისი პირველი ბერძნული გოლი გაიტანა ლევან ქებაძემ, რომელიც აუტსაიდერ „კალამატასთან“ სტუმრად, მოედანზე 58-ე წუთზე შევიდა და „ირაკლისი“ მარცხს გადაარჩინა. გოდერძი ნატროშვილი „პანაჰაიკში“ არც ამჯერად გამოჩენილა.

ისრაელში მეხუთე გოლი შეაგდო გიორგი დარასელიამ. ქფარ სავას „ჰაპოელმა“ შინ თელ ავივის „მაკაბი“ მიიღო და 67-ე წუთისთვის 2:1 იგებდა. მეორე გოლი სწორედ „ძუკუმ“ გაიტანა. დედაქალაქელები მარცხს გიო ქინქლაძის ყოფილმა თანაგუნდელმა ავი ნიმნიმ გადაარჩინა. საბოლოოდ ფრე და ქფარსაველები აუტსაიდერებს შეუერთდნენ. 4:1 მოიგო ჰაიფას „მაკაბიმ“ ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელთან“. ამ მატჩის შემდეგ გოგა გახოკიძეს დაუმთავრდა 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია. იგი კვლავ „მაკაბიში“ ირიცხება, თუმცა ძირითადში ადგილის დაბრუნება ალბათ გაუჭირდება.

თავისი პირველი გოლი გაიტანა „კრივბასში“ გორელმა ალეკო კაიდარაშვილმა. ოლეგ ტარანმა ქართველი „ტავრიასთან“ 75-ე წუთზე შეუშვა და კაიდარამაც სეზონში მეხუთე გოლი მიითვალა (წინა 4 „ნივაში“ გაიტანა). უკრაინულმა გაზეთმა „კომანდამ“ ალეკოს გარჯა 6-იანით შეაფასა. „კრივბასის“ წინ კი კიევის „დინამოა“, რომელმაც დნეპროპეტროვსკში 2:0 სძლია „დნიპროს“. ვალერი ლობანოვსკის შემცვლელმა ანატოლი პუზაჩმა დემეტრაძე მხოლოდ 65-ე წუთზე შეუშვა, პირველ ტაიმში გოლის გამტან შაცკიხის ნაცვლად. დემეს ამჯერად არ გაუმართლა. „კომანდამ“ გიორგის 6-იანი, კახა კალაძეს კი 6,5 დაუწერა. ცსკა — „ნივას“ შეხვედრაში ექვსმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. კიეველთა რიგებში მეორე წრეში პირველად გამოჩნდა ვიტალი დარასელია. „კომანდამ“ დარასელია 5,5-ით შეაფასა, ტერნოპოლელთაგან კი გაზეთმა საუკეთესოდ გვიანიძე მიიჩნია — 6 ბალი, ტარიელ კაპანაძემ და სიხარულიძემ 5,5 მიიღეს. დგებუაძე და ავთანდილ კაპანაძე კი შეფასების გარეშე დარჩნენ. ნულოვანმა ფრემ „ნივას“ საშუალება მისცა, ოდესის „ჩორნომორეცისთვის“ გადაესწრო.

სეზონში მეორედ გაიტანა ლევან კობიაშვილმა, თანაც სტუმრად ბუნდესლიგის ერთ-ერთი ლიდერის „ლევერკუზენის“ კარში. „ფრაიბურგს“ ბედმა ბოლომდე მაინც არ გაუღიმა, ემერსონმა მეორე ტაიმში ანგარიში გაქვითა. თუმცა ამის მიუხედავად ფოლკერ ფინკე ლევერკუზენიდან წაღებული ქულის გამო სიხარულისგან ცმუკავდა. „კიკერმა“ კობიაშვილს სამიანი დაუწერა, იაშვილს — 4,5. „ფრაი“ კვლავაც გავარდნის კანდიდატია.

„გოუ ეჰედთან“ დუბლი გააკეთა „ბრედაში“ დაბრუნებულმა არჩილ არველაძემ. ქართველმა ჯერ მეხუთე წუთზე გაიტანა, 32-ეზე კი უკვე ანგარიშის გაქვითვა მოუხდა. „ბრედამ“ ძნელად, მაგრამ მაინც მოიგო. 90-ე წუთზე პენალტი გუდელმა გაიტანა. ამ დროს არჩილი მინდორზე უკვე აღარ იყო, მე-80 წუთზე იგი ბრაზილიელმა სერჟიომ შეცვალა. არჩილს სეზონში უკვე 14 გოლი დაუგროვდა. „აიაქსს“ კი ხუთთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ არჩილის ტყუპისცალი შოთა დაუბრუნდა. „ნაიმეგენთან“ ამსტერდამელები დროებით მწვრთნელად დანიშნულმა ჰანს ვესტერჰოფმა გაიყვანა. შოთა მინდორზე 67-ე წუთზე გამოჩნდა, როცა „აიაქსი“ 4:2-ს იგებდა. ქართველმა ვიჩხე გამოცვალა. არველაძეს ფეხზე ამდგარი მიესალმა „ამსტერდამ არენა“. გუშინ კი „აიაქსის“ მწვრთნელად, ჩვენი „დინამოს“ გამამწარებელი „ტილბურგის“ თავკაცი კო ადრიანსე დაამტკიცეს.

მეცამეტე შეხვედრაში მეთერთმეტე გოლი გაიტანა ლაშა ჯაკობიამ. „ვეზეტი“ „როულერსს“ სტუმრობდა და 48-ე წუთზე ლაშას გოლით დაწინაურდა. მატჩის ბედი 68-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც სტუმრებს მეკარე შტოკლასა გაუგდეს. მასპინძლებმა ამის მერე ოთხი გოლი გაიტანეს. გელა შეყილაძე „ლიერსში“ არც „მუსკრონთან“ გამოჩენილა.

რუსეთი-2000 ზაზა ჯანაშიას გოლით გაიხსნა. მოსკოვურ დერბიში ზაზამ ცსკა-ს გაუტანა. აღსანიშნავია, რომ სიომინმა ჯანაშია ძირითადში არ დააყენა, თუმცა შეცდომა მე-15 წუთზევე გამოასწორა, როცა ქართველი პიმენოვის ნაცვლად შეუშვა. „სპორტ-ექსპრესმაც“ და „სოვეტსკი სპორტმაც“ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ 6,5 ბალით ჯანაშია აღიარეს. წარუმატებელი გამოდგა ვლადიმერ გუცაევის დებიუტი „ალანიაში“, 1:3 მოსკოვში „სპარტაკთან“. მედიამ ქართველთაგან საუკეთესოდ მიხეილ აშვეთია ცნო. 6,5 „სპორტ-ექსპრესისგან“ და 6 „სოვეტსკი სპორტისგან“. სილაგაძემ და წერეთელმა შესაბამისად 4,5 „ექსპრესისგან“ და 5-იანები „სოვეტსკი სპორტისგან“ დაიმსახურეს. ალანიელი ფოცხვერია, კრილიელი გვარამაძე და ფოფხაძე სათადარიგოებში ისხდნენ. დანარჩენი ქართველები განაცხადშიც არ ყოფილან.



ლევან კობიაშვილი

მოლდოვაში მინიმალურად მოიგეს როგორც „შერიფმა“, ისე „ზიმბრუმ.“ სხვაობა ამ გუნდებს შორის კვლავ ოთხი ქულაა.

1:0 იმარჯვა შვეიცარიაში „ციურიხმა“, გოლი შასომ გაიტანა. ჯამარაული ძირითადში იყო, ყაველაშვილი კი სათადარიგოებში იჯდა.

1:0 მოიგო სტუმრად ბულგარელმა „ბელასიცამაც“, თუმცა კობა ნინუას არც ამჯერად უთამაშია.

აზერბაიჯანში ამ უქმეებზე ტური არ გამართულა.

რაც შეეხება პრემიერლიგას. ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გამოსვლა ჰქონდა გიორგი ქინქლაძეს. „დერბიმ“ ბირმინგემში წააგო. ამ მატჩის ნახვა ქართული არხებითაც შეგეძლოთ და მის მიმოხილვაზე აღარ შევჩერდებით. „სანდი მირორმა“ ქინქლაძეს 7-იანი დაუწერა. გასულ კვირასვე ცნობილი გახდა, რომ „აიაქსი“ ქართველ პლეიმეიკერში 4 750 000 გირვანქას ითხოვს.

თემურ ქეცბაია „ენფილდ როუდზე“ ამჯერად მეკარე ჰარპერთან და ბრაზილიელ ფუმაკასთან ერთად იჯდა სათადარიგოებში. სკამიდან რობსონმა მხოლოდ დომის და გალაჰერს უხმო. ქეცბაიასთან დაკავშირებით ახალი ამბავი ის არის, რომ ქართველს 26 მარტს ხელსაყრელი ტრანსფერი ჩაეშალა. თემურით ჩვენთვის უცნობი პრემიერლიგის გუნდი ყოფილა დაინტერესებული, რომელსაც 1 250 000 გირვანქა შეუთავაზებია „ნიუკასლისთვის“. რობსონმა მედიას არც ის გაანდო, რომელ გუნდს სურდა ქართველის გადაბირება და რატომ ჩაიშალა ეს ტრანსფერი.

რატი ალექსიძე კვლავაც იმ 22 კაცში იყო, რომლებიც „საუთჰემპტონის“ მისალებად ემზადებოდნენ, თუმცა ქართველი 16-კაციან განაცხადში ისევ ვერ მოხვდა. ინგლისური მედიის ცნობით, ვიალი კვლავ გამოცდილ სატონზე დაყრდნობას არჩევს, მიუხედავად იმისა, რომ „ჩელსის“ ფანები მის გაყიდვას მოითხოვენ. რატიმ გასულ კვირას რეზერვების ფრონტზე ივარგა. იაპონიის ახალგაზრდულ ნაკრებს სამი ბურთი გაუტანა.

გასულ კვირას ინგლისის პირველი დივიზიონი გამოგვაკლდა. კ. ხა ცხადაძე „მანჩესტერ სიტის“ ნაადრევად დაშორდა. მას კონტრაქტი ივნისამდე ჰქონდა, მაგრამ ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე რაც ერგებოდა, ნაადრევად აიღო და კლუბიდან გათავისუფლდა.

**სიმონ მენაბდე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **ინგლისი** | | | | | |
| | | | პრემიერლიგა | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | ს | ლივერპული 1:2 | 80 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 14 | 1 | 12 |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ასტონ ვილა 0:2 | 90 | | 10 | 1 | 17 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | საუთჰემპტ. 1:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 5 |
| | | | **გერმანია** | | | | | |
| | | | ბუნდესლიგა | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ლევერკუზენი 1:1 | 90 | | 14 | 0 | 15 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ლევერკუზენი 1:1 | 90 | გოლი | 26 | 2 | 15 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ლევერკუზენი 1:1 | 0 | ტრავმა | 2 | 1 | 15 |
| | | | **ჰოლანდია** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | ნაიმეგენი 5:2 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 2 | 6 |
| | | | პირველი დივიზიონი | | | | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | შ | გოუ ეჰედი 3:2 | 80 | 2 გოლი, შეცვალეს | 20 | 14 | 1 |
| | | | **ბელგია** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | მუსკრონი 3:3 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 13 | 0 | 5 |
| | | | პირველი დივიზიონი | | | | | |
| ლაშა ჯაკობია | ვეზეტი | ს | როულერსი 1:4 | 90 | გოლი | 13 | 11 | 17 |
| | | | **შვეიცარია** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | ტუნი 1:0 | 90 | გაფრთხილება | 24 | 5 | 9 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | ტუნი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 13 | 1 | 9 |
| | | | **საბერძნეთი** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | ს | აპოლონი 0:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | ? | 1 | 15 |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | ს | კალამატა 2:2 | 44 | გოლი, შეცვლაზე ითამაშა | 2 | 1 | 6 |
| | | | **ავსტრია** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| ზაზა რევიშვილი | ზალცბურგი | შ | ლურსტენაუ 2:0 | 0 | განაცხადში შეყვანას ელოდება | 0 | 0 | 7 |
| | | | **რუსეთი** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ცსკა 1:0 | 75 | გოლი, შეცვლაზე ითამაშა | 1 | 1 | 4 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | სპარტაკი 1:3 | 90 | საგოლე პასი | 1 | 0 | 14 |
| ლევან სილაგაძე | ალანია | ს | სპარტაკი 1:3 | 90 | | 1 | 0 | 14 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | ს | სპარტაკი 1:3 | 90 | | 1 | 0 | 14 |
| მიხეილ ფოცხვერია | ალანია | ს | სპარტაკი 1:3 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 14 |
| დავით გვარამაძე | კრილია | შ | ურალანი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 5 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია | შ | ურალანი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 5 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ფაკელი 1:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 6 |
| ბადრი სპანდერაშვილი | ჩერნომორეცი | ს | ნოვგოროდი 0:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 8 |
| ალეკო გოგობერიშვილი | ანჟი | შ | ტორპედო | | გადაიდო | 0 | 0 | 10 |
| | | | **უკრაინა** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | ს | დნიპრო 2:0 | 90 | | 14 | 1 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | ს | დნიპრო 2:0 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 1 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | ტავრია 4:2 | 15 | გოლი,შეცვლაზე ითამაშა | 2 | 5 | 2 |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | შ | ნივა 0:0 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | ? | 0 | 10 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | ცსკა 0:0 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | ? | 6 | 14 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | ცსკა 0:0 | 90 | გაფრთხილება | ? | 1 | 14 |
| კახა დგებუაძე | ნივა | ს | ცსკა 0:0 | 9 | შეცვლაზე ითამაშა | ? | 0 | 14 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | ს | ცსკა 0:0 | 90 | | ? | 0 | 14 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | ს | ცსკა 0:0 | 90 | | ? | 3 | 14 |
| | | | **პოლონეთი** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | პოგონი 2:2 | 35 | შეცვალეს | 4 | 0 | 2 |
| | | | **ისრაელი** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰ. ქფარ სავა | შ | მ. თელ ავივი 2:2 | 90 | გოლი | 27 | 5 | 12 |
| გიორგი გახოკიძე | მ. ჰაიფა | შ | ჰ. ფეთახ თიკვა 4:1 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 22 | 2 | 2 |
| | | | **ბულგარეთი** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| კობა ნინუა | ბელასიცა | ს | შუმენი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ ხვდება | 0 | 0 | 10 |
| | | | **მოლდოვა** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | ს | მოლდგაზი 1:0 | 46 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 2 |
| დავით მუჯირი | შერიფი | შ | რომა 1:0 | 90 | | ? | 6 | 1 |
| გიორგი რევაზიშვილი | შერიფი | შ | რომა 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | ? | 0 | 1 |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | შ | რომა 1:0 | 90 | გაფრთხილება | ? | 0 | 1 |
| თამაზ პერტია | შერიფი | შ | რომა 1:0 | 46 | შეცვალეს | ? | 0 | 1 |
| | | | **აზერბაიჯანი** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| ბადრი კვარაცხელია | შამქირი | | | | ტური არ გამართულა | 11 | 8 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემპიონი ძველი სტილით

ᲐᲑᲔᲖᲐᲠᲘ მეცხვარისა არ იყოს, ქართულ ოქროსაც შეუძლია, ქედმაღლურად გააცილოს მარტი. გაზაფხულის პირველმა თვემ საჩემპიონო ბრძოლას ნათელი ვერ მოჰფინა. თუმცა, თუ ძველით ახალ წელს არ ვივიწყებთ და ძველების აზრსაც ანგარიშს ვუწევთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მარტის სრულად გასვლამდე საკმაო დრო დარჩა. ნაადრევად დაარხეინებული მეცხვარის დასასჯელად აპრილისგან ნასესხები 3 დღეც გაუსტუმრებელი უნდა ჰქონდეს მარტს და ვერც საფეხბურთო ოქრო იქნება მშვიდად 16 აპრილამდე. აი, მაშინაც თუ ბურუსით იქნა მოცული ფავორიტის ვინაობა, ჩათვალეთ, რომ მაისის ბოლომდე პირველ ადგილს ვერავინ გაინაღდებს.

კაცმა რომ თქვას, თითოეული ჩვენთაგანიც ასეთ დაძაბულ ჩემპიონატს ნატრობდა. აბა, 2 თვით ადრე თუ იცი გამარჯვებულის ვინაობა, ხალისი გეკარგება კაცს და სტადიონისკენ აღარც მიგიწევს გული.

ასე რომ გემსჯელა კვირას ქუთაისური მატჩის დაწყებამდე, „ტორპედოს" ქომაგებს ვერ გადაურჩებოდი. ეგ დაძაბულობა და ინტრიგა მომავალი გათამაშებისთვის შემოინახეო — გეტყოდნენ — ჩვენ ათი წელია, ველოდით ამ დღეს და საქმის გადადებისთვის არ გვცხელაო. მართალიც იქნებოდა ის ხალხი...

ერთ რამედ ღირდა 26 მარტის ქუთაისის ნახვა. ფეხბურთით გაჟღენთილი ჰაერი — ქუჩებსა თუ სახლებში „ტორპედო" — „დინამოს" მატჩზე მოფუსფუსენი შეკრებილიყვნენ და სულმოუთქმელად ელოდნენ 3 საათის დადგომას.

ნამდვილი საფეხბურთო ამინდი, მშვენიერი მოედანი და ლამის გადაჭედილი ტრიბუნები — მეტი რა უნდა ინატროს მწვრთნელმა ან ფეხბურთელმა, მაგრამ რად გინდა. გაწბილებული დარჩა ყველა — ტრიბუნაზე თუ ტელეეკრანთან მოკალათებული. ვიცე-ჩემპიონისა და ჩემპიონის, თასის მფლობელისა და სუპერთასის სამუდამო მეპატრონის, მე-11 ეროვნულის ლიდერისა და მისი უახლოესი მდევრის შერკინება ულიმლამო ბურთაობით გამოირჩა. ორივე გუნდი მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, არ წაეგოთ და ფეხბურთელებსაც ფეხები უკანკალებდათ შეტევაზე გადასვლისას. მწვრთნელებიც დამფრთხალნი ჩანდნენ. გარისკვა არც ყიფიანმა ისურვა და არც კორღალიძემ. მეტწილად 3 ფორვარდით მოთამაშე „ტორპედო" ერთი თავდამსხმელითა და სტანდარტულების გათამაშების იმედად გავიდა მოედანზე. სტუმრებს კონტრშეტევებზე თამაში, ბურთის დიდხანს დაჭერა, საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან წესების დაურღვევლად მოქმედება და კუთხურების თავიდან აცილება ჰქონდათ დავალებული. კორღალიძის შეგირდებმა ასე თუ ისე შეასრულეს მწვრთნელის დარიგება. წინა შეხვედრებში კუთხურების ჩაწოდებებით ხშირად მოხეირე ქუთაისელებმა მხოლოდ ერთხელ გაათამაშეს ბურთი მოედნის კუთხიდან.

უგოლო ფრე ლოგიკური შედეგი გახლდათ მე-4 ტურის ცენტრალური ქუთაისური მატჩისა. სხვა დასასრული უთუოდ არაკანონზომიერი მოვლენა იქნებოდა და ოქროსთან და კონკურენტთან დაუმსახურებლად მიახლოებაში ჩაეთვლებოდა ორთავე გუნდს.

მე-3 ტურში „დინამო" — „ბათუმის" ბუბლიკები ყველაზე მეტად ტორპედოელებს წაადგათ. მაშინ „იბერიაზე" ძლევით ლიდერობა განიმტკიცეს იმერლებმა. ამჯერად ბათუმელები აღმოჩნდნენ ქუთაისელების როლში. ჯანი კარნევალის შეგირდებმა უპრობლემოდ მოუგეს „სიონს" და ქულათა სხვაობა გაიუმჯობესეს. ბოლნისელები დიდად არ გაძალიანებიან მასპინძლებს. იმაზეც მადლობელნი დარჩნენ ქვემოქართლელები, გასაძევებლად გამზადებული მეკარე ვოლკოვი რომ შეიბრალა მსაჯმა და ოდენ ყვითელი აკმარა.

„ა" ზონაში პირველად იმარჯვა სტუმარმა გუნდმა. თასის გათამაშებას უსამართლოდ ჩამოცილებულმა „ვიტ ჯორჯიამ" სამტრედიაში მოიგო და შედეგად მეორე ადგილზე აღზევდა. კი უდავიათ მასპინძლებს, გოლი თამაშგარედან გაგვიტანესო, მაგრამ რომ გახსენებიათ ვეტერინართა ახლო მეოთხედფინალური წარსული, ხელი ჩაუქნევიათ, რაც იყო, იყოო.

„კოლხეთის" გულთმისნები მოუმრავლდნენ. ვინც დაიქადნა გოლის გატანა, სიტყვაც შეასრულა. განსაკუთრებულად კი კოლხ ზაველ ლალანიძეს გამოსვლია ეს საქმე. წინა დღით „ლაციოს" არგენტინელი ნახევარმცველის, ვერონის ჯარიმიდან გატანილი უნახავს ტელევიზორში და უთქვამს, მეც ძალმიძს ესო. თუ ვერონმა „რომას" გაუტანა, ზაველს „დილასთვის" მოუწადინებია იგივეს გაკეთება და ღმერთიც არ გაუწყრა. ისეთი ტრაექტორია მოუხაზია ბურთს, გაოცებული დარჩენილან „ფაზისზე" მყოფნი. დისკვალიფიკაციამოხდილი შალამბერიძე ექსგორელ თანაგუნდელს, გიგა ჩიტაიას შეჰპირებია, გავიტანო და... უეჭველია, მიხეილ ქობულაძის მესამე გოლსაც ექნებოდა რაღაც წინაპირობა. „დილას" მხრიდან კი ხორგუაშვილს რომ არ გამოეჩინა თავი, უთუოდ გაგვიკვირდებოდა.

„ბ" ზონაში „მერანი" ისევ გვაოცებს. მესამე საგარეო მატჩის ზედიზედ მოგება შუაგულ სამეგრელოში ხუმრობა არავის ეგონოს. ავჭალელთა მწვრთნელი სერგო გაბელაია, იმერეთში რომ იტყვიან, შინ შესაშვები კაცი არაა. მასპინძელი მაგან არ იცის და მისი დანდობა. სენაკში „ხობის" დამარცხებით გაღიზიანებულმა ერთმა გულშემატკივარმა თამაშის დროს რომ ხელმოსაჭიდი ვერაფერი ნახა, მატჩის შემდეგ სტუმართა მეკარეს ნაჭყეპიას აუხირდა. მერანელსაც პასუხი გაუცია და საქმე რომ გარჩეულა, მტყუანი ხარო, უთქვამს მისთვის საკუთარი გუნდის ხელმძღვანელობას.

როგორც იქნა, მოიგო „სამგურალმა". თუმცა „გორდას" ძლევაში იღბალიც წახმარებია იმერლებს. რუსთაველებს მატჩის დებიუტი ძელების შეზანზარებით დაუწყიათ. მერე „სამგურალი" მოსულა გონს, შეტევებისთვის მოუცლია და რუსეთმოვლილ გიორგობიანს გამოულია ხელი. თუმც მისი არცთუ ძლიერად დარტყმული „გორდას" მეკარეს უნდა მოეგერებინაო, თქვეს თვითმხილველებმა. ასე იყო თუ ისე, „სამგურალმა" კიდევ ერთის გატანაც შეძლო და სატურნირო ცხრილში ოდნავ ამოისუნთქა.

„ბ" ზონის ლიდერმა „ლოკომოტივმა" ძალიან ულიმლამოდ ითამაშა გაწირული „არსენალის" წინააღმდეგ. ბოძუაშვილის გაწვრთნილებმა პენალტის წყალობითღა მიაღწიეს საწადელს. თერთმეტმეტრიანი კი მსაჯმა ფანიაშვილმა დანიშნა უკვე ზედიზედ მესამე მატჩში. თანაც ისე მოხდა, რომ სწორედ პენალტებმა გადაწყვიტა შეხვედრათა ბედი. არ იფიქროთ, მის არაობიექტურობაზე ვლაპარაკობდეთ, უბრალოდ, დამთხვევებს გავუსვით ხაზი. ფანიაშვილის მსაჯობის მოსურნე გუნდები თუ მოგვიმრავლდნენ, არ გაგვიკვირდება.

თსუ აღმავლობის გზაზეა. თენგიზ კაციას შრომას უფასებენ სტუდენტები და შინ და გარეთ ერთნაირი წარმატებით თამაშობენ. „თბილისი" კი კვლავინდებურად საკუთარი კედლების იმედად თუ დარჩება და შეეცდება, თანდათან გამოაკეთოს საგარეო მონაცემები.

ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მსაჯ ალექსანდრე კრიჭაშვილს აშკარად ცდის მცხეთის ჰაერი. კვირას თბილისელი კანდელაკი რომ გააფრთხილა, ფეხბურთელს ხომ გაუკვირდა და გაუკვირდა, მაგრამ შეხვედრის ინსპექტორ გია ფირცხალავას გაოცებისგან ღიმილი გადაჰფენია სახეზე... მაყურებელს რა მოუვიდოდა, მიხვდებით. ისე, ღმერთი გაახარებს მსაჯს, ერთობ მოსაწყენი თამაში სწორედ ამ ეპიზოდით გაუმხიარულებია.

მომდევნო ტური პირველ აპრილს დაიწყება. 5-ში გამოტოვებული „ბათუმი" — „ტორპედოც" შედგება და ოქროს მაძიებლებშიც რაღაც გამოიკვეთება. მარტში ჩემპიონი გამოვლინდებაო, თქვეს სეზონის განახლებამდე ბათუმელებმა და ვინ იცის, იქნებ კალენდრის ძველ სტილს გულისხმობდნენ. ასე რომ, ნუ იტყვით, გაზაფხულის პირველმა თვემ ოქროს ვერაფერი დააკლოო. გააცილეთ მარტი თავის ნასესხებიანად და მერე აპრილმა თქვას თავისი.

**ᲮᲕᲘᲩᲐ ᲡᲐᲜᲘᲫᲘᲫᲔ**



„ტორპედო" — „დინამო" 0:0. ქუთაისელი ბადრი ახვლედიანი (№21) ორ დინამოელს გაურბის



თსუ — „თბილისი" 2:0. სტუდენტი სოსო ერაძე (№16) თბილისელი კოტე მელქაძის შეჩერებას ცდილობს

| ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ | |
|---|---|
| 16 - ᲘᲝᲜᲐᲜᲘᲫᲔ | ტორპედო |
| 12 - ᲐᲨᲕᲔᲗᲘᲐ | დინამო |
| ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ | დინამო |
| 10 - Ვ. ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ | გორდა |
| Გ. ᲥᲝᲠᲘᲫᲔ | ვიტ ჯორჯია |
| 9 - ᲥᲔᲑᲐᲫᲔ | ლოკომოტივი |
| 8 - ᲮᲝᲠᲒᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ | დილა |
| 7 - ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲐᲫᲔ | ტორპედო |
| Ლ. ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔ | ვიტ ჯორჯია |
| ᲬᲘᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ | დინამო |



ოთარ კორღალიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

# 4 ტური

## „ა“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 4 |
| მატჩი | 15 |
| გოლი | 36 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,4 |
| მასპინძელთა მოგება | 10 (66%) |
| ფრეები | 4 (26%) |
| სტუმართა მოგება | 1 (8%) |
| საერთო დასწრება | 50 800 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 3 387 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | IV: 15 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | II: 100 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 52 | 13,00 |
| სტუმარი | 59 | 14,75 |
| სულ | 111 | 27,75 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 9 | 2,25 |
| სტუმარი | 13 | 3,25 |
| სულ | 22 | 5,50 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 40 | 10,00 |
| სტუმარი | 22 | 5,50 |
| სულ | 62 | 15,50 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 26 | 6,50 |
| სტუმარი | 15 | 3,75 |
| სულ | 41 | 10,25 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 21 | 5,25 |
| სტუმარი | 18 | 4,50 |
| სულ | 39 | 9,75 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 47 | 11,75 |
| სტუმარი | 50 | 12,50 |
| სულ | 97 | 24,25 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 19 | 4,75 |
| სტუმარი | 17 | 4,25 |
| სულ | 36 | 9,00 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 27 | 6,75 |
| სტუმარი | 19 | 4,75 |
| სულ | 46 | 11,50 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 26 | 6,50 |
| სტუმარი | 18 | 4,50 |
| სულ | 44 | 11,00 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 25 | 6,25 |
| სტუმარი | 10 | 2,50 |
| სულ | 35 | 8,75 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

## „ბ“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 4 |
| მატჩი | 16 |
| გოლი | 31 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 1,94 |
| მასპინძელთა მოგება | 8 (50%) |
| ფრეები | 2 (12%) |
| სტუმართა მოგება | 6 (38%) |
| საერთო დასწრება | 11 200 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 700 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III: 2 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | I: 100 |

### ტორპედო 0:0 დინამო

| | | |
|---|---|---|
| 16 | დაჯარიმდა | 25 |
| 1 | კუთხური | 6 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 2 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 3 |

### ბათუმი 3:0 სიონი

| | | |
|---|---|---|
| 11 | დაჯარიმდა | 6 |
| 4 | კუთხური | 2 |
| 20 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 11 | კარში დარტყმა | 1 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

### კოლხეთი 3:1 დილა

| | | |
|---|---|---|
| 8 | დაჯარიმდა | 10 |
| 2 | კუთხური | 0 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 11 | კარში დარტყმა | 3 |
| 11 | თამაშგარე | 9 |

### იბერია 0:1 ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 18 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 2 | კარში დარტყმა | 8 |
| 4 | თამაშგარე | 4 |

### ლოკომოტივი 1:0 არსენალი

| | | |
|---|---|---|
| 7 | დაჯარიმდა | 8 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 6 | კარში დარტყმა | 4 |
| 9 | თამაშგარე | 0 |

### სამგურალი 2:0 გორდა

| | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 13 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 6 | კარში დარტყმა | 5 |
| 5 | თამაშგარე | 2 |

### ხობი 1:2 მერანი

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 12 |
| 4 | კუთხური | 6 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 3 | კარში დარტყმა | 4 |
| 2 | თამაშგარე | 8 |

### თსუ 2:0 თბილისი

| | | |
|---|---|---|
| 10 | დაჯარიმდა | 17 |
| 7 | კუთხური | 5 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 11 | კარში დარტყმა | 5 |
| 9 | თამაშგარე | 0 |

### სიმბოლური ნაკრები

ლევან ხომერიკი *ბათუმი*
გიორგი ადამია *თსუ*
ამირან მუჯირი *ბათუმი*
დავით დილმელაშვილი *ვიტ ჯორჯია*
თამაზ კიკლიაშვილი *კოლხეთი*
პაატა გამცემლიძე *ლოკომოტივი*
გიორგი სუხიაშვილი *სამგურალი*
გივი დიდავა *დინამო*
მიხეილ ქობულაძე *კოლხეთი*
მიხეილ მახვილაძე *ტორპედო*
გრიგოლ ჭანტურია *ტორპედო*

გუნდი: დინამო
მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე *დინამო*

| «ა» ზონა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 25 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 22 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 0 | 4 |
| 3 დინამო | 4 | 0 | 4 | 0 | 0:0 | 0 | 21 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 4 ბათუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:0 | 9 | 20 | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 5 სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 17 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 6 კოლხეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 17 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 7 იბერია | 4 | 1 | 0 | 3 | 2:13 | -11 | 12 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:11 | -11 | 0 |
| 8 დილა | 4 | 0 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 4 | 0 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 0 |

| «ბ» ზონა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 ლოკომოტივი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 19 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 10 მერანი | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 18 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 9 |
| 11 თსუ | 4 | 3 | 0 | 1 | 5:1 | 4 | 17 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 12 გორდა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 15 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 2 | 4 |
| 13 სამგურალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:2 | 0 | 10 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 14 თბილისი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | -2 | 10 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 15 ხობი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | -6 | 8 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | -6 | 0 |
| 16 არსენალი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | -8 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | -6 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |

# «ა» ზონა

ქუთაისი
26 მარტი
15 საათი
ტორპედო
15 000 (ტევადობა 23 800)

## ტორპედო 0:0 დინამო

**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი, თურმანიძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, შეყრილაძე (მალლაკელიძე 86), კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (ასათიანი 67), დ. ჯანაშია (მეგრელაძე 57), ჩხეტიანი, იონანიძე
*სათადარიგონი:* ზოიძე; ვაჩიბერაძე, მ. ბობოხიძე, იმედაძე
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ი. ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, ზირაქიშვილი (გ. შენგელია 54), წიტაიშვილი, სიჭინავა, მონასელიძე (ქემოკლიძე 62), პ. ჯინჭარაძე, გუჩუა, შაშიაშვილი
*სათადარიგონი:* ა. ჩიხრაძე; შელია, რუხაძე, ო. გველესიანი, ხუციშვილი
**გაფრთხილება:** შაშიაშვილი (43), იონანიძე (51)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

ბათუმი
26 მარტი
15 საათი
დინამო
5 000 (ტევადობა 20 000)

## ბათუმი 3:0 სიონი

1:0, 2:0 ხომერიკი (6, 35), 3:0 აფხაზავა (67)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, სიდამონიძე, მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე, ა. მუჯირი, ლლონტი (კობიძე 68), გელა ქორიძე (რომანაძე 68), ხომერიკი (მაჭუტაძე 46), თ. ტუღუში, აფხაზავა
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; თედორაძე, სიხარულიძე, მინდაძე
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, დიმიტრიშვილი, მ. სამხარაძე, მაზანიშვილი, მოსეშვილი, მ. გოგოლაძე (სვანიძე 52), ისიანი (ფ. არჩვაძე 74), კ. გოგოლაძე, ბ. შენგელია (ელბაქიძე 74)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; კენჭოშვილი, ჩაგელიშვილი
**გაფრთხილება:** ვოლკოვი (83)
**მსაჯები:** მ. მალაღურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ე. სილაგავა (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

სამტრედია
26 მარტი
15 საათი
ეროსი მანჯგალაძე
800 (ტევადობა 15 000)

## იბერია 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 ქორიძე (70)
**იბერია:** გ. ღოლიძე, ჟვანია, ხურციძე (დ. ნოზაძე 88), გეგეშიძე, მიქელთაძე, გიორგაძე (გედენიძე 76), მ. ჯინჭარაძე, ს. გიგიაძე, კ. ჯანაშია (სანიკიძე 46), ივეჩიანი, ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე; ბიწაძე, კ. ალანია
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, საჯაია, ჭანკოტაძე, თოდუა, კობიაშვილი (ზ. გვაზავა 28), დილმელაშვილი (ლ. მელქაძე 68), ლ. ნოზაძე, ი. ხაჭაპურიძე, ყიფიანი (კოტორაშვილი 39), ვ. გოჩაშვილი, გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ჯ. მუჯირი, დ. დოლიძე, მორჩილაძე
**გაფრთხილება:** ჟვანია (42)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქათაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

ფოთი
26 მარტი
15 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 6 400)

## კოლხეთი 3:1 დილა

1:0 შალამბერიძე (3), 1:1 ხორგუაშვილი (68), 2:1 ღალანიძე (69), 3:1 ქობულაძე (70)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, შალამბერიძე, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი, ე. გვასალია (ხუჭუა 86), შავგულიძე (კედელაშვილი 46), ღალანიძე (რ. ახალკაცი 72), ფანჩულიძე, მ. ქობულაძე
სათადარიგონი: მ. გვასალია; ქუნთელია, პაპავა, ანჯაფარიძე
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, ვ. სამხარაძე (ფეზუაშვილი 74), გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, მარეხაშვილი, ოლგესაშვილი (კარელაძე 66), საყვარელიძე (არუთინიანი 56), ხორგუაშვილი, სულთანიშვილი
*სათადარიგო:* თ. ილურიძე
**მსაჯები:** ი. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

# «ბ» ზონა

თბილისი
26 მარტი
15 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

## ლოკომოტივი 1:0 არსენალი

1:0 გოდერძიშვილი (73პ)
**ლოკომოტივი:** ლომაია, გილაური, აბრამიძე (გ. გვაზავა 70), გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, ლ. მიქაძე, გამცემლიძე, ჯულელი, რუსია, ძოძუაშვილი (დ. გოდერძიშვილი 46), ხუროძე (კაციაშვილი 57)
*სათადარიგონი:* ნიკურაძე; ბაქრაძე, სალუქვაძე, ონიანი
**არსენალი:** კუპატაძე, ირემაშვილი, ასპინძელაშვილი, ხარებავა, სულაძე, შუკაკიძე, ქოიავა (ა. ხმელიძე 74), ი. კაპანაძე (გ. ჩალაძე 64), ხოსროშვილი, კაკაშვილი, გ. ტუღუში
*სათადარიგონი:* დ. ქაცარავა; წოწკოლაური
**გაფრთხილება:** ირემაშვილი (11)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ა. ნონიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

მცხეთა
26 მარტი
15 საათი
არმაზი
200 (ტევადობა 3 000)

## თსუ 2:0 თბილისი

1:0 ერაძე (49), 2:0 ადამია (75)
**თსუ:** მერლანი, ინწკირველი, ებრალიძე, სვანაძე (მესხი 55), ადამია, ხართიშვილი, წუწუნავა (დ. არჩვაძე 68), დეკანოსიძე, მაზიაშვილი (ფარქოსაძე 86), ერაძე, კვიციანი
*სათადარიგონი:* გუგუნავა; გ. გოცირიძე, თ. ბოკერია, ბ. ნოზაძე
**თბილისი:** ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, ბარნოვი, კანდელაკი, გ. ღუდუშაური, ჯ. ტყებუჩავა, ამაშუკელი (თ. მაისურაძე 51), კ. მელქაძე (ნორაკიძე 61), ბურდული, გადელია
*სათადარიგონი:* მამალაძე; ზვ. ლაბაძე, ლოლაძე, ჩივაძე
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი, მ. მაისურაძე, მ. ურუშაძე, ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

წყალტუბო
26 მარტი
15 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 2:0 გორდა

1:0 გიორგობიანი (44), 2:0 ხუნდაძე (65)
**სამგურალი:** სტურუა, ძაგნიძე, ფრანგიშვილი, ჩხაბერიძე, ვოსკანოვი (გ. ჯანელიძე 37), ზ. ქუთათელაძე (კვერნაძე 79), სუხიაშვილი, ჭყონია (დარსაძე 67), ხუნდაძე, ღონლაძე, გიორგობიანი
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ბაბუნაშვილი, ნებიერიძე, ჭელიძე
**გორდა:** ბედიაშვილი (გონგაძე 74), ბერიძე, სილაგაძე, მ. სახვაძე, ბურნაძე, ვ. კილასონია, მელაძე, გ. კილასონია, მიშველიძე (კიტეიშვილი 80), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე
*სათადარიგონი:* მჭედლიძე, ა. ბუკია, ბექაური, ბაჩილავა
**გაფრთხილება:** ვოსკანოვი (27), სილაგაძე (29) სუხიაშვილი (76)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

სენაკი
26 მარტი
15 საათი
ეგრისი
1 000 (ტევადობა 8 000)

## ხობი 1:2 მერანი

0:1 კვეტენაძე (30პ), 0:2 კაკაბაძე (37), 1:2 ჩიტაია (81)
**ხობი:** ნიქაბერიძე, ოდიშარია (ვ. ჩიტაია 61), ბულუხია, ვ. ალანია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, გ. გიორგაძე (დანელია 64), ქაშიბაძე, ლ. ბუკია (ჯამბურია 33), ჭიჭინაძე, ზაზა აიანადი
*სათადარიგონი:* რ. თოლორდავა; ვართაგავა, ჯიქია, მ. ტყებუჩავა
**მერანი:** ნაჭყეპია, ივანიშვილი, ცქიფურიშვილი (გ. ილურიძე 66), დევიძე, გ. კვეტენაძე, კობესაშვილი, კაკაბაძე (ლ. თოლორდავა 65), ჭინჭარაული (როსტიაშვილი 60), ბოლქვაძე, გუჯაბიძე, კარიაული
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი, კოშკაძე
**გაფრთხილება:** დევიძე (38), ზურაბ აიანადი (44), ცქიფურიშვილი (56), ოდიშარია (61), კაკაბაძე (64), ზურაბ აიანადი (89)
**გაძევება:** ზურაბ აიანადი (89)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ო. ხეცაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კაკულია

# მომავალი სეზონიდან...




REUTERS ამსტერდამიდან

კო ადრიანსე „აიაქსის“ ოფისში

ლეგენდარული „აიაქსი“ რომ ამჟამად კრიზისს განიცდის, ეს არაერთხელ ითქვა და დაიწერა. ერთ დროს სახელოვანი გუნდი ახლა საშუალო დონის კლუბებს შორის მოიხსენიება, ყველა ასპარეზობას უსუსურად გამოეთიშა და ჰოლანდიის ჩემპიონატშიც ვერაფრით დაიკვეხნის.

წინა კვირას ამსტერდამული კლუბის ხელმძღვანელობა შეიკრიბა, წამოჭრილ პრობლემებზე იმსჯელა და მთავარი მწვრთნელის იან ვოუტერსის გათავისუფლება გადაწყვიტა. დირექტორატი დაჰპირდა გულშემატკივარს, რომ ახალ თავკაცს უახლოეს დღეებში დაასახელებდნენ. მაშინ გადაწყდა, რომ სეზონის ბოლომდე „აიაქსს“ ახალგაზრდული გუნდის თავკაცი ჰანს ვესტერჰოფი უხელმძღვანელებდა.

მას შემდეგ ჰოლანდიაში „აიაქსის“ მომავალი მწვრთნელის ვინაობის გარკვევა ერთ-ერთ მთავარ საფეხბურთო თემად იქცა. გუნდის ხელმძღვანელობამ გაკვრით მიანიშნა „ტილბურგის“ თავკაც კო ადრიანსეზე. ეს სპეციალისტი „აიაქსში“ ადრეც მუშაობდა, 1992-დან 1997 წლამდე ახალგაზრდულ გუნდს ავარჯიშებდა. მაშინ ამსტერდამულ კლუბს ლუის ვან გაალი წვრთნიდა, რომელმაც „აიაქსს“ დიდება და სახელი დაუბრუნა, შემდეგ იგი „ბარსელონაში“ გადავიდა. ადრიანსემ კი ვან გაალისგან გამოცდილება შეიძინა, თავადაც მწვრთნელობა სცადა, ტილბურგს მიაშურა და იქაურ „ვილემ II“-ს ჩაუდგა სათავეში.

ჰოლანდიური პრესა მთელი ხუთი დღის განმავლობაში „აიაქსის“ მწვრთნელობის შესაძლო კანდიდატებს იხილავდა. ვის არ ასახელებდნენ იოჰან კრუიფს, ვიმ იანსენს, რუუდ გულიტს, ფრანკ რაიკარდსა და ხერარდ ვან დერ ლემს.

სანამ მომავალი თავკაცის ბედი გადაწყდებოდა, ახალი მწვრთნელის, ჰანს ვესტერჰოფის ხელმძღვანელობით გუნდმა პირველი შეხვედრა ჩაატარა და გაიმარჯვა, ჰოლანდიის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ნაიმეგენი“ დაამარცხა (5:2) (ქართველ ქომაგთა სასიხარულოდ, შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა შოთა არველაძე, რომელმაც ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ მოედანზე 23 წუთი დაჰყო), თუმცა, გამარჯვების მიუხედავად, თითქმის ყველამ აღნიშნა, რომ „აიაქსი“ ჩვეული ფორმიდან ჯერ კიდევ შორსაა და კვლავ ბევრ შეცდომას უშვებს, განსაკუთრებით დაცვის ხაზში.

და აი, კვირის დასაწყისში, „აიაქსის“ ხელმძღვანელობა ისევ შეიკრიბა და ადრიანსეს კანდიდატურა საბოლოოდ დაამტკიცა. 52 წლის სპეციალისტი გუნდს მომავალი სეზონიდან ჩაუდგება სათავეში და კონტრაქტის პირობით, ამსტერდამში სამ წელს დარჩება.

ლუის ვან გაალის მსგავსად, ადრიანსეც დისციპლინის მოყვარული მწვრთნელია და თითოეული ფეხბურთელის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. გუნდის გულშემატკივრებს და ხელმძღვანელებს სჯერათ, რომ ადრიანსე „აიაქსს“ ჩვეულ სახელსა და დიდებას დაუბრუნებს.

ნიკა შუბლაძე

# ხაშია თუ ფეხბურთი?




2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ამომავალი მზის ქვეყნებში — იაპონიასა და კორეაში ჩატარდება. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ აღმოსავლეთ აზიასა და ევროპას შორის დიდი სხვაობაა დროში (დაახლოებით 8 საათი). როცა ევროპა ალიონს ეგებება, იაპონიაში უკვე საღამოა. ეს ფაქტი ფიფასთვის დიდ თავსატეხად ქცეულა. ევროპელ გულშემატკივარს პირდაპირი ტრანსლიაციის სანახავად დილაადრიან მოუწევს გაღვიძება, რაც ერთობ მოუხერხებელია და ბევრი კონტინენტის სატელევიზიო ბაზარი პოტენციურად მრავალ მაყურებელს დაკარგავს. ფიფაც კატეგორიულად მოითხოვს შეხვედრების დაწყების დროის უკან გადაწევას.

პრობლემას იაპონელებმა საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნეს, რომელიც ტოკიოში ჩატარდა. „როცა იაპონიაში საფეხბურთო მატჩის დაწყებისთვის შესაფერისი დროა, ევროპაში თითქმის დილაა — განაცხადა საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა იასუჰიკო ენდომ — ფიფას სურს, შეხვედრები რამდენიმე საათით გვიან დაიწყოს. ეს ევროპის სატელევიზიო სტრუქტურას პირდაპირ უკავშირდება, მაგრამ იმ ხალხზეც უნდა ვიფიქროთ, რომლებიც მატჩის სანახავად სტადიონზე მოვლენ. თუ დროს გადავწევთ, მათ შინ წასვლა შუაღამეზე მოუწევთ. ვფიქრობ, ფიფას წინადადება მიუღებელია“.

იაპონიაში თითქმის ყველა კულტურული ღონისძიება ადრე იწყება, მაგალითად, მუსიკალურ კონცერტს საღამოს შვიდ საათზე (იქაური დროით) გვიან არასდროს გეგმავენ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი მხოლოდ იაპონელთათვის როდი იმართება, ეს სრულიად სახალხო ზეიმია. ამიტომ, ბუნებრივია, ყველას ინტერესები უნდა გაითვალისწინონ, თორემ ისე გამოვა, უკიდურესი დასავლეთ ევროპის მკვიდრნი მართლაც დილაადრიან გაიღვიძებენ მატჩების სანახავად.

### მეტი ბილეთი

პრესკონფერენციაზე კიდევ ერთი პრობლემა წამოიჭრა. ორგანიზატორებმა იაპონიისთვის ბილეთების ლიმიტის გაზრდა მოითხოვეს. მათი აზრით, მასპინძელ ქვეყნებს და განსაკუთრებით იაპონიას მეტი ბილეთი უნდა შეახვედრონ. იასუჰიკო ენდომ მაგალითისთვის ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატი დაასახელა, როცა საფრანგეთს ბილეთების საერთო რაოდენობის 65 პროცენტი დაუთმეს.

ბილეთებისა და აბონემენტების ფასი ჯერჯერობით არ დაუდგენიათ, მაგრამ ამასაც სულ მალე გადაწყვეტენ და ოქტომბრიდან, ალბათ, გაყიდიან კიდეც.

### კალენდარი

ფინალური ეტაპის საბოლოო კალენდარი ჯერჯერობით არ დადგენილა, თუმც სავარაუდო პროექტი უკვე მზადაა. ჩემპიონატი 1 ივნისს უნდა დაიწყოს, ჯგუფური ეტაპის მატჩებისთვის 14 დღეა გამოყოფილი. ორგანიზატორთა აზრით, პლეი ოფისთვის 16 დღეც კმარა, ხოლო ჩემპიონატის გვირგვინი — ფინალი 30 ივნისს იოკოჰამას საერთაშორისო სტადიონზე გაიმართება.

ათი იაპონური არენიდან რვა ჩემპიონატის სამ მატჩს უმასპინძლებს, ხოლო ორ უდიდეს სარბიელზე — იოკოჰამასა (ტევადობა 70 ათასი) და საიტამაზე (63 ათასი) ოთხი შეხვედრა ჩატარდება.

ორგანიზატორებმა გამოთვალეს, რომ შემოსავლის საუკეთესო წყარო ბილეთები იქნება. ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზე ფიფას ლოტაციაა, შემდეგ მოდის სატელევიზიო ტრანსლაციები და ტურიზმი.

ჯერემი უოლკერი

## ფეხბურთის



**რუმინეთის** ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ფინალამდე მიღწევა შეუძლია, განაცხადა „ვალენსიას“ რუმინელმა თავდამსხმელმა ადრიან ილიემ. „ჯგუფში ინგლისთან, გერმანიასთან და პორტუგალიასთან ერთად მოვხვდით. ინგლისი და გერმანია უპირობო ფავორიტები არიან, მათთან ბრძოლა ერთობ ძნელია, თუმცა რუმინეთიც კერკეტი კაკალია, მჯერა, რომ ჯგუფიდან სწორედ ჩვენ გავალთ, უფრო მეტიც, ფინალშიც მოვხვდებით“. ადრიან ილიე ამჟამად დაშავებულია და რუმინეთისა და საბერძნეთის დღევანდელ ამხანაგურ შეხვედრას, რომელიც ათენშია დაგეგმილი, ალბათ, გამოტოვებს.

**შოტლანდიელ ფრენკ მაკავენის სოლიდური ოდენობის ნარკოტიკი აღმოუჩინეს. წარსულში ცნობილი ფეხბურთელი პოლიციამ ინგლისში დააკავა. სამართალდამცავების ცნობით, ნარკოტიკების საერთო ღირებულება დაახლოებით 100 ათასი დოლარია. არ გამორიცხავენ, რომ მაკავენის ამ საქმეში თანამზრახველიც ჰყავდა. მაკავენი შოტლანდიის ნაკრების წევრი იყო, საკლუბო კარიერა მან „სელტიკსა“ და „ვესტ ჰემში“ გაატარა.**

**ბულგარელმა** ნახევარმცველმა კრასიმირ ბალაკოვმა, რომელმაც სანაკრებო კარიერა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა, განაცხადა, რომ სურს, მსოფლიოს მომავალი პირველობის შესარჩევ ციკლში თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს დაეხმაროს. „ყოველმხრივ შევეცდები, ჩემი გამოცდილება ბულგარულ ფეხბურთს მოვახმარო“ — ამბობს ბალაკოვი, რომელიც ორშაბათს სოფიას ეწვია და ბელარუსის წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში სათამაშოდ მომზადება დაიწყო. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ბულგარეთის მეტოქეები ჩეხეთი, დანია, ირლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია და მალტა არიან.

**ესპანეთის ჩემპიონ „ბარსელონას“ ჰოლანდიელი ლეგიონერი რონალდ დე ბური პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში დაშავდა და დაახლოებით ექვს კვირას ვერ ითამაშებს. ფეხბურთელი ესპანეთის პირველობის რამდენიმე ტურს და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ჩელსის“ წინააღმდეგ ორმატჩიან ბრძოლას გამოტოვებს, ვერც ჰოლანდიის ნაკრებს დაეხმარება, ამხანაგურ მატჩში, რომელშიც ევროპის ჩემპიონატის ორი მასპინძელი — ჰოლანდია და ბელგია დაუპირისპირდება ერთმანეთს. მოსალოდნელია, რომ ლუის ვან გაალი რონალდ დე ბურის ნაცვლად ძირითადში გაბრი გარსიას გაამწესებს, რომელიც ბოლო ტურში სწორედ ჰოლანდიელის ნაცვლად გამოჩნდა მინდორზე და მატჩის ბოლო წუთებზე მეტოქეს პენალტი გამოსტყუა, რითაც „ბარსელონას“ გამარჯვება მოუპოვა.**

**იაპონელი** ფორვარდი შოჯი ჯო ტრავმის შემდეგ მომჯობინდა და დაახლოებით ერთ თვეში, ალბათ, მოედანზეც გამოჩნდება. „იოკოჰამა მარინოსიდან“ ესპანურ „ვალიადოლიდში“ განათხოვრებულმა ფორვარდმა 15 მარტს მყესი დაიზიანა და მას შემდეგ ველარ თამაშობს. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ მკურნალობა გაცილებით მეტ ხანს გასტანდა, თუმცა ჟერარ სპილნტმა, პროფესორმა, რომელმაც რონალდოს უმკურნალა, განაცხადა, რომ იაპონელი გაცილებით ადრე გამოჯანმრთელდება.

**ჰოლანდიის ჩემპიონატის მატჩი „დენ ბოსხსა“ და „აიაქსს“ შორის, რომელიც 4 აპრილს იყო დაგეგმილი, უკვე მეორედ გადაიდო. დენ ბოსხის მერს არეულობებისა და დესტაბილიზაციის ეშინია. „მერი თვლის, რომ უსაფრთხოების გარანტიის მიზნით სჯობს თამაში გადაიდოს“ — აცხადებს მუნიციპალიტეტის პრესატაშე. გულშემატკივრებს პრინციპული მატჩების დროს სტადიონზე საკუთარი ავტომანქანებით მისვლის უფლება არა აქვთ, მათთვის სპეციალური ტრანსპორტია გამოყოფილი, ეს კი ქომაგთა მხრიდან პროტესტს იწვევს. ხსენებული შეხვედრა ჯერ კიდევ თებერვალში იყო დაგეგმილი, მაგრამ მაშინაც გადაიდო. მატჩის ჩატარების ახალ თარიღს დაადგენენ. არ არის გამორიცხული, შეხვედრა ნეიტრალურ სტადიონზე გაიმართოს.**

**ინგლისის** ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ დევიდ ბექემი გუნდში კონტრაქტის დასრულებამდე, ანუ სამი წლით დარჩება. 24 წლის ბექემის „მანჩესტერიდან“ წასვლაზე უკვე არაერთხელ თქმულა და ეს ინგლისური პრესის ხანგრძლივი მსჯელობის თემაა. „დევიდს „მანჩესტერთან“ კონტრაქტი კიდევ სამი წელი აკავშირებს, რა თქმა უნდა, ის დარჩება“ — ამბობს გუნდის თავმჯდომარე რონალდ სმიტი.

**რუსეთის ჩემპიონატში მიმდინარე სეზონში პირველი დამსჯელი სანქცია გამოიტანეს. ქვეყნის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“ გუნდის ფანთა უმსგავსო საქციელის გამო 10 ათასი რუბლით (350 დოლარი) დაჯარიმდა. თასის გათამაშებაში, პირველდივიზიონელ „სოკოლთან“ მატჩში გულშემატკივრებმა იხულიგნეს და წესრიგი დაარღვიეს. ფედერაციამ ეს საკითხი საგანგებოდ განიხილა, ქვეყნის ჩემპიონი არ დაინდო და დააჯარიმა.**

**გერმანელ** ნახევარმცველ სებასტიან დაისლერს საზარდულის ტრავმა გაუმიზეზდა და, ექიმების ცნობით, დაახლოებით 10 დღეს ვერ ითამაშებს. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკი ფეხბურთელის გუნდში მიწვევას აპირებდა, მაგრამ დაისლერს არ გაუმართლა. იგი გერმანელებს ხორვატებთან ამხანაგურ შეხვედრაში ვერ დაეხმარება. „როგორც კი სებასტიანი გამოჯანმრთელდება, აუცილებლად მივიწვევ ნაკრებში, ამ დღეებშიც ვაპირებდი, მაგრამ მას არ გაუმართლა“ — განაცხადა ერიხ რიბეკმა.

## სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი

### აფრიკა. VI ტური

A ჯგუფი. უგანდა 0:1 ანგოლა; ნიგერია 4:0 ზიმბაბვე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 6 | 4 | 0 | 2 | 12:7 | 12 |
| ანგოლა | 6 | 4 | 0 | 2 | 13:9 | 12 |
| ზიმბაბვე | 6 | 4 | 0 | 2 | 11:11 | 12 |
| უგანდა | 6 | 0 | 0 | 6 | 3:12 | 0 |

B ჯგუფი. განა 0:3 კამერუნი; გვინეა 1:4 სამხრეთ აფრიკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:4 | 15 |
| სამხ. აფრიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| განა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| გვინეა | 6 | 0 | 0 | 6 | 4:16 | 0 |

C ჯგუფი. მაროკო 2:1 კოტ დივუარი; ტუნისი 0:3 ეგვიპტე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 6 | 4 | 1 | 1 | 11:8 | 13 |
| ეგვიპტე | 6 | 3 | 2 | 1 | 11:7 | 11 |
| კოტ დივუარი | 6 | 2 | 2 | 2 | 13:10 | 8 |
| ტუნისი | 6 | 0 | 1 | 5 | 5:15 | 1 |

*ნიგერიამ, კამერუნმა და მაროკომ მოიპოვეს სიდნეის ოლიმპიადის საგზური, სამხრეთ აფრიკა კი როგორც საუკეთესო მეორეადგილოსანი, ორრაუნდიან დუელში მისში ახალი ზელანდიის ოლიმპიურ ნაკრებს შეეცილება საგზურის მოპოვებაში.*

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

**ქემნიცი 1:2 კოტბუსი**

1:0 ბიტერმანი (42), 1:1 მატიუში (58), 1:2 ფრანკლინი (90)

## ინგლისი

### I დივიზიონი

**ბარნსლი 3:0 გრიმსბი**

1:0 ტინკლერი (26), 2:0 შიპერლი (64), 3:0 ჰინეტი (77)

## იტალია

### სერია B

**ბრეშა 5:1 პესკარა**

0:1 ჯამპაოლო (11), 1:1, 2:1 ბონაცოლი (28, 34), 3:1 უბნერი (48), 4:1 მეძანოტი (62 ს.კ.), 5:1 უბნერი (67)

## საფრანგეთი

თასის ნახევარფინალის წილისყრა

კალაისი (III) — ბორდო (მატჩი გაიმართება ლანსში); მონაკო — ნანტი.

*მატჩები გაიმართება 11 და 12 აპრილს. ფინალი კი 7 მაისს „სტად დე ფრანსზე“.*

## ლიტვა

### I ტური

**კაუნასი 0:0 დაინავა**

**ჟალგირისი 3:0 პოლონია**

1:0 ტოლისი (35), 2:0, 3:0 იაკუშევასი (44, 73)

**ეკრანასი 1:1 ინკარასი**

1:0 სავენასი (56), 1:1 სმილგინასი (45)

**ატლანტასი 2:0 ბანგა**

1:0 ტაუტვიდასი (4), 2:0 იერმაკოვასი (64)

**კარედა 1:1 ნევეჟისი**

1:0 სტრალეკსასი (15), 1:1 ჟალისი (36)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ატლანტასი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ინკარასი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნევეჟისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| კარედა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ეკრანასი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| კაუნასი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| დაინავა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბანგა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| პოლონია | 1 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |

## უნგრეთი

22-ე ტური. ფერენცვაროში — დუნაფერი 2:2; ტატაბანია — დებრეცენი 1:1; ნადიკანიჟა — დიოშდიორი 2:1; ნიირშეგი — შიოფოკი 3:0; ჰალადაში — ზალაეგერსეგი 0:1; ვაშაში — პეჩი 4:0; დიორ ეტო — უიპეშტი 3:1; ჰონვედი — მტკ 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 22 | 14 | 7 | 1 | 49:19 | 49 |
| ვაშაში | 21 | 14 | 2 | 5 | 44:20 | 44 |
| მტკ | 22 | 12 | 7 | 3 | 42:19 | 43 |
| ფერენცვაროში | 22 | 9 | 7 | 6 | 43:25 | 34 |
| დებრეცენი | 22 | 9 | 7 | 6 | 30:26 | 34 |
| უიპეშტი | 22 | 9 | 6 | 7 | 41:31 | 33 |
| ტატაბანია | 22 | 7 | 10 | 5 | 22:28 | 31 |
| დიორ ეტო | 21 | 8 | 6 | 7 | 34:22 | 30 |
| ზალაეგერსეგი | 21 | 7 | 9 | 5 | 23:14 | 30 |
| ნიირშეგი | 22 | 8 | 5 | 9 | 24:33 | 29 |
| ჰონვედი | 22 | 7 | 6 | 9 | 21:29 | 27 |
| პეჩი | 21 | 6 | 8 | 7 | 23:34 | 26 |
| ნადიკანიჟა | 22 | 5 | 7 | 10 | 19:28 | 22 |
| დიოშდიორი | 22 | 5 | 5 | 12 | 21:39 | 20 |
| ჰალადაში | 21 | 5 | 3 | 13 | 20:34 | 18 |
| შიოფოკი | 22 | 5 | 4 | 13 | 16:37 | 16 |
| ვაცი | 21 | 2 | 5 | 14 | 17:51 | 11 |

*„შიოფოკს“ დაკლებული აქვს 3 ქულა.*

## რუმინეთი

25-ე ტური. რეშიცა — სტიაუა 2:0; ნაციონალი — გლორია 3:1; რაპიდი — ეკსტენსივი 4:2; ბრაშოვი — პეტროლული 0:1; ონეშტი — ოცელული 0:3; ფარული — არჯეში 1:0; როკარი — დინამო 1:2; უნივერსიტატეა — ჩეპლაული 0:2; ასტრა — ბაკეუ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 25 | 22 | 2 | 1 | 70:20 | 68 |
| რაპიდი | 25 | 17 | 4 | 4 | 46:26 | 55 |
| ჩეპლაული | 25 | 14 | 4 | 7 | 40:32 | 46 |
| არჯეში | 25 | 14 | 3 | 8 | 35:23 | 45 |
| ასტრა | 25 | 11 | 5 | 9 | 36:28 | 38 |
| გლორია | 25 | 12 | 2 | 11 | 36:35 | 38 |
| სტიაუა | 24 | 11 | 3 | 10 | 44:45 | 36 |
| ბაკეუ | 25 | 10 | 6 | 9 | 27:28 | 36 |
| ნაციონალი | 25 | 10 | 4 | 11 | 42:33 | 34 |
| ოცელული | 25 | 10 | 3 | 12 | 40:38 | 33 |
| პეტროლული | 25 | 9 | 5 | 11 | 31:36 | 32 |
| ბრაშოვი | 25 | 9 | 3 | 13 | 36:35 | 30 |
| უნივერსიტატეა | 25 | 8 | 6 | 11 | 27:29 | 30 |
| ფარული | 25 | 8 | 6 | 11 | 28:37 | 30 |
| როკარი | 24 | 9 | 0 | 15 | 33:42 | 27 |
| ონეშტი | 25 | 7 | 3 | 15 | 26:58 | 24 |
| რეშიცა | 25 | 5 | 6 | 14 | 30:53 | 21 |
| ეკსტენსივი | 25 | 4 | 3 | 18 | 18:46 | 15 |

# ვიერი ერთია, გოლი — ცოტა

## დღეს ამხანაგობის საერთაშორისო დღეა



REUTERS ბრიუსელიდან

ჰოლანდიელები ედგარ დავიდსი და დებიუტანტი ჯეფრი ტალანი გუშინდელი ვარჯიშისას

### ესპანეთი — იტალია

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ ფეხბურთელები გააფრთხილა — იტალიის ნაკრებთან თამაში თუმც ამხანაგურია, მათთვის თავის გამოჩენის ბოლო შანსია და ევრო 2000-ზე წასაყვანთა სიაც მის მიხედვით დადგინდება.

შესარჩევი ეტაპის ბრწყინვალედ გავლის შემდეგ ესპანელებს ევროპის ჩემპიონატის ფავორიტად მიიჩნევენ, თუმცა დღეს, მათ ამბიციებს კბილებს იტალიის ნაკრები მოუსინჯავს.

ბარსელონაში „მონჟუიკის ოლიმპიურ სტადიონზე“ მასპინძლებს რამდენიმე დაშავებული, გამოცდილი ფეხბურთელი არ ეყოლებათ: ლუის ენრიკე, სერხი, გაისკა მენდიეტა და ფერნანდო იერო. ეს ერთი მხრივ იმას ნიშნავს, რომ ის მოთამაშეები, რომელთაც იღბალი და კამაჩო დღეს თამაშის საშუალებას მისცემენ, თავს თუ გამოიჩენენ, ჩამოთვლილ დაშავებულთ შესაძლოა ბელგია — ჰოლანდიაში წასვლის პერსპექტივა ერთობ შეუმცირდეთ.

„თუ თქვენ იტალიის ნაკრების დონის გუნდთან კარგად ითამაშებთ, შესაძლოა დიდი დასკვნებისკენ მიბიძგოთ“ — უთქვამს კამაჩოს ესპანელი ფეხბურთელებისთვის.

„ჩემმა მოთამაშეებმა კარგად იციან, რომ ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ საუკეთესო გუნდები და ფეხბურთელები ხვდებიან. მათ ისიც მოეხსენებათ, რომ დღეს ჩემზე შთაბეჭდილების მოხდენის ბოლო შანსი ეძლევათ“ — განუცხადებია მას ჟურნალისტებისთვის.

კამაჩოს დებიუტანტებიც ჰყავს: ხუანფრან გარსია და ფრანსისკო რუფეტე, თუმცა საეჭვოა ისინი სასტარტო შემადგენლობაში ვიხილოთ.

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ქართველების მეტოქე იტალიას, მას ოთხი მატჩი უიღბლო ჰქონდა, თუმცა თებერვალში შვედეთთან 1:0 მოიგო და თითქოს მდგომარეობა გამოასწორა, მაგრამ დინო ძოფს ეს ერთი მოგება არ აკმაყოფილებს. იტალიურმა გუნდებმა, მოგეხსენებათ, უეფას თასი მეოთხედფინალშივე მწყობრად დატოვეს, ხოლო ჩემპიონთა ლიგას ერთადერთი „ლაციოლა“ შემორჩა. მოკლედ, ძოფს გამარჯვებულის მენტალიტეტის დაბრუნება მართებს, თორემ შემკრთალს ევროპის პირველობაზე კარგი დღე არ დაადგება.

დღეს „სკუადრა აძურას“ მთავარი პრობლემა გოლების გატანაა, ხოლო კაცი-იმედი, კრისტიან ვიერი, კვლავ დაშავებული გახლავთ.

ძოფი, სხვათა შორის, არც მალავს, რომ ვიერის შემცვლელი არავინ ჰყავს და იმედოვნებს, რომ ევროპის ჩემპიონატამდე „ინტერის“ ფორვარდი გამოჯანმრთელდება და ფორმას აღიდგენს.

„ვიერის ბევრი რამ აწუხებს, თუმცა იმედი მაქვს, რომ ახლანდელი ტრავმა ბოლოა. ამ ფეხბურთელს ისეთი თვისებები და მონაცემები აქვს, რომ მისი შემცვლელი იტალიაში ფიზიკურად არ არსებობს, ამიტომაც დღეს, მის არყოფნაში, ალტერნატივას ვეძებთ“ — ბრძანებს მწვრთნელი.

როგორც ჩანს, „მონჟუიკზე“ ალტერნატივას „იუვენტუსის“ წყვილი, ალესანდრო დელ პიერო და ფილიპო ინძაგი ერქმევა.

### საბერძნეთი — რუმინეთი

საბერძნეთი და რუმინეთი ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპებზე ჩვენი ყოფილი და მომავალი მეტოქეები არიან. დღეს ისინი ათენში ხვდებიან ერთმანეთს. საბერძნეთი უკვე წარსული ამბავია, ამიტომ უფრო რუმინეთის ნაკრები გვაინტერესებს.

ბერძენთა თავკაცი ვასილის დანიელი ამბობს: „რუმინელებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ. მით უმეტეს, რომ მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატებზე მონაწილეობით უდიდესი გამოცდილება შეიძინეს. ამიტომაც შევარჩიეთ რუმინეთის ნაკრები ჩვენს მეტოქედ. დღევანდელი მატჩი გუნდის მომზადებაში დიდად წაგვადგება.“

ბერძნებზეც ვთქვათ. მათ რამდენიმე ფეხბურთელი არ ეყოლებათ. ელეფტეროპულოსი, ლაკისი და ლიბეროპულოსი ტრავმებს ახლა იშუშებენ და მწვრთნელს გარისკვა არ სურს. რაც შეეხებათ ატმაციდისს და ნიკოლაიდისს, დანიელმა თავი შეიკავა, მხოლოდ თქვა, იმათი ნაკრებში დაბრუნებაზე ლაპარაკი ნაადრევიაო.

### პორტუგალია — დანია

ლისაბონიდან 125 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ლეირიაში პორტუგალიელები დანიის ნაკრებს დაუხვდებიან და მათთან ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ. „სტრატეგია იგივე იქნება, რაც წინა თამაშებში — აცხადებს პორტუგალიელთა თავკაცი უმბერტუ კუელიუ — ჩვენ ერთობ ძლიერი გუნდი გვყავს, მხოლოდ გამარჯვებას შევეცდებით“. საოცარია, მაგრამ შესაძლოა ქვეყნის ჩემპიონ „პორტუს“ ერთმა ფეხბურთელმაც ვერ ითამაშოს. მათ მცირე ტრავმები აწუხებთ და მთავარი მწვრთნელი ალბათ დაასვენებს. მით უმეტეს, რომ პორტუელებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში დიდი ბრძოლა ელით.

პორტუგალიელები ერთი თვის წინ ბელგიასთან მიღწეული შედეგის (ფრე 1:1) გაუმჯობესებას შეეცდებიან. ევროპის ჩემპიონატი კარსაა მომდგარი და მოსამზადებელი ეტაპიც დასასრულს მიუახლოვდა. ნებისმიერ გამარჯვებას, თუნდაც ამხანაგურ შეხვედრაში, უკვე ერთობ პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

პორტუგალიელებს თუ მოგება სურთ, უქმად ჯდომას არც დანიელები აპირებენ. ერთობ ხანგრძლივი ზამთრის შესვენების შემდეგ ნაკრები პირველ შეხვედრას ჩაატარებს. დანიელებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ პლეიოფში ისრაელს მოუგეს და მას შემდეგ აღარ უთამაშიათ. ეს კი შარშან ნოემბერში მოხდა.

დანიელთა თავკაც ბო იოჰანსონის თქმით, მთავარია, გუნდი კვლავ შეთამაშდეს, თუმც დღევანდელ შეხვედრაში მიღწეული გამარჯვება ალბათ არანაკლებ მნიშვნელოვანია. მან იქნებ ზოგიერთი ახალბედა ფეხბურთელიც გამოსცადოს, თანაც რამდენიმე წამყვან მოთამაშეს მცირე ტრავმები აწუხებთ.

„მწვრთნელი გვთხოვს, რომ კარგად ვითამაშოთ და ერთმანეთს კვლავ შევეწყოთ — ამბობს ლეგენდარული დანიელი მეკარე პიტერ შმაიხელი, რომელიც მანჩესტერული ტრიუმფის შემდეგ სწორედ პორტუგალიაში ასპარეზობს, ჩემპიონატის ლიდერ ლისაბონის „სპორტინგის“ ღირსებას იცავს და პორტუგალიის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს ერთობ კარგად იცნობს.

შეხვედრაში იუბილეს აღნიშნავს „ფიორენტინას“ პორტუგალიელი ლეგიონერი რუი კოშტა, რომელიც თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის მაისურას 50-ედ მოირგებს.

### ბელგია — ჰოლანდია

ევროპის პირველობის დაწყებამდე ორი თვით ადრე ჩემპიონატის მასპინძლებმა — ბელგიამ და ჰოლანდიამ ერთმანეთში ამხანაგურად გაჯიბრება ისურვეს. დღეს ორივე გუნდი ეცდება, დაცვას უკეთესად მიხედოს და მეტოქეს ხუთი გოლი არ გაატანინოს. შარშან სექტემბერში მათ დიდი ფრე — 5:5 ითამაშეს.

თანამედროვე ფეხბურთში ტრავმა რომელ გუნდს დაჰკლებია, ბელგიასა და ჰოლანდიას დააკლდეს. თითო-ოროლა წამყვან მოთამაშეს ორივე ნაკრები მოისაკლისებს.

„სექტემბრის შეხვედრის შემდეგ თითქოს ყველაფერი დალაგდა. მანამდე სულ უიღბლობა გვდევდა — ამბობს „ბრიუგესა“ და ნაკრების მცველი გერტ ვერჰეინი — გუნდს პროგრესი დაეტყო და ვეცდებით, ასე გავაგრძელოთ“.

ალბათ სასტარტოში გამოჩნდება გიორგი ქინქლაძის დერბიქაუნთელი თანაგუნდელი, თავდამსხმელი ბრანკო შტრუპარი, რომელსაც მხარს ემილ მპენზა აუბამს.

ჰოლანდიელთა თავდასხმის ხაზს რაც შეეხება, ტრავმების გამო ნაკრებში ვერ მოხვდნენ დენის ბერხკამპი, რუუდ ვან ნისტელროოი და პიერ ვან ჰოიდონკი, საეჭვოა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის თამაშიც. ასე რომ, ფრანკ რიკარდს თავსატეხი გაუჩნდა, ვინ გაამწესოს პატრიკ კლუივერტის მხარდამხარ.

ჰოლანდიის ნაკრების მაისურას ალბათ დეპორტივოელი როი მაკაიც მოირგებს, რომელიც ბოლო ხანს ერთობ წარმატებულად ასპარეზობს.

არ არის გამორიცხული, რაიკარდმა თავდასხმის ხაზს ბარსელონელი ფილიპ კოკუც შეუწყვილოს, რომელმაც გერმანიის წინაალმდეგ ბოლო ამხანაგურ მატჩში მცველის პოზიციაზე ითამაშა და ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. საერთოდ კოკუ ერთობ უნივერსალური ფეხბურთელია და ვან გაალი მას ხშირად უცვლის პოზიციას.

პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში მიღებული ტრავმის გამო ნაკრებს რონალდ დე ბური ვერ დაეხმარება. იგი მძიმედ დაშავდა და დაახლოებით ექვს კვირას დაისვენებს.

## ამხანაგური მატჩი. *28 მარტი*

### იუგოსლავია 1:0 ჩინეთი

1:0 მიატოვიჩი (8)

იუგოსლავია: კრალი (კიკოვიჩი 46), საკიჩი (კომლიენოვიჩი 46), ჯოროვიჩი (კრსტაიჩი 46), მიხაილოვიჩი, იოკანოვიჩი (ჯორჯევიჩი 46), ჯუკიჩი, გროზდიჩი, იუგოვიჩი (მირკოვიჩი 55), მიატოვიჩი (კოვაჩევიჩი 46), მილოშევიჩი, ი. სტანკოვიჩი (დრულოვიჩი 46)

მწვრთნელი: ვუიადინ ბოშკოვი

ჩინეთი: შან შინი (უ ჩუ ლიანგი 78), შენ სი, ლი ვეი ფენგი, ლი მინგ სენიორი, ვუ ჩენ ინი, ლი მინგ ჯუნიორი (იაო სია 60), ლი ტიე (კუ შენ კუმი 54), კი მონგი, მა ნინ სუ, სუ მაო ჟენი (შუ იუნგ ფენგი 78), ფან ჟი ი

მსაჯი: შანდორ პული (უნგრეთი)

12 000 მაყურებელი

## ამხანაგური მატჩები. *29 მარტი*

### ბელგია — ჰოლანდია

*ბელგიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: ფილიპ დე ვილდე (ანდერლეხტი), რონი გასპერჩიჩი (ესტრემადურა, ესპანეთი);*

*მცველები: ერიკ დეფლანდრე (ბრიუგე), დევიდ ბროკენი (სტანდარდი), ლორენცო სტალენსი (ანდერლეხტი), ჯეკი პეეტერსი (არმინია, გერმანია), ერიკ ვან მეირი (ლიერსი), ფილიპ ლეონარი (მონაკო, საფრანგეთი);*

*ნახევარმცველები: გერტ ვერჰეინი, ფილიპ კლემენტი (ორივე ბრიუგე), მბო მპენზა (სპორტინგი, პორტუგალია), ივს ვანდერჰეიგი (მუსკრონი), მარკ ვილმოტსი (შალკე, გერმანია), ვალტერ ბასეჯიო, ბარტ გოორი (ორივე ანდერლეხტი), დენი ბოფინი (მეცი, საფრანგეთი);*

*თავდამსხმელები: ემილ მპენზა (შალკე, გერმანია), ბრანკო შტრუპარი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ჟილ დე ბილდე (შეფილდ უენსდი, ინგლისი), მიხაელ გუსენსი (სტანდარდი)*

*ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: ედვინ ვან დერ სარი (იუვენტუსი, იტალია), სანდერ ვესტერველდი (ლივერპული, ინგლისი);*

*მცველები: ფრანკ დე ბური, უინსტონ ბოგარდი, მიხაელ რაიციგერი (ყველა ბარსელონა, ესპანეთი), ანდრე ოიერი (პსვ ეინდჰოვენი), ბენტ კონტერმანი (ფეიენოორდი), არტურ ნუმანი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), იაპ სტამი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: არონ ვინტერი (აიაქსი), ფილიპ კოკუ (ბარსელონა, ესპანეთი), პოლ ბოსველტი (ფეიენოორდი), ჯეფრი ტალანი (ჰერენვენი), კლარენს ზეედორფი (ინტერი, იტალია), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია);*

*თავდამსხმელები: მარკ ოვერმარსი (არსენალი, ინგლისი), პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), როი მაკაი (დეპორტივო, ესპანეთი), არნოლდ ბრუგინკი (პსვ ეინდჰოვენი)*

### ესპანეთი — იტალია

*ესპანეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: სანტიაგო კანისარესი (ვალენსია), ხოსე ფრანსისკო მოლინა (ატლეტიკო);*

*მცველები: აბელარდო ფერნანდესი (ბარსელონა), ხუანფრან გარსია, ხუან ველასკო (ორივე სელტა), აუგუსტინ არანსაბალი (სოსიედადი), პაკო ხემესი (სარაგოსა);*

*ნახევარმცველები: ხუან კარლოს ვალერონი (ატლეტიკო), ხოსეპ გვარდიოლა (ბარსელონა), გონსალეს ფრანი (დეპორტივო), ფრანსისკო რუფეტე (მალაგა), ვისენტე ენგონგა (მალიორკა), ივან ელგერა (რეალი);*

*თავდამსხმელები: ხოსება ეჩებერია, ისმაელ ურსაისი (ორივე ატლეტიკო, ბილბაო), ალფონსო პერესი (ბეტისი), რაულ გონსალესი (რეალი), პედრო მუნიტისი (რასინგი)*

*იტალიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა);*

*მცველები: ჯუზეპე პანკარო, პაოლო ნეგრო (ორივე ლაციო), ჩირო ფერარა, მარკ იულიანო, ჯანლუკა პესოტო (ყველა იუვენტუსი), პაოლო მალდინი (მილანი), ფაბიო კანავარო (პარმა);*

*ნახევარმცველები: დიეგო ფუზერი (პარმა), ჯანლუკა ძამბროტა, ალესიო ტაკინარდი (ორივე იუვენტუსი), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი), მასიმო ამბროზინი, ჯენარო გატუზო, დემეტრიო ალბერტინი (ყველა მილანი), სტეფანო ფიორე (უდინეზე);*

*თავდამსხმელები: ფილიპო ინძაგი, ალესანდრო დელ პიერო (ორივე იუვენტუსი), სიმონე ინძაგი (ლაციო), მარკო დელვეკიო, ფრანჩესკო ტოტი (ორივე რომა)*

### შოტლანდია — საფრანგეთი

*შოტლანდიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: ნილ სალივანი (უიმბლდონი, ინგლისი), ჯონათან გოულდი (სელტიკი), რობერტ დუგლასი (დანდი).*

*მცველები: ტომი ბოიდი (სელტიკი), კრისტიან დეილი (ბლექბერნ როვერსი, ინგლისი), მეტ ელიოტი (ლესტერი, ინგლისი), კოლინ ჰენდრი (ქოვენტრი, ინგლისი), ბრაიან ონილი (ვოლფსბურგი, გერმანია), პოლ რიჩი (ჰართსი), დევიდ ვეირი (ევერტონი, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: კრეიგ ბარლი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), კოლინ კამერონი (ჰართსი), კალუმ დევიდსონი (ბლექბერნ როვერსი, ინგლისი), ბარი ფერგიუსონი (გლაზგო რეინჯერსი), ჯეკი მაკნამარა (სელტიკი);*

*თავდამსხმელები: დონ ჰათჩისონი (ევერტონი, ინგლისი), ალან ჯონსტონი (სანდერლენდი, ინგლისი), მარკ ბერჩილი (სელტიკი), ბილი დოდსი, ნილ მაკკანი (ორივე გლაზგო რეინჯერსი), კევინ გალაჰერი (ნიუკასლი, ინგლისი)*

### ლიბანი — მოლდოვა

*მოლდოვის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: სერგეი დინოვი (კონსტრუქტორული), დენის რომანენკო (ზიმბრუ);*

*მცველები: სერგეი სტროენკო, იური პრიგონიუკი, ალექსანდრ კოვალენკო (ყველა ტილიგული), ვალერი კატინსუსი, ოლეგ ფისტიკანი, ბორის ჩებოტარი (ყველა ზიმბრუ), ვიტალი მაევიჩი (უგუნდოდ);*

*ნახევარმცველები: ალექსანდრ პოპოვიჩი (ტორპედო ზილ, რუსეთი), რადუ რებეჟა (ურალანი, რუსეთი), იური ოსიპენკო, გენადი პუჩკა (ორივე კონსტრუქტორული), ვლადიმირ ტანურკოვი (შერიფი), ვადიმ ბორეცი, სერგეი დოდული (ორივე ზიმბრუ), ლილიან პოპესკუ (ნისტრუ), ოლეგ შიშკინი (ცსკა, რუსეთი);*

*თავდამსხმელები: იური მიტერევი (ზიმბრუ), სერგეი როგაჩევი (შერიფი), სერგეი პოგრებანი, ევგენი გორდიენკო (ორივე ტილიგული)*

### ჩეხეთი — თურქეთი (თარიღი უცნობია)

*თურქეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა*

*მეკარეები: რუშთუ რექბერი, ენგინ იპეკოღლუ (ორივე ფენერბაჰჩე), ფევზი თუნქაი (ბეშიქთაში);*

*მცველები: ფათიხ აკიელი, ბიულენთ კორკმაზი (ორივე გალათასარაი), ალფაი ოზალანი, ოგიუნ თემიზქანოღლუ (ორივე ფენერბაჰჩე), მერთ კორკმაზი, რამაზან თუნქი (ორივე გაზიანთეფსფორი);*

*ნახევარმცველები: ოკან ბურუქი, ემრე ბელოზოღლუ, სუათ კაია, სერგენ იალჩინი, ერგუნ პენბე (ყველა გალათასარაი), ტაიფურ ჰავუტჩუ, აიჰან აქმანი (ორივე ბეშიქთაში), ტაიფუნ კორკუტი (ფენერბაჰჩე), იუსუფ სიმსეკი, უმით ბოზკურტი (ორივე დენიზლისფორი), მურატ ოზატაკი (კონია ენდუსტრისფორი);*

*თავდამსხმელები: ჰაქან შუქური, არიფ ერდემი (ორივე გალათასარაი), აჰმედ დურსუნი (ბეშიქთაში), უმით კარანი (გენჩლერბირლიგი), ზაფერ დემირეი (ანთალიასფორი), ალი აკდენიზი (სამსუნსფორი)*

# ჯანდაბას ფეხბურთი!

დღეს საერთაშორისო საფეხბურთო ამხანაგობის დღეა. თითქმის მთელი ევროპა, თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოც კი, ეროვნული გუნდების მზადყოფნას ამოწმებს. მაგალითად, გლაზგოში შოტლანდია მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთს მასპინძლობს...

„ის სასტარტო შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო და პირადად ტიერი ანრის წინააღმდეგ ეთამაშა, მაგრამ გუშინ შეკრება მიატოვა და შინ 'გაშურა" — შეატყობინა ჟურნალისტებს კრეიგ ბრაუნმა, შოტლანდიელთა მთავარმა მწვრთნელმა. დიახ, „ლესტერის" სქოთი მცველი მეტ ელიოტი ამჟამად გლაზგოს ნაცვლად ლესტერის მთავარ ჰოსპიტალში იმყოფება — გუშინწინ იქ მისი სამი კვირის ვაჟი, ალფი მოათავსეს.

ალფი ელიოტი 2 მარტს დაიბადა. „მორჩა, ოჯახი საბოლოოდ დავაკომპლექტეთ" — ამბობდა მაშინ მამამისი, რომლისთვისაც ალფი მეოთხე შვილი იყო და 9 წლის ჯეიდის, 5 წლის ჩარლის და 18 თვის ინდია-როუზის შემდეგ. არადა, ელიოტ უფროსმა წინა დღეს კინალამ ლიგის თასის ფინალი გააცდინა, მაგრამ მეუღლემ დაიჟინა, ითამაშეო. ამანაც ითამაშა და მეოთხე შვილის დაბადებას „ტრანმერის" კარში გატანილი ორი გოლით (თან სად, „უემბლიზე") შეხვდა.

გავიდა სამი კვირა. „ლესტერმა" ჩემპიონობის კანდიდატი „ლიდსი" 2:1 დაამარცხა და ელიოტიც ფრანგებთან მატჩისთვის მზადებას შეუდგა. შარშანდელი ივნისიდან აღარ ჩაუცვამს ეროვნული გუნდის მაისურა, ვინაიდან ფარერებთან გაძევება ხუთმატჩიან დისკვალიფიკაციად დაუჯდა. თუმცა დაბრუნება გადაიდო — ორშაბათს სასუნთქი გზების დაავადებისა და ფილტვებში ჟანგბადის ნაკლებობის გამო პატარა ალფი სასწრაფოდ ჰოსპიტალში გადაიყვანეს.



პატარა ალფის მხოლოდ დედ-მამა კი არა, მთელი შოტლანდიის ნაკრები ქომაგობს

THE SUN

და მართალია, ელიოტმა კრეიგ ბრაუნს სთხოვა, ხმაურის ატეხვა არ ღირს ამის გამოო, სქოთთა მწვრთნელმა თავი მაინც ვერ შეიკავა — მეტი ვაჟკაცი ბიჭია და წუწუნი არ უყვარს. მისმა უახლოესმა ძმაკაცმა ნილ სალივანმაც კი არ იცოდა ამ ამბის შესახებ. კი მთხოვა, ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთ და ჩვეულებრივად ივარჯიშეთო, მაგრამ მიმიფურთხებია ფეხბურთისთვის, როცა საქმე ბავშვის ჯანმრთელობას ეხება. ჩვენ ყველანი ვლოცულობთ, რომ ალფის საქმე კარგად დამთავრდეს.

ნაკრების კაპიტანმა კოლინ ჰენდრიმაც თითქმის იგივე გაიმეორა: ახლა მოთამაშეებიდან გულშემატკივრებად ვიქეცით. ფეხბურთი კი არა, საერთოდ არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, თოთო ბავშვი რომ ჰქვია.

ცივი ხალხიო და რას აღარ იტყვიან. სისულელეა, აბა, რა არის.

**გიგა კობახიძე**

## ანდრეი შევჩენკო

ჩემპი

დაიბადა 1976 წლის 29 სექტემბერს, დვირკივშინაში
სიმაღლე: 183 სმ, წონა 72 კგ
დებიუტი სერია A-ში: 1999 წლის 29 აგვისტო. „ლეჩე" — „მილანი" 2:2
კლუბები: კიევის „დინამო" (117 თამაში, 60 გოლი), „მილანი" (25 თამაში, 21 გოლი); უკრაინის ხუთგზის ჩემპიონი და სამგზის თასის მფლობელი; უკრაინის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი: 26 თამაში, 18 გოლი

„იუვენტუსთან" 2:0 მოგებით „მილანმა" ოთხმატჩიანი მოუგებელი ნავსიანი სერია შეწყვიტა. „შევამ" კვლავ გაიტანა, თანაც ორი. სერია A-ს ბომბარდირთა დავაში პარმელი კრესპოც ოთხი ბურთით ჩამოიტოვა. ალბათ, საკამათოც არაა, რომ „სარბიელმა" ევროპულ ფეხბურთში ამ უქმეების რჩეულად სწორედ ანდრეი შევჩენკო მიიჩნია.

ბოლო 20 წლის მანძილზე ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, სერია A-ში გადასულ ლეგიონერს პირველსავე სეზონში ოცზე მეტი ბურთი გაეტანოს — გაოცებას ვერ მალავენ იტალიელი სტატისტიკოსები.

ვინ არის ანდრეი შევჩენკო — 25 მილიონიანი ფეხბურთელი, სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდი — სამივე ერთად არა? კი მაგრამ, ვინ იყო იგი ბავშვობაში, ანუ...

შევჩენკო, მისი მშობლიური კიევის 126-ე საშუალო სკოლის საპირფარეშოში სიგარეტის მწეველი, თანატოლებთან „საქმის გამრჩევი", „ძველი ბიჭი" — ჩხუბისთავი.

— სიგარეტს ეწეოდა? რა თქმა უნდა. მერვე-მეცხრე კლასამდე ჩუმად სკოლის საპირფარეშოში შევიდოდით და ვაბოლებდით. შემდეგ „დინამოს" ექიმებმა აუკრძალეს. თუ გინდა, ფეხბურთი ითამაშო, ჯობს არ მოწიოო. დაიჯერა. „შევჩიკი" სკოლაშიც გამორჩეული გახლდათ. „საქმეების გარჩევა" მისთვის უცხო არ იყო. ჩხუბის დროს უკან არ იხევდა, თუმცა უფრო დაჩაგრულთა მხარეს იჭერდა. მისი ერთი სიტყვა ყველასთვის კანონი გახლდათ. ფეხბურთის თამაშზე კი რა უნდა ვთქვა, როცა კლასი კლასს ან უფროსებს ვეთამაშებოდით, ჩვენ ყველანი დაცვაში ჩავდგებოდით, ის კი თავდასხმაში მარტო რჩებოდა. 5-6 კაცის მოტყუება მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა — იხსენებს შევჩენკოს თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარი სტას მოსკალევსკი — შევჩენკო ფეხბურთით რომ არ მოწამლულიყო, ახლა ერთ-ერთი საუკეთესო მეთევზე იქნებოდა. თევზაობა მისი ჰობია. თავისუფალ დროს სულ მდინარეზე დადიოდა. ალბათ ახლაც ასეა, იტალიაში.

თევზაობის გარდა სუპერფორვარდს ჰოკეისა და ჩოგბურთის ცქერა ჰყვარებია, შევჩენკო გულგრილი არც წიგნებისადმია.

...„იუვენტუსთან" მოგების შემდეგ შევჩენკომ შაბათ-კვირა სამშობლოში გაატარა (მატჩი როგორც იცით, პარასკევს ჩატარდა) — რაკი თავისუფალი დრო მქონდა, ალბერტო ძაკერონის ვთხოვე, უკრაინაში გავეშვი. მანაც გამიგო და დიდი ხნის უნახავი მეგობრებიც სიამოვნებით მოვინახულე — თქვა „შევამ" კონჩა-ზასპაში, კიევის „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე.

იყო თუ არა „იუვესთან" მატჩისას 84-ე წუთზე დანიშნული პენალტი სამართლიანი? ანდრეის აზრით, ბირინდელიმ, რომელიც მას ზურგსუკან წამოეპარა, მარცხენა ფეხი ბურთს გაჰკრა, მარჯვენა კი ქუსლში მიარტყა. მსაჯი პაპარესტაც იქვე იმყოფებოდა და ყოველივე წესების დარღვევად მიიჩნია. „ვფიქრობ, სწორად მოიქცა, პენალტი რომ დანიშნა" — დასძენს შევჩენკო. თუმცა, ობიექტურნი რომ ვიყოთ, ვაღიაროთ, რომ პენალტი არ იყო.

...ლობანოვსკის მიერ ხელდასმულმა სახელი პირველად 1997 წელს, „კამპ ნოუზე" გაითქვა. როდესაც კიევის „დინამომ" „ბარსელონა" 4:0 გაანადგურა. შევჩენკომ კატალონიის დედაქალაქში ჰეთ-თრიქი გააზერხა. ჰოდა, ამის მერე დაეკარგა მოსვენება სილვიო ბერლუსკონის, ეგ ბიჭი ხელში თუ არ ჩავიგდე... ყოველივეს მოკვარახჭინება დონ სილვიომ კლუბის ერთ-ერთ სელექციონერს, ქართველ რევაზ ჭოხონელიძეს დააკისრა. ორწლიანი „ჩალიჩის" შემდეგ ანდრეი შევჩენკო სუპერკლუბში გადავიდა.

შევჩენკო „მილანში" შვიდი ნომერია, რატომ მაინცდამაინც შვიდი? — არჩევანი არ იყო. გუნდში რომ მივიდა, თავისუფალი მხოლოდ მეშვიდე და მერვე ნომრები იყო. შვიდი აირჩია, ბედნიერი რიცხვიაო. ესაა მთელი ისტორია.

**გიორგი ვაშაძიძე**



# ბლატერმა ბევრი ილაპარაკა

### არ ამხელს

მოგეხსენებათ, 6 ივლისს ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართება, რომელზეც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანას აირჩევენ. იქამდე კი ფიფამ კენჭისყრის რეგლამენტი დაამტკიცა. პრეტენდენტი ხუთია: ინგლისი, გერმანია, სამხრეთ აფრიკა, მაროკო და ბრაზილია. ამ ქვეყნების წარმომადგენლები კენჭისყრის წინდღეს, ანუ 5 ივლისს, აღმასკომის წინაშე წარდგებიან და ბოლოჯერ შეეცდებიან, საკუთარი კანდიდატურის უპირატესობა დაამტკიცონ. თავად კენჭისყრა კი ოთხ ეტაპად მოეწყობა. პირველიდან ბრძოლას ის ქვეყანა გამოეთიშება, რომელიც ყველაზე ნაკლებ ხმას მიიღებს. მეოთხე ეტაპზე მხოლოდ ორი კანდიდატი გააღწევს და გამარჯვებულიც ერთ-ერთი მათგანი გახდება.

ფიფამ ერთი დეტალიც გაითვალისწინა. ვინაიდან აღმასკომი ოცდაოთხწევრიანია, შესაძლოა მათი ხმები ფინალისტთა შორის თანაბრად განაწილდეს. ამ შემთხვევაში საბოლოო არჩევანს პრეზიდენტი ზეპ ბლატერი გააკეთებს. ამის გამოა, რომ ბლატერი მეტად დიპლომატიურად იქცევა და თავის სიმპათიებს წინასწარ არ ამჟღავნებს.

### ოთხი წელიც და...

ოთხი წელიც და 2004 წელი დადგება — ფიფა ასწლოვან იუბილეს იზეიმებს. მაგრამ იმ დროს უფრო მნიშვნელოვანი ამბავიც მოხდება, რომელიც მსოფლიოს ფეხბურთში არსებულ სისტემას ძირფესვიანად შეცვლის. საერთაშორისო კალენდრის ჰარმონიზაციაზე მოგახსენებთ.

ზეპ ბლატერმა პარასკევს განაცხადა: „სიხარულით გამცნობთ, რომ ფიფას აღმასკომმა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. მსოფლიოს მასშტაბით ყველა ტურნირის გამართვის ვადების შეჯერებას მივაღწიეთ. ახლა გეგმას ვხვეწთ და ვფიქრობ, 2004 წლიდან ის ამოქმედდება. კმაყოფილი ვარ, რომ წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია."

ბლატერი სიმართლეს არ ამბობს. პროექტს, რომელსაც „ფიფა — პლატინის პროექტის" სახელით იცნობენ, მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. მათგან ყველაზე სერიოზული კი უეფა გახლავთ. უეფას უკმაყოფილების მიზეზი ის არის, რომ ცვლილებები უპირველესად ევროპულ საფეხბურთო კალენდარს ეხება.

მიშელ პლატინის შემუშავებული და ფიფას მოწონებული გეგმის დეტალებს მოკლედ შეგახსენებთ. პლატინისეული კალენდრით წელიწადში ექვსი კვირა სანაკრებო შეხვედრებს უნდა დაეთმოს. ოცდათვრამეტი კვირის განმავლობაში კლუბები ეროვნულ ჩემპიონატებში, ქვეყნის თასზე და საერთაშორისო ტურნირებში ითამაშებენ. დარჩენილი ორი თვე კი დასვენებას და ახალი სეზონისთვის მზადებას მოხმარდება. ამასთანავე კონტინენტების პირველობები.

ყველაზე დიდი ხმაური სეზონის დაწყებისა და დასრულების თარიღებმა გამოიწვია. პლატინის ვერსიით, სეზონი თებერვალში უნდა დაიწყოს და ნოემბერში დასრულდეს. ლენარტ იუჰანსონი ამბობს: „ჩვენთან, ევროპაში, ასეა — ეროვნულ ჩემპიონატებს აგვისტოს ბოლოს ვიწყებთ და მაისში ვამთავრებთ. ამ წესის შეცვლა კი კარგს არაფერს მოგვიტანს."

ერთი პრობლემაცაა. პრემიერლიგაში და პრიმერა დივიზიონში ოც-ოცი გუნდი თამაშობს და საკმარისია ეს გამოყოფილი ოცდათვრამეტი კვირა? ჩემპიონატებს, თასებსა და ევროტურნირებს თუ გავითვალისწინებთ, იქ მოთამაშე ფეხბურთელებს კვირაში ორჯერ მოუწევთ მინდორზე გასვლა.

ზეპ ბლატერი კი იმედოვნებს, რომ საბოლოოდ ყველას დაიყოლიებს. ამას დრო სჭირდება, თუმცა ფიფას პრეზიდენტს თავის გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება. ამიტომაც დათქვა 2004 წელი — ახალი საფეხბურთო ერის დასაწყისი.

და რა იქნება იქამდე? იქნება გაუთავებელი მოთხოვნები კლუბების მხრიდან, ნაკრებში ფეხბურთელების გაშვების სანაცვლოდ ფედერაციებმა კომპენსაცია გადაგვიხადონო. ამაზე ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენ-რუფინენი ამბობს: „ეს უკანონო მოთხოვნაა. მაგრამ ეროვნულ ფედერაციებს კომპენსაციის გადახდა თუ სურთ, დაე, გადაიხადონ, ჩვენ წინააღმდეგები არ ვართ."

### ამას სიკვდილი, იმას ჩამოხრჩობა

გეხსომებათ, იანვარ-თებერვალში აფრიკის თასის გათამაშება რომ ჩატარდა, მონაწილეებს შორის კოტ დივუარიც ერია. ამ ქვეყნის ნაკრებმა მეოთხედფინალში ვერ გააღწია. რა მოხდა მერე, იკითხავთ, უკეთესი გუნდები გვინახავს, შეჯიბრს ნაადრევად რომ გამოთიშვიანო. თუმცა ყველა ასე როდი ფიქრობს. შინ დაბრუნებულ კოტდივუარელ ფეხბურთელებს იქაურმა ხელისუფლებამ სამხედრო ყაზარმაში უკრა თავი — ფეხბურთის თამაში არ იცით და თქვენი ადგილი მანდ არისო. „დამნაშავეებს" სასჯელი მალევე შეუმსუბუქეს, რამდენიმე დღეში ოჯახებში გაუშვეს, მაგრამ ფიფას ეს ამბავი არ გამოჰპარვია. აღმასკომის პარასკევის შეხვედრაზე ამ თემაზეც საუბრობდნენ. ზეპ ბლატერმა განაცხადა, მაგათ სასტიკად დავსჯით, კარგი გაკვეთილი იქნებაო. ბენინს და დასავლეთ აფრიკასაც დაუქნიეს თითი, მშვენივრად ვიცით, ხანდახან თქვენც გავიწყდებათ, ფეხბურთი მხოლოდ სპორტი რომ არისო.

ფიფას ევროკავშირთანაც რთული ურთიერთობა აქვს, მაგრამ ამ სოლიდურ ორგანიზაციას ჭკუის სწავლებას ვერ უბედავს. საქმე კლუბებში უცხოელთა მომრავლებას ეხება. ბლატერმა „ჩელსის" მაგალითი დაასახელა. ჩემპიონთა ლიგის ბოლო მატჩში „ლაციოს" წინააღმდეგ ლონდონელთა სასტარტო შემადგენლობაში არც ერთი ინგლისელი არ იყო. ფიფას პრეზიდენტის თქმით, ჯანლუკა ვიალიმ არასწორი გზა აირჩია: „ისტორიას გადავხედოთ. ბევრი უცხოელის ყოლა წარმატების საწინდარი სულაც არ არის." ამიტომ, სანამ ევროკომისია არსებულ წესში ცვლილებებს შეიტანს, ფიფას ისღა დარჩენია, ინტერნაციონალური კლუბები დამოძღვროს.

### მსოფლიოს ჩემპიონატი გადაიდო

ფიფას აღმასკომმა კაცური საქმეები რომ მოილია, ქალებსაც გადასწვდა. მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატის გამართვა 2002 წელს იყო დაგეგმილი, მაგრამ ქალთა ჩემპიონატი კაცებისას რომ არ დაემთხვეს (ეს, ცხადია, ქალთა ფეხბურთს დააზარალებს), ფიფამ მისი დაწყების თარიღი ერთი წლით გადასწია. მასპინძლის ვინაობა კი არც აქაა გარკვეული. ამ უფლებას ჩინეთი და ავსტრალია ეცილებიან ერთმანეთს.

ბოლოს კი ორ ამხანაგურ მატჩზეც ვთქვათ. 25 აპრილს სარაევოში მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები ჩავლენ და ბურთს გააგორებენ. შემოსული თანხა ომით დაზარალებულ ბოსნიელებს მოხმარდებათ. 16 აგვისტოს კი „სტად დე ფრანსზე" მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი ფიფას ნაკრებს უმასპინძლებს.

**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუსტი მამაკაცი მთვარეზე



ლეონარდომ ჰეთ-თრიქი მამობაშიც შეასრულა

„მილანის" ბრაზილიელი თავდამსხმელი ლეონარდო გულშემატკივრის რჩეულია. მას მოედანზეც და ცხოვრებაშიც კეთილი სახელი აქვს გავარდნილი და თითქოს მეტი რა უნდა ენატრა. მაგრამ ორშაბათს ისეთი რამ მოხდა, რომ ლეონარდომ ხელები ალაპყრო — „ამაზე უკეთესი შეუძლებელია, რაიმე არსებობდეს".

ლეონარდოს მეუღლეს ბეატრისს გოგონა შეეძინა, მესამე შვილი.

**— საზრუნავი მოგემატათ?**

— დიახ, მაგრამ ეს სასიამოვნო საზრუნავია. გოგონას ჯოანა დავარქვი. უნდა ვაღიარო, რომ ამაზე უკეთესი ცხოვრებაში არაფერი განმიცდია. მეც სამშობიაროში ვიყავი და ვღელავდი.. ახლა სიხარულით მთვარეზე დავფრინავ.

**— ეს ემოცია 10-გზის ჩემპიონობას სჯობდა?**

— განსაკუთრებული გრძნობაა, მას ვერაფერს შევადარებ. ამაზე დიდებულს ქვეყნად ნურავინ ნურაფერს ელოდება.

**— ჯოანა ერთადერთია, ვინც იტალიაში დაიბადა...**

— დიახ, ჯულისი და ლუკასი ბრაზილიაში გაჩნდნენ, ჯოანაზე კი მე და ბეატრისი ადრევე ვამბობდით მილანში უნდა დაიბადოსო. ამის გამო მას იტალიის მოქალაქეობას არავინ მისცემს, მაგრამ ეს სულაც არ გახლავთ მნიშვნელოვანი. მთავარი ის არის, რომ მილანი მისთვის და მთელი ჩვენი ოჯახისთვის განსაკუთრებულ ადგილად იქცევა.

**— გილოცავთ! შვილების გუნდს ხომ არ არ აყალიბებთ?**

— ხუმრობა არ გვინდა. სამი საკმარისია. მგონი, 11 შვილის გასაჩენად სუსტი მამაკაცი უნდა ვიყო.

# გაბრაზებული და გაბუტული



სებასტიანო როსი

სებასტიანო როსი, მეკარე, რომელიც 10 წელიწადია „მილანის" კარს იცავს მწვრთნელთან, ალბერტო ძაკერონისთან კონფლიქტის მერე შეიძლება გუნდიდან წავიდეს.

ორშაბათს იტალიურმა გაზეთებმა დაწერეს, რომ 35 წლის როსი ძაკერონიზე პარასკევს გაბრაზებულა. მოგეხსენებათ, ბოლო ტურში „მილანმა" „იუვენტუსს" უმასპინძლა და მართალია, 2:0 მოუგო, მაგრამ ამ საქმეში მწვრთნელმა ვეტერანი გოლკიპერი არ ჩართო და შედეგად განაწყენებული შაბათის ვარჯიშზე ველარ იხილა.

„მისი მილანური კარიერა პარასკევს „სან სიროზე" დასრულდა" — ეწერა „გაძეტა დელო სპორტში" რომლის ვარაუდითაც როსი ამ სეზონში გუნდში აღარ იქნება, ხოლო მაისში სულაც წავა.

ამ სეზონში იტალიის ხუთგზის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი 22 წლის მეკარემ კრისტიან აბიატიმ შეცვალა. მართალია, აბიატიმ სეზონის ერთ მონაკვეთში შესამჩნევად უკლო და „ვენეციასთან" გასვლით შეხვედრაში კარის დაცვა ისევ როსის ანდეს, მაგრამ ვეტერანის დაბრუნება მხოლოდ ერთმატჩიანი გამოდგა.

ხმები როსისა და ძაკერონის კონფლიქტის შესახებ ნიუ იორკში მყოფმა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმაც დაადასტურა. მან იტალიური რადიოს გადაცემაში ტელეფონით მიიღო მონაწილეობა.

„ამ ხმებს ვერ უარვყოფ. „იუვენტუსთან" შეხვედრის შემდეგ გასახდელში მართლაც იყო კამათი, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ იმ დღეს ძაკერონიმ განაცხადში კიდევ ორი ფეხბურთელი არ შეიყვანა, ბრაზილიელი ლეონარდო და გერმანელი ოლივერ ბირჰოფი, თუმცა მათ არ უჩხუბიათ და შეხვედრის დამთავრების შემდეგ საერთო ზეიმსაც შეუერთდნენ. ჩემი აზრით სწორედ ეს დამოკიდებულებაა მისაბაძი. ნებისმიერი გუნდის ნებისმიერი ფეხბურთელი ვალდებულია პირადზე მაღლა გუნდის ინტერესი დააყენოს" — განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა.

როსის „მილანთან" მომავალი წლის ბოლომდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ ისე ჩანს, რომ როგორც კი იტალიაში სატრანსფერო ბაზარი გაიხსნება, მეკარის ხელშეკრულება გაუქმდება.

აღსანიშნავია, რომ ეს გოლკიპერი ერთ-ერთია იმ ხუთ ფეხბურთელს შორის, რომელთაც 1994 წელს ჩემპიონთა თასის დაუვიწყარ ფინალში, „ბარსელონას" წინააღმდეგ ითამაშეს და რომლებიც დღესაც „მილანში" თამაშობენ (ბობანი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა). გარდა ამისა, როსის ეკუთვნის სერია A-ს რეკორდი — 1992-93 წლებში მან 929 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვა.

# ჩვეულებრივი კაცის საუბარი ყველაფერზე

*ალბერტო ძაკერონი დღევანდელი იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩენილი ფიგურათაგანია. მან, როგორც მწვრთნელმა, ჯერ საინტერესო „უდინეზე" შექმნა, მერე კი „მილანს" სკუდეტო დაუბრუნა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ერთი ჩვეულებრივი, უპრეტენზიო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს...*

**— იყო დრო, როდესაც „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი გეპატიჟებოდათ, მაგრამ ერთი-ორი დარეკვის შემდეგ დადუმდა და თქვენც, ალბათ, იფიქრეთ, რომ უმაღლეს დონეზე მუშაობის ბოლო შანსი გაუშვით ხელიდან.**

— მართალი გითხრათ, სერია A-ში აღარ მივიჩქაროდი. კაცმა ცხოვრებაში ყველაფერი უნდა ნახოს. უმაღლეს დონეზე მუშაობის შემდეგ ნახევრად პროფესიულ ლიგაში გადაველი. იცით, „უდინეზე" რომ დავტოვე, ბოლო წამსლა დამიკავშირდნენ და, მართალი გითხრათ, იმდენად დაგვიანებული იყო, კინაღამ ცივი უარი ვუთხარი.

**— „მილანის" წინადადებაზე როგორი რეაქცია გქონდათ?**

— გამიკვირდა. გალიანი („მილანის" ვიცე-პრეზიდენტია) მობილურ ტელეფონზე მაშინ შემეხმიანა, ერთი პროვინციული პატარა საფეხბურთო სტადიონის გახსნაზე რომ მივიჩქაროდი. მან მკითხა, შეიძლება თუ არა ჩვენს გეგმაში შეგიყვანოთო და მთხოვა, უახლოეს ხანს რაიმე სერიოზული სამსახურის შოვნისგან თავი შემეკავებინა.

**— ხშირად გითქვამთ, რომ სატრანსფერო ბაზართან საერთო არაფერი გაქვთ. მართლა ასეა?**

— მე ხომ კლუბში ვმუშაობ. ხშირად დირექტორატის წევრები არიან რაღაცაში დარწმუნებული, ხშირად კი მე ვამტკიცებ რაღაცას. ბუნებრივია, ინფორმაცია იმის შესახებ თუ დედამიწის ზურგზე ვინ, სად, როგორ თამაშობს, კლუბს მეტი აქვს ვიდრე მე, მაგრამ ისინი, როგორც წესი, ვიდეოჩანაწერით სჯიან, მე კი შთაბეჭდილება მაშინ მექმნება, როდესაც ფეხბურთელს ცოცხლად, ბურთით ვხედავ. როდესაც სტადიონზე ზიხარ, მთელი გუნდისა და ბურთის მოძრაობას ცხადად აღიქვამ, რაც, მერწმუნეთ, სულ სხვაა.

**— ახალგაზრდათაგან ვის მოასხამდით თქვენს „სამწვრთნელო მანტოს"?**

— კონკრეტულად ვერავის დავასახელებ, თუმცა ძალიან მომწონს ახალგაზრდა მწვრთნელთა ჯგუფი, რომელსაც ახალი იდეები აქვს და ამ იდეების პრაქტიკული განხორციელების გამბედაობაც ჰყოფნის.

**— ამბობენ, ძაკერონის „მილანში" და ლიპის „ინტერში" საქმეები ცუდად რომ წასულიყო, გუნდებს გაცვლიდნენო, მართალია?**

— ფანტაზიაა, სიგიჟეა. პრესას, ეტყობა, დღედაღამ ფეხბურთელთა ტრანსფერზე წერა მობეზრდა და ახლა მწვრთნელებს მიადგა.

**— თქვენს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვან მატჩს ხომ არ დაგვისახელებდით?**

— ყველაზე მეტად გასულ სეზონში, პერუჯაში ჩატარებულ შეხვედრას გამოვყოფდი. იქ გამარჯვებით ხომ იტალიის ჩემპიონის ტიტული მოვიპოვეთ, თუმცა ყოველ სეზონს თავისი მნიშვნელოვანი მომენტი აქვს. მახსოვს „ჩეზენატიკოში" ჩემი პირველი ჩემპიონატი. მაშინ შინ ბოლო თამაში „ტერამოს" წინააღმდეგ ჩავატარეთ. სერია C-ში დასაბრუნებლად ერთადერთი ქულა გვჭირდებოდა და სწორედ ფრე ვითამაშეთ რაც, თავის მხრივ, დიდებული შედეგი გახლდათ.

**— „მილანის" მიერ ჩატარებულ ყველაზე ხარისხიან თამაშებზე რას იტყოდით?**

— მე რომ მინდა ისე პერიოდულად ვთამაშობთ. ჩემი მიზანია, მუდმივად იმგვარად ვითამაშოთ, როგორც გასულ სეზონში „ლაციოს" წინააღმდეგ შევძელით. მაშინ რომაელები მოედნის საკუთარ ნახევარს არ გამოვაცილეთ.

**— თქვენი კარიერის ყველაზე დიდ იმედგაცრუებაზეც გვითხარით.**

— „სან ლაძაროში" ვმუშაობდი და 1987-88 წლების სეზონში ნახევრად პროფესიონალებში გავარდა. ეს იყო გუნდი, რომელსაც შუა სეზონში ჩავუდექი სათავეში.

**— ყველაზე სასიამოვნოდ რომელი მოგზაურობა გახსენდებათ?**

— ეგვიპტეში გახლდით, ქაიროში ბევრი რამ დავათვალიერე. მართალი გითხრათ, საკუთარი სიამოვნებისთვის, როგორც წესი, ვერ ვიცლიდი, რადგან თავისუფალი დრო უპირატესად საოჯახო სასტუმროს „ამბროზიანას" საქმეთა წაძღოლაზე მეხარჯებოდა. ახლა ეს სასტუმრო დაიხურა და მის საკუთარ სახლად გადაკეთებას ვაპირებ.

**— იდეალურ საღამოს ხომ ვერ აღწერდით?**

— საღამო, რომელსაც მეუღლე ფულვიასა და ვაჟ ლუკასთან ვატარებ.

**— ოჯახი მხარში გიდგათ?**

— დიახ, ისინი ესწრებიან როგორც საშინაო, ასევე საგარეო თამაშებს. დღეს „მილანში" რომ ვარ სულაც მათი დამსახურებაა.

**— რა არის ბედნიერება?**

— ბედნიერება სიმშვიდე და მოწყობილი გარემოა. მიხარია, ასეთ ადამიანებს რომ ვხვდები.

**— მეგობრებში რა თვისებებს ეძებთ?**

— მე თუ მკითხავთ ნამდვილი მეგობრების ყოლა უძნელესი საქმეა. სიყმაწვილეში განუყრელი ძმაკაცი მყავდა, მაგრამ ჩემი პროფესიის გამო ურთიერთობების შენარჩუნება შეუძლებელი გახდა.

**— ქალებზე რაღას იტყოდით?**

— მე ისეთი ქალები მიყვარს, რომლებსაც მამაკაცის მხარდაჭერა და მშვიდი გარემოს შექმნა შეუძლიათ. ვიცი, რომ ერთობ რთული ხასიათის კაცი ვარ და ამას ჩემს მეუღლეს ხშირად ვუმეორებ.

**— რომელ ისტორიულ ფიგურად ყოფნას ისურვებდით?**

— ხალხი ნაპოლეონს მადარებს.



ალბერტო ძაკერონი

**— და რომელ ეპოქაში იცხოვრებდით?**

— ყველა ეპოქას ჰქონდა თავისი ხიბლი, თუმცა მე მე-18 საუკუნე და მეოცეს 60-იანი წლები მხიბლავს.

**— მილანში რომელია თქვენი საყვარელი უბანი?**

— ბრერა მიყვარს. იქ საღამოობით სეირნობაა სასიამოვნო.

**— მილანელი ხალხის შესახებ რას იტყოდით?**

— საურთიერთოდ იოლი ხალხია. ისე, ჩემს სასტუმროშიც უამრავ მილანელს დაუსვენია და კარგად ვიცი მათი ზნე და ჩვევები.

**— ნაკლი აქვთ?**

— საკუთარ დიალექტზე ლაპარაკისა რცხვენიათ, არადა გოეთე ამბობდა, დიალექტი ადამიანის სულიაო.

**— რა გაბრაზებთ?**

— როდესაც ამპარტავან ან უსინდისო ადამიანს გადავეყრები.

**— წარსულის დავიწყებას თუ ცდილობთ?**

— არასდროს არაფერი მავიწყდება. ყველამ საკუთარ საქციელზე უნდა აგოს პასუხი.

**— საყვარელი ფილმი თუ გაქვთ?**

— არა, კინოში არ დავდივარ.

**— მე-20 საუკუნის უდიდესი ადამიანი ვინ იყო?**

— ჩემი აზრით, დედა ტერეზა.

**— დაბოლოს, 10 წლის შემდეგ სად იქნებით?**

— ერთი რამ ნამდვილად ვიცი, ფეხბურთის შემადგენელ ნაწილად დავრჩები. იქნებ ყმაწვილთა წვრთნასაც დავუბრუნდე. თავიდან ხომ ამას ვაპირებდი, მაგრამ მერე ცხოვრების გეზი შემეცვალა.

თარგმნა პაპუნა ძიძიამ

# სარბიელი


## სპორტული ლატარია "CROCO"

საფრანგეთი. II დივიზიონი

30 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 008 გენგამი-კაენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

მჩ შესარჩევი მატჩები

29 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 502 ეკვადორი-ვენესუელა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 503 ურუგვაი-ბოლივია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 504 არგენტინა-ჩილე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 505 პერუ-პარაგვაი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

ამხანაგური მატჩები

29 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 507 ბულგარეთი-ბელარუსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 508 ისრაელი-საქართველო | ანგარიში – 5,0 | | |
| 509 ჩეხეთი-ავსტრალია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 510 საბერძნეთი-რუმინეთი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 511 ხორვატია-გერმანია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 512 ავსტრია-შვედეთი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 513 ბელგია-ჰოლანდია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 514 შვეიცარია-ნორვეგია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 515 უნგრეთი-პოლონეთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 516 უელსი-ფინეთი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 517 შოტლანდია-საფრანგეთი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 518 ესპანეთი-იტალია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 519 პორტუგალია-დანია | 1,8 | 2,9 | 4,2 |

კალათბურთი

29 მარტი

811 ვაშინგტონი-დენვერი
812 დეტროიტი-შარლოტი
813 ჩიკაგო-კლივლენდი
814 იუტა-ფილადელფია
815 სიეტლი-ნიუ იორკი
816 ვანკუვერი-ლეიკერსი

30 მარტი

817 ნიუ ჯერსი-ტორონტო
818 მაიამი-ჩიკაგო
819 ატლანტა-ფინიქსი
820 მინესოტა-ჰიუსტონი
821 სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი
822 კლიპერსი-მილუოკი

ჰოკეი

29 მარტი

831 ფლორიდა-დალასი
832 მონრეალი-ბოსტონი
833 კაროლინა-ნეშვილი
834 დეტროიტი-ვანკუვერი
835 სენტ ლუისი-ტორონტო
836 კოლორადო-ედმონტონი
837 ლოს ანჯელესი-სან ხოსე

30 მარტი

838 ვაშინგტონი-პიტსბურგი
839 ბოსტონი-სენტ ლუისი
840 ტამპა ბეი-ოტავა
841 ჩიკაგო-ტორონტო

**კალათბურთის და ჰოკეის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით**

კალათბურთი. ევროლიგა. III მატჩები

30 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 823 ეფესი-ვილერბანი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 824 მაკაბი-ფორტიტუდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 825 ბარსელონა-ოლიმპია | 1,2 | 12,0 | 3,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მაიამი ვეტერანთა ქალაქია



ჯენიფერ კაპრიატი

**კი ბისკეინი. აშშ. „ერიქსონის ღია პირველობა“. ჰარდი. საპრიზო 5,76 მილიონი $**

როდესაც ჯენიფერ კაპრიატი ზედიზედ ამხობდა ჩოგბურთის რეკორდებს, იგებდა ტიტულებს და სამუდამოდ იმკვიდრებდა ადგილს მილიონობით გულშემატკივრის გულებში, სერენა უილიამსი სკოლაში წერა-კითხვას სწავლობდა.

მას შემდეგ კაპრიატიმ იმდენი რამ გადაიტანა ცხოვრებაში, ბარე ორ კაცს ეყოფოდა: ვირის აბანო, გაუთავებელი დეპრესიები, ნარკომანთა სარეაბილიტაციო კლინიკა... საჩოგბურთო ოლიმპზე კი ამასობაში სულ სხვები მოკალათდნენ.

ორშაბათს კი ბისკეინის ცენტრალურ კორტზე ორი სხვადასხვა თაობის გამორჩეული და ყველაზე დაკუნთული ჩოგბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს და აღმოჩნდა, რომ დაკარგულ წლებში ჯენიფერს თამაშის მხრივ ბევრი არაფერი დაუკარგავს.

კაპრიატისა და უმცროსი უილიამსის ცენტრალურ მერვედფინალურ მატჩში საუკეთესო პირველი, საათზე მეტხანს გაგრძელებული სეტი იყო. ორი ჯანიანი დიაცი გატაცებით დაქროდა კორტზე და ისე გამეტებით ურტყამდა ბურთს, თითქოს სურდა, თითოეულ გათამაშებაში მეტოქისთვის რაღაც დაემტკიცებინა.

სერენა თითქმის მთელ სეტის მანძილზე ერთი ნაბიჯით, ერთი გეიმით, ერთი ბრეიკით წინ იყო, მაგრამ თეთრკანიანმა ფლორიდელმა თავისი მძლავრი ფორჰენდი აამუშავა, მეტოქეს ერთხელაც აართვა მოწოდება და ტაი-ბრეიკზე ნერვების დუელში იმარჯვა.

მეორე ხელში კაპრიატი გადაღლილი ჩანდა, ეტყობოდა, დაწინაურებას დიდი ენერგია დაახარჯა და სანამ გონს მოვიდოდა, სერენამ ანგარიშის გათანაბრებაც მოასწრო.

გადამწყვეტი სეტის დასაწყისში ერთი უსიამოვნო ინციდენტი მოხდა — უილიამსის აშკარად აცილებული ბურთი გვერდითმა არბიტრმა სამართლიანად მიიჩნია აუტად, მაგრამ საქმეში მთავარი მსაჯი ჩაერია და რატომღაც ქულა, მასთან ერთად კი გეიმიც, შარშანდელ ფინალისტს უწყალობა.

მოთმინებადაკარგულმა კაპრიატიმ კარგა ხანს იკამათა, მას მაყურებლებმაც დაუჭირეს მხარი და დაახლოებით 5 წუთის მანძილზე გამაყრუებლადაც უსტვინეს, თუმცა რა ხეირი.

სამაგიეროდ, გაბრაზებულმა ჯენიმ ბოღმა საკუთარ თავზე კი არა, მეტოქეზე გადმოანთხია, ისევ შესანიშნავად ათამაშდა და სულ მალე 5:1-ით დაწინაურდა. მეტოქისთვის ბოლოს მოღება კაპრიატის ოდნავ გაუჭირდა, განერვიულდა და სულელური შეცდომებიც დაუშვა, მაგრამ საბოლოოდ მაინც იმარჯვა 7:6 (7:2), 1:6, 6:3.

„დაუჯერებელია, ძალიან ბედნიერი ვარ. დიდი ხანია, მნიშვნელოვან ტურნირებზე ასეთი დონის მეტოქისთვის არ მიჯობნია. როგორც იქნა, მძიმე შრომამ ნაყოფი გამოიღო. ნამდვილად მჯერა, რომ ამ პირველობის მოგებაც ძალმიძს, თუმცა მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ“ — განაცხადა კაპრიატიმ, რომელსაც დღეს 24 წელი უსრულდება.

უილიამსს კი აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, მორიგ მარცხს შეჰგუებოდა. შარშან შემოდგომაზე სერენა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი გახლდათ და შეუჩერებელიც იყო, მაგრამ აშშ-ის ღია პირველობის მოგებამ მასზე დადებითი კი არა, უარყოფითი გავლენა იქონია. ამერიკელმა დაასკვნა, რომ დიაც კოლეგებს ერთი თავით სჯობდა, ჯერ კაცებთან გაჯიბრება მოინდომა, მერე ვარჯიშს უკლო და ამისთვის ახლა მწარედაც ისჯება.

„თითოეული წაგება შოკში მაგდებს., ამას შეჩვეული არა ვარ. მან ძალიან კარგად ითამაშა, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენა — თავი იმართლა სერენამ, რომელმაც მატჩში 77 უნებლიე შეცდომა დაუშვა — შინ რომ დავბრუნდები, მამაჩემთან ყველაფერზე სერიოზულად უნდა ვისაუბრო. როგორღაც მოწოდება მომეშალა და ეს ჩვეული უპირატესობის ნაცვლად დიდ პრობლემებს მიქმნის“.

თაობათა ჭიდილში ამ დღეს კიდევ ერთი ახალბედა სუპერვარსკვლავი — ანა კურნიკოვაც (9) დამარცხდა. 18 წლის რუსმა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან მონიკა სელეშს (8) მეორე სეტში კი აჯობა, მაგრამ გადამწყვეტ ხელში ისე უსუსურად ითამაშა, რომ მშრალად წააგო 1:6, 6:3, 0:6.

გაპროფესიონალებიდან თითქმის 4 წლის თავზე კურნიკოვას ჯერაც არ მოუგია თუნდაც ერთი ტურნირი და ბევრს ეჭვიც ეპარება, მას თამაში უფრო აინტერესებს თუ ჟურნალების ყდებზე გამოჭიმვა, დაუსრულებელი ფოტოგადაღებები და მავან ჰოკეისტებთან კურკური.

„თქვენი აზრით, მე კორტზე არასაკმარისად სერიოზული ვარ?“ — პრესკონფერენციაზე კითხვაზე კითხვით მიუგო განაწყენებულმა რუსმა ერთ ჟურნალისტს — „აბა, ისე საუკეთესო ათეულში როგორ მოვხვდებოდი. ვცდილობ, მთელი აურზაური დავივიწყო, მაგრამ ეს იოლი არ არის, თანაც მე ვერაფერს შევცვლი. ისღა დამრჩენია, გავმაგრდე, კანი კიდევ უფრო გავისქელო და ვითამაშო“.

სელეშმა მატჩის შემდეგ თავის უმცროს კოლეგას გული გაუკეთა: „იშვიათად მინახავს, ვინმე ისეთი მონდომებითა და დიდხანს ვარჯიშობდეს, როგორც ანა. ამჟამად მას რამდენიმე ჩოგბურთელი სჯობს, მაგრამ ეს მალე შეიძლება შეიცვალოს. მან გარკვეული ელემენტები უნდა გააუმჯობესოს, ტიტულის მოპოვება კი მხოლოდ დროის ამბავია“.

**ქალები. მერვედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — კიმ კლაისტერსი (28, ბელგია) 6:0, 6:4; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (15, რუსეთი) 6:4, 6:4; ამანდა კუტცერი (18, სამხრეთ აფრიკა) — კონჩიტა მარტინესი (6, ესპანეთი) 6:1, 6:2; სანდრინ ტესტიუ (12, საფრანგეთი) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 5:7, 6:4, 6:4; ემი ფრეზერი (19, აშშ) — ნატალი დეში (21, საფრანგეთი) 6:3, 7:5; ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) — საბინე აპელმანსი (25, ბელგია) 6:3, 6:2.**

ქალებისგან განსხვავებით, კაცებმა მესამე წრე რაიმე დიდი სენსაციის ან თუნდაც გამორჩეულად დაძაბული და ლამაზი მატჩის გარეშე გაასრულეს. ერთადერთი მოულოდნელობა ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტის, შვედი მაგნუს ნორმანის (5) მარცხი იყო ბოლო ხანებში თვალსაწიერად დაკარგულ ამერიკელ ჟან-მაიკლ გემბილთან 3:6, 6:3, 3:6.

სამაგიეროდ, მერვედფინალში ერთბაშად რამდენიმე ღირსშესანიშნავ დუელს უნდა ველოდეთ, რომელთაგან ყველაზე დიდ ინტერესს მსოფლიოს პირველი ჩოგნის, ანდრე აგასისა და აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონის, პატრიკ რაფტერის მატჩი იწვევს.

ნახევარწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ რაფტერი ნელ-ნელა შედის ფორმაში. ავსტრალიელს ტურნირის შარშანდელ ფინალისტ, ფრანგ სებასტიან გროსჟანთან ძალიან გაუჭირდა, პირველი სეტის წაგების შემდეგ მეორეშიც 2:4-ით ჩამორჩა, მაგრამ ბადესთან დიდებული თამაშის წყალობით რთულ სიტუაციას თავი დააღწია 2:6, 6:4, 6:3.

„ნელ-ნელა მართლაც ვუმატებ, მაგრამ დიდი სიხარულის საბაბს ვერ ვხედავ. ნაოპერაციევი მხარი მატჩების ბოლოს მტკივა-ხოლმე და ღმერთმა იცის, როდის მიმტყუნებს“ — არც ისე ოპტიმისტურად გამოიყურებოდა ავსტრალიელი.

**მესამე წრე. ევგენი კაფელნიკოვი (3, რუსეთი) — ფერნანდო მელიგენი (30, ბრაზილია) 6:4, 6:3; გუსტავო კუერტენი (6, ბრაზილია) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 7:6 (7:4), 6:3; მარსელო რიოსი (8, ჩილე) — ნიკოლა ესკუდე (26, საფრანგეთი) 6:2, 3:6, 6:1; ნიკოლას ლაპენტი (9, ეკვადორი) — ფელიქს მარტია (24, ესპანეთი) 5:7, 6:1, 6:1; მარკ ფილიპუსისი (22, ავსტრალია) — სედრიკ პიოლინი (11, საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7:3); ლეიტონ ჰიუიტი (14, ავსტრალია) — ტომი ჰაასი (19, გერმანია) 6:1, 6:3; ანდრე აგასი — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:4, 6:3.**

**ავთანდილ სვანიძე**




პატრიკ რაფტერი

კრივი



დონ კინგი (მარცხნივ) ლენოქს ლუისს ჩასაფრებია

# გამაგრდი, ლენოქს!

## დონ კინგი ბრიტებს ქამარსართმევს

რა ხალხია ამ კრივში!

ნახევარი წელიწადიც არ გასულა, რაც ბრიტმა ლენოქს ლუისმა ამერიკელი ევანდერ ჰოლიფილდი დაამარცხა, სამი დიდი დაწესებულების ქამარი შემოირტყა და მძიმე წონის უდავო ჩემპიონი შეიქნა.

ლუისის ბანაკმა იმთავითვე გამოაცხადა, რომ დაცვით ბრძოლებს მხოლოდ უდავო ჩემპიონობისთვის გამართავს, ანუ სამ ქამარს ცალცალკე კი არ დაიცავს, არამედ მხოლოდ ერთად. პირველი ამგვარი დაცვისთვის მოწინააღმდეგეც ღირსეული შეირჩა, ნაღდად უძლიერესი პრეტენდენტი, ამერიკელი მაიკლ გრანტი. მაგრამ აქ სცენაზე გამოვიდა განთქმული პრომოუტერი დონ კინგი, რომელმაც განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ჰოლიფილდთან შერკინებამდე ლუისმა კონტრაქტი დაუდო, რომლის თანახმადაც გამარჯვებულ ლუისს პირველი ტიტულის დაცვა ასოციაციის (ვბა) პირველ პრეტენდენტთან უნდა ჩაეტარებინა. პირველი პრეტენდენტი კი ჯონი რუისი გახლავთ. მაიკლ გრანტი მხოლოდ მეხუთეა ასოციაციის სიაში. ამის მიუხედავად, ასოციაციამ ნება დართო ლუის-გრანტის შერკინებისა. კინგი არ დაწყნარდა, ლუისის ბანაკმა კი მანჰეტენის სასამართლოში შეიტანა სარჩელი კინგის წინააღმდეგ.

ამასობაში, ფედერაციამ (იბფ) წამოყო თავი და განაცხადა, გრანტი ჩვენი პირველი პრეტენდენტი სულაც არ არის, ჩვენი რჩეული ახალზელანდიელი დევიდ ტუააო (გრანტს ტუა დამარცხებული ჰყავს). ამიტომ ლუისი ტუას უნდა შეხვდესო. ეს საქმე ნიუ იორკის სასამართლომ განიხილა და ფედერაცია გაამტყუნა.

მანჰეტენში კი საქმე სხვაგვარად მიდის. ლუისის ბანაკი ეგებ ნანობს კიდეც, რომ კინგს უჩივლა. ბებერი დონი მოითხოვს, რომ ლუის-გრანტი ჩაიშალოს და ლუისი რუისს ეჩხუბოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლუისს ასოციაციის ქამარი ჩამოერთვას და მისთვის რუისმა და ასოციაციის მეორე ნომერმა ჰოლიფილდმა იბრძოლონ. ლუისს არ აწყობს 29 აპრილისთვის დაგეგმილი გრანტთან შერკინების ჩაშლა. ის 10 მილიონ დოლარს იღებს, გრანტი ოთხს. კინგმა კი უკვე გამოაცხადა, რომ რუისი ჰოლიფილდს შეერკინება, თუმცა მისთვის საჩემპიონო შინაარსის მინიჭება სასამართლოს დასრულებამდე არ მოხერხდება. უკვე დაჩალიჩებულან ჰოლიფილდის ადვოკატები, რომლებიც ამბობენ, ჰოლიფილდს რუისზე ბევრად ძლიერი მოკრივენი დაუმარცხებია და ასოციაციის პირველი ნომერიც ის უნდა იყოს, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში ჩემპიონობის პრეტენდენტი ჰოლიფილდიაო.

ლუისის მენეჯერი პანოს ელიადესი ამბობს, რომ სასამართლო კინგს სიმპათიურად უყურებს. კინგმა საუცხოოდ დაიძვრინა თავი ლუისის ადვოკატთა შეტევისგან და იქით შეუტია. ახლა საქმე ისეა, რომ კინგის მიერ წარდგენილი საბუთები მეტად სერიოზულად გამოიყურება. თუმცა, ლუისის ბანაკს კონტრაქტის ერთი პუნქტის იმედი აქვს, სადაც ლაპარაკია, რომ ლუისი უნდა შებრძოლებოდა ასოციაციის მაშინდელი პირველ პრეტენდენტ ჰენრი აკინვანდეს, ან სხვა რომელიმე ფასეულ პრეტენდენტს. აკინვანდეს „ბ“ ჰეპატიტი შეეყარა და აღარ ჩხუბობს, „ფასეულ პრეტენდენტთა“ შორის კი გრანტიც ისევე იგულისხმება, როგორც რუისი.

თუმც კი, კინგს ვერავინ წაართმევს ბრძოლის მოწყობის უფლებას.

ყველაფერი მომავალ კვირაში გაირკვევა.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

მძლეოსნობა

# სიკვდილიდან სიარულამდე

კალიფორნიის შტატის ქალაქ ირვინში 73 წლისა გარდაიცვალა ცნობილი თარჯიმნი, 110 მეტრზე ლონდონის 1948 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი და რეკორდსმენი უილიამ პორტერი. იგი უკანასკნელ გზაზე ცოლმა, ოთხმა შვილმა, შვიდმა შვილიშვილმა, ორმა ბაღიშმა, დისწულმა და ძმისწულმა გააცილეს მრავალრიცხოვან საზოგადოებასთან ერთად. ამ დროს თუ ცოტა გვიან ეთიოპელმა ალემაჰუ სიმერეტუმ ტურინის ცნობილ მარათონზე კენიური კვარტეტი გააწბილა და პირველი ადგილი დაიკავა. სიმერეტუმ კლასიკური მარათონული დისტანცია — 42 კილომეტრი და 195 მეტრი ორ საათში, 8 წუთსა და 34 წამში დაფარა და ბოლო ორ მილზე 25 წამი მოუგო უახლოეს კენიელს, ელია კორირს, რომელსაც მცირე ინტერვალით კიდევ სამი თანამემამულე მიჰყვებოდა უკან. თუმცა ტურინში გრძელი დისტანციების კენიური მონოპოლია ბოლომდე მაინც არ დარღვეულა. ქალთა ანალოგიური გარბენი სწორედ იქაურმა ზანგმა მოიგო და სანაქებოდაც: ფლორენს ბარსოსიომ ორ წუთზე მეტით გაასწრო პოლონელ ანიელა ნიკიელს და ფინიში უშფოთველად გადალახა. ქალთა მესამეადგილოსანიც უნდა ვახსენოთ, რადგან იტალიას ეთიოპიიდან ჩასული ტელედეჭ ბისასთვის ეს მარათონი ცხოვრებაში პირველი იყო და მესამე ადგილით კარიერის დაწყება ურიგო როდია.

ახლა კი სლოვაკეთში გადავინაცვლოთ და მძლეოსნობის იმ სახეობაზე ვისაუბროთ, რომელიც თითქოს მივივიწყეთ. არადა, იგი კარგა ხანია ოლიმპიადების პროგრამების განუყრელი ნაწილია. სლოვაკურ დუდინცეში ორიოდე დღის წინ სპორტულად მოარულნი შეგროვდნენ. მათში ცნობილი გვარსახელის პატრონებსაც შენიშნავდით და ერთი მნიშვნელოვანი შედეგი უმალ დაფიქსირდა. 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მომგებმა, 31 წლის ფინელმა, ვალენტინ კონენენმა დუდინცეში 50 კილომეტრის გასავლელად 3 საათი, 39 წუთი და 34 წამი დახარჯა, ყველა დროის მეექვსე შედეგი უჩვენა. კონენენმა სტარტიდანვე ენერგიულად გააბიჯა, სულ პირველი იყო და ფინიში უახლოეს მდევარზე 15 წუთითა (!) და 22 წამით ადრე გადაკვეთა.

**დავით გულუა**

# საჩუქარი წითლების კაპიტანს

## ზე-12 მეხუთე ტური

24 მარტი

**ოკლენდი (ახალი ზელანდია) 31:17 სიდნეი (ავსტრალია)**

ოკლენდი:4ლ — ფლეველი (2), ვიდირი, დოუდი; 1გ. და 2ს — ტეილორი; 1ა — აიი
სიდნეი: 2ლ — პეინი, დოულინგი; 2გ. და 1ს — ბარკი

25 მარტი

**ბრისბენი (ავსტრალია) 37:17 ჰამილტონი (ახალი ზელანდია)**

ბრისბენი: 4ლ — ლეთემი (2), კოკბეინი, უილსონი; 4გ — ფლეტლი (2), დრემი (2); 3ს — დრემი
ჰამილტონი: 3ლ — რენდლი, ტეილორი, რიანა; 1გ — ჯექსონი

**პრეტორია (სამხრეთ აფრიკა) 19:28 კანბერა (ავსტრალია)**

პრეტორია: 1ლ — ლეონარდი; 1გ., 3ს. და 1ა — დე ბეერი
კანბერა: 3ლ — ბართოლომეუსი (2), გრეგანი; 2გ. და 3ს — მორტლოკი

**ველინგტონი (ახალი ზელანდია) 29:23 იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა)**

ველინგტონი: 4ლ — ოჰოლორანი, უმაგა (2), კალენი; 3გ. და 1ს — ლილი
იოჰანესბურგი: 2ლ — კოენი, უილიამსი; 2გ. და 3ს — კოენი

26 მარტი

**კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია) 47:31 კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა)**

კრაისტჩერჩი: 6ლ — ვუნიბაკა (2), მარშალი, ბლეკედერი, რალფი, კრიბი; 4გ — მერთენსი (3), მაკდონალდი; 3ს — მერთენსი
კეიპტაუნი: 4ლ — რუ (2), ვიზაჟი, დე ვეტი; 4გ — ფან სტრაატენი (2), მარკჰემი, ფან ზილი; 1ს — ფან სტრაატენი



ველინგტონი — იოჰანესბურგი 29:23. სტუმართა ლიდერი ანდრე ფენტერი (ბურთით) მოედნიდან ხელცარიელი გავიდა

ზე 12-ში უქულოდ ერთი გუნდიც აღარაა. აქამდე ყველა მატჩში დიდი ანგარიშით დამარცხებულმა ავსტრალიურმა ბრისბენმა ბოლოს და ბოლოს მოიგო. თანაც ტურნირის დაწყებამდე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად შერაცხულმა გუნდმა ახალზელანდიელები დაამარცხა. ეს კუნძულელთა პირველი წაგება იყო ზე 12-ის წლევანდელ გათამაშებაში სხვა ქვეყნის კლუბთან.

ტური პარასკევს დაიწყო ოკლენდისა და სიდნეის შერკინებით „იდენ პარკზე". ტურნირის 1996 და 97 წლების გამარჯვებული ოკლენდის შემადგენლობაში საუკეთესო უდავოდ ორი ლელოს გამტანი ტროი ფლეველი იყო, თუმცა სტუმართა კაპიტანი ჯეისონ ლითლი წაგებას უმთავრესად საკუთარ გუნდს აბრალებდა: „ბევრი ბურთი მოვიპოვეთ და სულ ხელით თამაშს ვცდილობდით, მაგრამ, სამწუხაროდ, შეცდომები თავზესაყრელი გვქონდა. თავიდან დავიბენით და რვა წუთში ორი ლელო გავუშვით."

ეს ორივე ლელო კი სწორედ ფლეველის ანგარიშზეა. მან ჯერ თამაშის დაწყებიდან ერთ წუთში მარცხენა ფლანგზე გაილაღა, შემდეგ კი მარჯვნიდან უწია მოწინააღმდეგის სალელოე მოედანს. ტაიმის მიწურულს შონ პეინმა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გაიტანა ლელო და შესვენებაზე თავისიანები მატჩის გადარჩენის იმედით გაუშვა — 13:7. მეორე ორმოცწუთეული ახალი დაწყებული იყო, როცა მასპინძელთა უკანახაზელმა ილიესა ტანივულამ, ჯოელ ვიდირის ფეხით მშვენიერი პასი მისცა და მანაც ანგარიშში სხვაობა კიდევ ხუთი ქულით გაზარდა. თუმცა რამდენიმე წუთში იგივე ტანიულა უხეშად შეცდა, რის შედეგადაც დოულინგმა იხეირა. თითქოს ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი დაკარგული ავსტრალიელთათვის, მაგრამ იან კენედის გუნდმა, ისევე როგორც ერთი კვირის წინ მაჩანჩალა დურბანთან, ახლაც უამრავი შეცდომა დაუშვა. სუსტი თამაში სიდნეელებს დურბანმა არ აპატია და მასზე გაცილებით ძლიერი ოკლენდი კარგ დღეს დააყრიდა? საბოლოოდ კრეიგ დოუდმა მეოთხე ლელოს გატანაც მოახერხა და თავის გუნდს პრემიალური ქულაც მოუტანა.

შაბათს დანარჩენმა ორმა ავსტრალიულმა კლუბმაც იმარჯვა.

კატასტროფული სტარტის შემდეგ როგორც იქნა, მოიგო ბრისბენმა. დეივიდ უილსონმა კი, ვინც ჯონ ილსის არყოფნაში გუნდის კაპიტანია, განაცხადა, რომ კრიზისი დაძლეულია და ბრისბენი მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. არადა, ასეთი უხეირო დასაწყისის მერეც რომ შეიძლება გუნდი ზე 12-ის ჩემპიონი გახდეს, შარშან კრაისტჩერჩმა დაამტკიცა, როცა საწყისი ოთხი მატჩი დათმო. გაივლის თუ არა ბრისბენი იგივე გზას, ძნელი სათქმელია. ამას მომავალი გვიჩვენებს.

მატჩი უილსონისთვის საიუბილეო იყო. მან წითლების მაისურით მეასეჯერ ითამაშა და უნდა ითქვას, რომ მშვენიერი საჩუქარიც მიიღო — პირველი მოგება, პირველი პრემიალური ქულა და ლელო. ორივე გუნდი მთელი შეხვედრის მანძილზე ღია, შეტევა რაგბის თამაშობდა და მაყურებელმაც ძლიერ ისიამოვნა. თავიდან, დაახლოებით ათი წუთის მანძილზე, უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ ისინი მასპინძელთა დაცვის გარღვევას ვერ ახერხებდნენ. მერე კი ბრისბენმაც გამოიღო ხელი. ჯერ მეტ კოკბეინმა გამოიყენა ტაიუტაი კეფუს კარგი გადაცემა, 23-ე წუთზე კი იუბილარმაც გამოიჩინა თავი — 14:0. თუმცა ჰამილტონი დანებებას არ აპირებდა და 32-ე წუთზე როჯერ რენდლმა მშვენიერი ლელოც გაიტანა. ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა ორი „ვოლაბი" დაკარგეს — ბენ ტიუნმა და დემიან სმიტმა ტრავმები მიიღეს. პირველს ექიმებმა სამკვირიანი უქმობა გამოუწერეს, მეორე კი უფრო მალე დაუბრუნდება „წითლებსო", განაცხადეს. მათ ნაცვლად ნათან უილიამსი და შონ დრემი ჩაებნენ თამაშში და არცთუ ურიგოდ. მეორე ტაიმი ხუთიოდ წუთის დაწყებული იყო, კრის ლეთემმა რომ ივაჟკაცა. დრემმა გარდასახვა ზუსტად შეასრულა და მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, გადაწყდა. ჰამილტონმა ერთი კიდევ გაიბრძოლა და ანგარიშში სხვაობა 7 ქულამდე შეამცირა (17:24), მაგრამ საბოლოოდ 20 ქულით დამარცხდა.

კანბერა კეიპტაუნის ძლევის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში მეორე გუნდს, პრეტორიას ესტუმრა. კეიპტაუნში რომ მოიგეს, ზოგიერთმა ავსტრალიელმა მორაგბემ ერთობ გაილაღა და ადგილობრივ პოლიციასთან პრობლემებიც შეექმნა, მაგრამ ამ თამაშისთვის ყველაფერი მოგვარებული იყო და სტუმრებიც უძლიერესი შემადგენლობით გავიდნენ მინდორზე. პრეტორიამ წააგო და ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ მოგების სიტკბო არ უგემია. იგი, ალბათ, ასეც გააგრძელებს და ბოლო ადგილსაც შარშანდელივით არავის დაუთმობს.



კრაისტჩერჩი — კეიპტაუნი 47:31. გაქცეული სტუმარი რობი ფლეკი (ბურთით) და მდევარი მასპინძელი ჯასტინ მარშალი

### სატურნირო ცხრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დანიდინი | 4 | 4 | 0 | 0 | 3 | 0 | 145:87 | 19 |
| ველინგტონი | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 0 | 155:125 | 19 |
| კრაისტჩერჩი | 4 | 4 | 0 | 0 | 1 | 0 | 133:94 | 17 |
| კანბერა | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1 | 123:62 | 15 |
| სიდნეი | 5 | 2 | 0 | 3 | 1 | 2 | 135:108 | 11 |
| ოკლენდი | 4 | 2 | 0 | 2 | 2 | 1 | 94:96 | 11 |
| იოჰანესბურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 0 | 2 | 115:150 | 10 |
| კეიპტაუნი | 5 | 1 | 1 | 3 | 1 | 1 | 105:132 | 8 |
| ჰამილტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 1 | 2 | 92:113 | 7 |
| ბრისბენი | 4 | 1 | 0 | 3 | 1 | 0 | 84:137 | 5 |
| დურბანი | 4 | 1 | 0 | 3 | 0 | 1 | 79:137 | 5 |
| პრეტორია | 4 | 0 | 1 | 3 | 0 | 1 | 70:103 | 3 |

*მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია*

### ყველაზე შედეგიანები

მეტიუ ბარკი (სიდნეი) — 72 ქულა
ტონი ბრაუნი (დანიდინი) — 61
ენდრიუ მერთენსი (კრაისტჩერჩი) — 58
ჯანი დე ბეერი (პრეტორია) — 50
სტირლინგ მორტლოკი (კანბერა) — 48
ლუის კოენი (იოჰანესბურგი) — 45
შონ დრემი (ბრისბენი) — 45
ბრაამ ფან სტრაატენი (კეიპტაუნი) — 44

### საუკეთესო მელელოეები

ენდრიუ უოლკერი (კანბერა) — 5 ლელო
ტანა უმაგა (ველინგტონი) — 5
კრისტიან კალენი (ველინგტონი) — 4
ტროი ფლეველი (ოკლენდი) — 4
მარკ ბართოლომეუსი (კანბერა) — 4
კრის ლეთემი (ბრისბენი) — 4

### მეექვსე ტური

31 მარტი

**ველინგტონი — ოკლენდი**

1 აპრილი

**კანბერა — იოჰანესბურგი**

**კრაისტჩერჩი — დანიდინი**

**ბრისბენი — სიდნეი**

**პრეტორია — დურბანი**

2 აპრილი

**ჰამილტონი — კეიპტაუნი**

დისკვალიფიკაციამოხდილი ტანა უმაგა კი შეემატა ველინგტონს, მაგრამ ჯონი ლომუმ კვლავ არ ითამაშა. თუმცა ამას მასპინძლებისთვის მოგებაში ხელი არ შეუშლია. იოჰანესბურგმა მაინც დიდი წინააღმდეგობა გაწია და კოენის 18 ქულის წყალობით ერთ პრემიალურ ქულასაც გამოჰკრა ხელი.

ტურის ბოლო მატჩი კვირას გაიმართა და მეტად უხვლელოიანიც გამოდგა. ექვსჯერ მასპინძლებმა გაიხარეს და ოთხჯერ სტუმრებმა. კრაისტჩერჩის დამრტყმელი ენდრიუ მერთენსი ჩვეულ ფორმაში ნაღდად ვერ იყო და ამიტომაც, თავიდან კეიპტაუნი დაწინაურდა. თუმცა მარშალისა და ბლეკედერის წინამძღოლობით მასპინძლებმა შეძლეს თამაშის სადავეების საკუთარ ხელში აღება და კვლავაც დაუმარცხებლები არიან. ისინი მომავალ ტურში ასევე წაუგებელ დანიდინს დაუხვდებიან. ნამდვილად მაგარი ჯახი იქნება...

**გაიოზ თალაკვაძე**

---

ველორბოლა

# ყველგან არ უნდა გარისკო

შაბათს, ესპანეთში დამთავრდა „კატალონიის კვირეული". ბოლო ეტაპი ორი ნაწილისგან შედგებოდა. დილით მრბოლებმა სერდინიოლა დელ ვალესის გარშემო 76 კილომეტრი დაფარეს. გზა იმდენად მოკლე იყო, რომ ვინმეს ღირებული შეტევის განხორციელება აზრადაც არ მოსვლია. პელოტონმა ერთად დაიწყო რბოლა და ისევე დაამთავრა. ჯგუფურ სპრინტში ყველას ესტონელმა იან კირსიპუუმ აჯობა. ფინიშიდან რამდენიმე საათის შემდეგ კი სპორტსმენები ინდივიდუალურ რბოლაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს.

ბარსელონას მიდამოებში 12 კილომეტრის გავლას, ყველაზე ნაკლები დრო ფრანგმა ლორან ჟალაბერმა მოანდომა. პარიზ-ნიცას მოულოდნელი გამარჯვებული ანდრეას კლოდენი მას ექვსი წამით ჩამორჩა, აქამდე საერთო ჩათვლის ლიდერი ესპანელი ხავიერ პასკუალ როდრიგესი კი — 29-ით.

ეს მსოფლიოს საუკეთესო მრბოლის (ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ვერსიით) რიგით 128-ე წარმატება იყო. ბოლო ეტაპის მოგებით, შარშანდელის მსგავსად, ჟალაბერმა მთლიანად ტურნირიც მოიგო. მისი მთავარი მეტოქე ჰოლანდიელი მიქაელ ბოგერდი იყო. „კატალონიის კვირეულის" 1998 წლის ჩემპიონმა ნახა, ჟალაბერი ჩემზე სწრაფად მიჰქრისო და გარისკა — მოსახვევებშიც კი არ ამცირებდა სიჩქარეს და დაისაჯა კიდეც. ბოგერდმა ერთხელ ზუსტად ვერ გათვალა და ველოსიპედიდანაც ჩამოვარდა. შედეგად იგი რბოლას გამოეთიშა და ექიმთა წინასწარი დასკვნებით რამდენიმე კვირით იძულებითი დასვენებაც მოუწევს. ჟალაბერმა დაამტკიცა, რომ საკმაოდ კარგ ფორმაშია, მაგრამ შეინარჩუნებს კი მას, „ტურ დე ფრანსამდე", საკითხავი ესაა.

**გაგი გურული**

### კატალონიის კვირეული

მეხუთე ეტაპი, პირველი ნაწილი

სერდინიოლა დელ ვალესი, 76 კმ

1. იან კირსიპუუ (ესტონეთი, AG2R) — 1სთ 43 წთ 04 წმ
2. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
3. მარსელ ვუსტი (გერმანია, ფესტინა)
4. ივან კარანტა (იტალია, მობილვეტა)
5. იგორ ასტარლოა (ესპანეთი, მერკატონე უნო) — ყველას იგივე დრო

მეორე ნაწილი

ბარსელონა, ინდივიდუალური რბოლა, 12 კმ

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) — 16 წთ 11 წმ
2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ტელეკომი) — +6 წმ
3. დავიდ კანადა (ესპანეთი, ონსე) — +24
4. ჯუზეპე დი გრანდე (იტალია, ფესტინა) — +26
5. ხავიერ პასკუალ როდრიგესი (ესპანეთი, კელმე) — +29

### საერთო ჩათვლა

1. ლორან ჟალაბერი — 17 სთ 27 წთ 15 წმ
2. ხავიერ პასკუალ როდრიგესი — +25 წმ
3. ჯუზეპე დი გრანდე — +28
4. გაბრიელე კოლომბო (იტალია, კანტინა ტოლო) — +30
5. ანდრეას კლოდენი — +32



„ონსეს" სპორტული დირექტორი მანოლო საისი ლორან ჟალაბერს ემასლაათება


REUTERS

ჩინური წყვილის ჩინებული მოკლე პროგრამა: ხუ შენი და ჰონგბო ჟაო

# სიხარულიძეს ძალი შეუმოწმეს

ნიცაში ფიგურულად მოსრიალეთა მსოფლიოს ჩემპიონატი სკანდალურად დაიწყო. უპირველეს ფავორიტებად შერაცხული, მსოფლიოს ჩემპიონები რუსეთიდან, ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე, შეჯიბრიდან მოკვეთეს. მიზეზი ბერეჟნაია გახლავთ. მას ის ტრადიციული დანაშაული დაუმტკიცეს, რომელიც ბოლო ხანს სპორტსმენებს ჩვეულებად ექცათ — დოპინგის მოხმარება და ეს ყველაფერი ზედ ჩემპიონატის წინა დღეს მოხდა. ჯერ არავინ იცის, კონკრეტულად რა გზით მოხვდა ბერეჟნაიას ორგანიზმში აკრძალული ნივთიერება, ვერც თავად დოპინგის სახეობა სახელდება უტყუარად და ისიც გასარკვევია, შეგნებულად ჩაიდინა ბერეჟნაიამ ეს, თუ როგორც თავად და თითქმის ყველა სპორტსმენი ამტკიცებს, შეცდომის მსხვერპლი გახდა. ბერეჟნაიას მწვრთნელის, ტამარა მოსკვინას განცხადებით, მის შეგირდს ხანდახან თურმე ბრონქები აწუხებდა და საამისო წამალს სვამდა, ხოლო ცუღლუტობაზე ფიქრი თავშიც არ გაუვლია. განსხვავებული რამ თქვა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა ვიქტორ მამატოვმა, ბერეჟნაიას სისხლში ფენილ-პროპანოლ-ამინი უპოვეს, რომელსაც სტენოკარდიის დასათრგუნვად იყენებენ, ოღონდ აკრძალული პრეპარატების სიაში არსად ირიცხებაო. ახლა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რახან ბერეჟნაია-სიხარულიძის წყვილიც ამოშალეს ნიცაში ლაღად მოსრიალეთა ნუსხიდან, ამან შინაგანად თუ ვინმე გაახარა, უპირველესად ჩინური დუეტი, ხუ შენისა და ჰონგბო ჟაოს შემადგენლობით. აღმოსავლელები წინა პირველობაზე სწორედ ხსენებული რუსებისგან დაჩაგრულან და ახლა ისინი რომ ჩამოეცალათ, მოკლე პროგრამაში დანარჩენებს გადაუარეს, ოღონდ არც ისე იოლად. ჩინელთა უპირველეს კონკურენტებად ისევ რუსები, მარია პეტროვა და ალექსეი ტიხონოვი მიიჩნეოდნენ და პირველობისთვის სწორედ ამ ხალხმა იბრძოლა გააფთრებით. ჩინელებმა სტრავინსკის მუსიკა მოიხმარეს და ჩაიკოვსკის დიდებული აკორდების თანხლებით ორიოდე შეცდომანაჭამ რუსებს მცირედით გაუსწრეს. შენი და ჟაო პირველი ჩინელები გახდნენ, ვისაც წყვილებში მსოფლიოს პირველობა მოუგია, რასაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უეჭველად სამთავრობო დონეზე დაფასებაც მოჰყვება. გამარჯვებულთა კომენტარები ჩინური დიპლომატიით იყო გაჯერებული. მოციგურავეებმა ბერეჟნაიას ამბავზე წუხილი გამოთქვეს და აქ რომ ყოფილიყო და ჩვენთან ერთად ესრიალა, ის გვერჩივნაო, დაუმატეს. თუმცა ისიც აღნიშნეს, დღეს მაღალ დონეზე გამოვედით და ამით ვამაყობთო, რაც პეტროვასა და ტიხონოვს არ უთქვამთ. „მეტად დასანანი შეცდომები დავუშვით“— შენიშნა ტიხონოვმა — „თორემ ჩემპიონობის რიგიანი შანსები გვქონდა“.

ნიცის საციგურაო დარბაზის კედლებში ორიოდე წუთის განმავლობაში ფრანგული სტვენაც ისმოდა. იგი მას შემდეგ დაიწყო, რაც კანადელმა ახალბედებმა, ჯემი სეილმა და დევიდ პელეტიემ მასპინძლებს, სარა აბიტბოლსა და სტეფან ბერნადისს მესამე ადგილი წაართვეს. ოღონდ ვის უსტვენდნენ, ძნელი დასადგენია, ალბათ, უფრო დამხვდურებს.

საქართველოს სახელით ლაჟვარდოვან სანაპიროზე მოსრიალე ევგენია ფილონენკო და ალექსანდრ ჩისტიხი მოკლე პროგრამაში მე-18 ადგილზე გავიდნენ.

**დავით გულუა**



# ნიუ იორკი — კრახი

27 მარტი

**რეინჯერსი — დეტროიტი 0:6**
**(0:2 0:2 0:2)**

**0:1 გილი 15'03 (2); 0:2 აიზერმანი 16'07 (34); 0:3 გილკრისტი 32'29 (4); 0:4 აიზერმანი 38'54 (35); 0:5 მოლტბი 46'30 (6); 0:6 ჰოლმსტრიომი 49'27 (13)**

ლიგის უმდიდრესი კლუბი, რომელმაც მოთამაშეთა შესაძენად 30 მილიონზე მეტი დახარჯა, პლეი ოფს დაემშვიდობა. ნიუიორკელებმა დეტროიტთან ორდღიანი სერია ისე უსიტყვოდ დათმეს (2:8, ახლა კი — 0:6), თითქოს ამით დაადასტურეს, ბრძოლას ვწყვეტთო. „ყველაფერი დასრულდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. ჩვენ დავიმსახურეთ ეს კრახი“ — თქვა მატჩის შემდეგ გუნდის თავკაცმა ჯონ მაკლერმა. აღსანიშნავია, რომ მატჩის განმავლობაში მაყურებლებს ეჭირათ პლაკატები, რომლითაც მწვრთნელის დათხოვნას მოითხოვდნენ. გუნდის ყველაზე ძვირადღირებულ შენაძენს, ტეო ფლერის განსაკუთრებული მონდომებით უსტვენდნენ.

**კაროლინა — ბუფალო 1:5**
**(0:1 1:2 0:2)**

**0:1 მაკი 9'08 (5); 1:1 რობერტსი 27'19 (21); 1:2 კ. ბრაუნი 27'36 (20); 1:3 შატანი 35'09 (32); 1:4 ციპლაკოვი 48'15 (12); 1:5 გილმორი 51'31 (25)**

პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლ გუნდთა შორის, ისეთი მძაფრი დაპირისპირება არ მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო. მასპინძლებმა ნაწილობრივ დომინიკ ჰაშეკის (31 მოგერიება), ნაწილობრივ კი უიღბლობის წყალობით ბევრი მომენტი გაფლანგეს. „ხმლებმა“ კი, რომელთაც კვლავ აკლდათ კაპიტანი მაიკ პეკა, თავიანთი შანსები კარგად გამოიყენეს. დედლაინზე შეძენილმა დუგ გილმორმა და მიროსლავ შატანმა ოთხ-ოთხი ქულა მიითვალეს.

**სან ხოსე — ედმონტონი 1:2**
**(1:0 0:0 0:2)**

**1:0 ჰარვი 1'29 (10); 1:1 სელივანოვი 41'23 (23); 1:2 მორო 47'40 (17)**

ედმონტონმა კვლავ გამოიჩინა დიდი ნებისყოფა, ხოლო მეკარე ტომი სალომ, ბოლო წუთებზე ორი საწაულებრივი მოგერიებით, გუნდის უშუალო კონკურენტთან გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

**კოლორადო — ჩიკაგო 3:1**
**(0:0 1:0 2:1)**

**1:0 ბურკი 24'22 (16); 1:1 სალივანი 46'14 (18); 2:1 ჰეიდუკი 57'30 (33); 3:1 რიდია 59'39 (11)**

მატჩის ბედი კოლორადოელთა შეუჩერებელმა კაპიტანმა ჯო საკიკმა გადაწყვიტა, რომელმაც ორი ჩინებული პასით ჯერ რეი ბურკი აზეირა, შემდეგ — მილან ჰეიდუკი.

## სატურნირო ვითარება

ალმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ნიუ ჯერსი* | 76 | 42 | 8 | 5 | 26 | 235:188 | 97 |
| *ვაშინგტონი* | 75 | 41 | 11 | 1 | 23 | 207:176 | 94 |
| *ტორონტო* | 75 | 41 | 7 | 3 | 27 | 229:203 | 92 |
| *ფილადელფია* | 75 | 40 | 12 | 3 | 23 | 217:166 | 95 |
| *ფლორიდა* | 75 | 40 | 5 | 5 | 30 | 223:191 | 90 |
| *ოტავა* | 74 | 37 | 11 | 2 | 26 | 221:190 | 87 |
| პიტსბურგი | 75 | 32 | 8 | 6 | 35 | 222:220 | 78 |
| ბუფალო | 76 | 32 | 10 | 3 | 34 | 200:196 | 77 |
| მონრეალი | 76 | 32 | 9 | 3 | 35 | 178:179 | 76 |
| კაროლინა | 76 | 32 | 10 | 0 | 34 | 202:207 | 74 |
| რეინჯერსი | 78 | 29 | 11 | 3 | 38 | 214:233 | 72 |
| ბოსტონი | 75 | 23 | 18 | 6 | 34 | 193:224 | 70 |
| აილენდერსი | 76 | 22 | 8 | 1 | 46 | 180:260 | 53 |
| ტამპა | 74 | 17 | 8 | 7 | 49 | 182:278 | 49 |
| ატლანტა | 74 | 13 | 7 | 4 | 54 | 153:281 | 37 |

დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *სენტ ლუისი* | 75 | 48 | 10 | 0 | 17 | 229:147 | 106 |
| *დალასი* | 75 | 41 | 8 | 5 | 26 | 193:166 | 95 |
| *კოლორადო* | 77 | 37 | 11 | 1 | 29 | 218:192 | 86 |
| *დეტროიტი* | 77 | 46 | 9 | 2 | 22 | 262:195 | 103 |
| *ლოს ანჯელესი* | 76 | 36 | 10 | 4 | 30 | 233:218 | 86 |
| *ედმონტონი* | 76 | 29 | 16 | 8 | 31 | 207:195 | 82 |
| ფინიქსი | 75 | 35 | 7 | 3 | 33 | 215:213 | 80 |
| სან ხოსე | 76 | 32 | 9 | 7 | 35 | 213:202 | 80 |
| ანაჰაიმი | 77 | 32 | 12 | 2 | 33 | 203:214 | 78 |
| ვანკუვერი | 76 | 28 | 14 | 8 | 34 | 210:219 | 78 |
| კალგარი | 76 | 30 | 9 | 5 | 37 | 196:236 | 74 |
| ჩიკაგო | 76 | 29 | 9 | 2 | 38 | 222:234 | 69 |
| ნეშვილი | 76 | 26 | 7 | 7 | 43 | 189:223 | 66 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები*


REUTERS

კოლორადოელი მეკარე პატრიკ რუა ჩიკაგოელი მიხალ გროშეკის ყირამალას გაუკვირვებია

# ლარი ეშმაკების ხელშია

ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე დღით ადრე მწვრთნელის დათხოვნა თავისთავად ყურადსაღები მოვლენაა, კონფერენციის ლიდერის თავკაცისა — მით უმეტეს. გასულ კვირას ნიუ ჯერსის ხელმძღვანელი რობი ფტორეკი გაანთავისუფლეს. მაინც რამ აიძულა „ეშმაკთა“ მესვეურები, ასე მოქცეულიყვნენ, წინ ხომ პლეი ოფია? საქმე ისაა, რომ ბოლო ხანს ნიუ ჯერსი ერთობ მოდუნდა და კონკურენტებს თავისთან მიახლოების საშუალება მისცა, გუნდს ვერც ცნობილი მოთამაშეების, ალექსანდრ მოგილნისა და ვლადიმერ მალახოვის შეძენა წაადგა. თუმცა ჩემპიონატის მსვლელობისას ჩავარდნა გარდაუვალია და ეგებ ნიუ ჯერსის ბოსებსაც დაეხუჭათ თვალი ამაზე, რომ არა ფტორეკის გართულებული ურთიერთობა შეგირდებთან. „ეშმაკთა“ მწვრთნელი ნამდვილი დესპოტი ყოფილა. იგი ყველაფერს კადრულობდა, რათა ათვალწუნებული ჰოკეისტები როგორმე დაემცირებინა. მაგალითად, საგარეო მატჩების დროს მას შეეძლო, სრულიად უმიზეზოდ თადარიგში დაეტოვებინა ან ეპიზოდურად გამოეყენებინა მოთამაშე, რომლის ახლობელ-ნათესავებიც თამაშს ესწრებოდნენ. ამიტომაც იყო, როცა ერთ-ერთ ნიუჯერსელს, ლაილ ოდელეინს ჰკითხეს, აპირებდა თუ არა ის ზაფხულში კლუბთან კონტრაქტის განახლებას, მან პასუხად ჩაიბურტყუნა, სანამ ფტორეკი გუნდშია, ამას არ გავაკეთებო (საბოლოოდ ოდელეინი ფინიქსში გადავიდა).

ასე იყო თუ ისე, ფტორეკის ბატონობას ბოლო მოეღო და ახალ მწვრთნელად მისი ასისტენტი ლარი რობინსონი დაინიშნა, რომელიც თავის დროზე ჩინებული ჰოკეისტი იყო. 44 წლის რობინსონი ნიუ ჯერსიში მისვლამდე, ოთხი წლის განმავლობაში ლოს ანჯელესს ხელმძღვანელობდა და კალიფორნიელები დღემდე გულთბილად იხსენიებენ მას. ლარის თავის ამჟამინდელ შეგირდებთანაც საუცხოო დამოკიდებულება აქვს. ვნახოთ, შეძლებს თუ არა იგი ნავსის გატეხვას — სამი წელია, „ეშმაკები“ ჩემპიონატში კარგად ასპარეზობენ, თუმცა პლეი ოფის პირველივე რაუნდიდან ბრძოლას ეთიშებიან.

ჯერჯერობით კი რობინსონის დებიუტი წარმატებული გამოდგა. ნიუ ჯერსიმ 8:2 გაანადგურა აილენდერსი, თანაც კვლავ გამოიჩინეს თავი ბოლო დროს ჩრდილში მოქცეულმა პატრიკ ელიაშმა (2+2) და პეტრ სიკორამ (2+2), ალექსანდრ მოგილნიმაც გახსნა პირადი ანგარიში ახალ კლუბში. მართალია, ამის შემდეგ „ეშმაკები“ ტორონტოსთან 3:5 დამარცხდნენ, მაგრამ უკლებლივ ყველა მოთამაშემ აღნიშნა, რომ გუნდში ატმოსფერო საგრძნობლად გაუმჯობესდა.

**სამველ ლარიბიანი**

# ნუ წააჰდენთ კარგ თამაშს ღვარძლით და ბოღმით!

**საქართველოს 9 ჩემპიონატი 3 ტური მესამე**

ვერის ბაღი. 28 მარტი

**სტუ 91:73 მაკაბი**

I ტაიმი 46:31

**სტუ:** თორთლაძე (21), დ. მოისწრაფიშვილი (8), ტუღუში (11), ორმოცაძე (18), კორძაძე (9); სულაძე (3), ოთიურიძე (7), ლოსაბერიძე (9), მიქაძე (2), ზ. ჩუბინიძე (3)

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (20), ტალაბაძე (5), ბ. ნოზაძე (10), ფერიაშვილი (10), შენგელია (22); მჭედლიშვილი, სარქისიანი (6)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**საქართველოს 9 ჩემპიონატი 3 ტური მესამე**

ვერის ბაღი. 28 მარტი

**სდასუ 62:64 ვითა**

I ტაიმი 28:33

**სდასუ:** ხოშტარია (25), გ. ჩხეიძე (6), უძილაური (19), ლ. აბულაძე (2), მაჭარაძე (6); ნ. ნოზაძე, არჩვაძე (2), გ. ნაცვლიშვილი (2)

**ვითა:** უსტიაშვილი, ტურაშვილი (21), შანიძე (4), კოკილიშვილი (18), ახალკაცი (13); გ. გაგნიძე (8), ქევხიშვილი

**მსაჯები:** გია მოლოდინაშვილი, ზაზა მაჩალაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**საქართველოს 9 ჩემპიონატი 3 ტური მესამე**

ვერის ბაღი. 28 მარტი

**ბასკო 81:83 აზოტი**

I ტაიმი 38:46

**ბასკო:** მაისურაძე (6), დავითულიანი (20), ბეჟანიშვილი (7), ქარაბაკი (21), ვ. კილაძე (18); ბაქრაძე, ბელიაევი (3), აბრამიძე (4), არხიპოვი (2)

**აზოტი:** ა. ჟღენტი (8), გოგობერიშვილი (27), წიკლაური (20), ბაბიაშვილი (16), გოგოლაძე (3); გაბისონია (9)

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**გიორგი ბიკაშვილი**

**გუშინ** ერთმანეთს შინაური კალათბურთის ორი გრანდი, „ბასკო" და „აზოტი" დაეძგერა. სათქმელადაა იოლი, თორემ კარგა ხანია, ამათი ჯახი სპორტულ ჩარჩოებში ველარ ეტევა. გამარჯვების წყურვილი და მოზღვავებული ემოცია ირგვლივ ყველაფერს ბინდავს, დიდი თუ პატარა, მწვრთნელი, მსაჯი თუ მოთამაშე თავდავიწყების მორევში იძირება და ალგზნებულ-გახელებულ ქომაგობას სასეიროს რაღა მოაკლებს.

უბედურებაც სწორედ ის გახლავთ, რომ თამაში, რომელიც დღესასწაულად (ჩვენი მასშტაბებით) უნდა იქცეს, მუქი ფერებით იმოსება და გულშემატკივარიც თითქოს გულმოკლული ტოვებს იქაურობას. ნაწყენი არა იმიტომ, რომ მისმა საქომაგო გუნდმა წააგო (მაგიტომაც), უფრო იმიტომ, რომ შეურაცხყოფილად გრძნობს თავს: მას არ ხიბლავს ასეთი კალათბურთი, კარგად ესმის აზარტის არსი, მაგრამ სპორტულ ჟინს ღვარძლსა და ბოღმას ვერაფრით უთავსებს.

ენა ვის მოუბრუნდება და უჯიგრობას ვინ დასწამებს გუშინდელი მატჩის გმირებს. მეტოქეებს არც ოსტატობა დაეწუნებათ (აქაც ჩვენი საზომებით), მაგრამ განა ეს ისაა, რაც ჩვენ გვსურს და გვიზიდავს? — არა და არა.

ჩვენ გვინდა (ყველას, ვისაც გული შესტკივა ქართულ კალათბურთზე), მოთამაშეები იყვნენ ნამდვილი რაინდები; პატივი სცენ ერთმანეთს და მათ სანახავად მოსულ ხალხს, ითამაშონ კალათბურთი და არ უჩნდებოდეთ მსაჯის ცემის სურვილი!

არა, მსაჯი გუშინ არავის უცემია. „ბასკოს" რუსი ლეგიონერი ბელიაევიც (ალბათ, რუსი რომ არის, იმიტომ) ერთი ორჯერ გადაურჩა გასილაქებას, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგადაა, როდემდე უნდა იყვნენ მსაჯები გამშველებლის იმედზე? მანამ, სანამ მსაჯობას არ ისწავლიანო — მიპასუხებს მავანი. ძნელია ასეთს შეედაო, უფრო სწორად, არც ღირს ასეთთან კამათი, მას უბრალოდ უნდა უთხრა, შეეცადო აუხსნა, რომ ყველა იმას აკეთებს, რაც იცის, მსაჯიც, მწვრთნელიც და მოთამაშეც. შეუმცდარი კი არავინაა...

თავად თამაში კარგი იყო, ნაკლს ვერ მოუნახავ. ნამდვილ ბრძოლას ღირსეული გამარჯვებულიც ჰყავდა — რუსთავის „აზოტი". არც „ბასკოს" დაამადლიდა ვინმე მოგებას, მაგრამ ამჯერად ხმელიძის გუნდი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. რუსთაველებმა ნავსი გატეხეს და ძირითად დროშივე დაამარცხეს უხერხულ მეტოქედ ქცეული „ბასკო" (მანამდე „აზოტი" ზღვისპირულ გუნდს ორჯერ ეთამაშა და ორჯერვე ოვერტაიმში წააგო).

მატჩის დებიუტი თანაბარი გამოდგა. ხუთი წუთის შემდეგ ბათუმელთა უპირატესობა გამოიკვეთა და მაისურაძის ზუსტი სამიანით „ბასკო" 15:8 დაწინაურდა. რუსთაველთა მცდელობასაც ფუჭად არ ჩაუვლია. მართალია, „აზოტი" ქულებს ძნელად აგროვებდა, მაგრამ გუნდის აგრესიული შეტევების შეფერხება მოწინააღმდეგეს უმეტესად დაჯარიმების ფასად უჯდებოდა. შედეგად „ბასკოს" ძალიან მალე დაუგროვდა 7 გუნდური ჯარიმა, აქედან 3 გოგობერიშვილის მეურვე დავითულიანზე მოდიოდა. მის ნაცვლად მოედანზე შემოსულმა ბელიაევმა ვერაფერი დააკლო გოგობერიშვილს და „აზოტის" ლიდერის ძალისხმევით წონასწორობაც მალევე აღდგა — 15:15.

ბათუმელთა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ გადაადგილებები მოახდინა, სამჯერ დაჯარიმებული მაისურაძეც სათადარიგოებში გაიხმო და მისი ფუნქციების შესრულება ახლა მამუკა აბრამიძეს დააკისრა. პასიური ლევან ქარაბაკი კი ანტონ არხიპოვით შეცვალა.

რუსმა ლეგიონერმა ბურთთან პირველივე შეხება ორი ქულით აღნიშნა და თავისიანები ოთხი ქულით წინ გაიყვანა. ამის მერე კი „აზოტი" აბობოქრდა, ვიცე-ჩემპიონებმა დაცვა ერთიორად გაამკაცრეს, 3-წუთიანი მონაკვეთი 10:0 მოიგეს და თავად დაწინაურდნენ.

კუთვნილ წუთშესვენებაზე ტომარაძე შეეცადა, სიახლე შეეტანა თავისი გუნდის თამაშში. ამისთვის მან კილაძეც დააბრუნა მოედანზე და ქარაბაკიც, მაგრამ ფრთაშესხმულმა რუსთაველებმა ზეწოლა გააძლიერეს და ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე სხვაობამ 15 ქულას უწია — 38:23.

„ბასკო" ბოლოსდა გამოერკვა, ბათუმელებმა მთლიანად ქარაბაკზეააწყეს თამაში და როცა ექვსი კაცით მოთამაშე „აზოტს" დაღლაც დაეტყო, სასწორი ზღვისპირელებისკენ გადაიხარა. დარჩენილ დროში, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო 15-ქულიანი სხვაობის გაბათილება.

მეორე ტაიმში „ბასკომ" დაცვაში ზონური ტაქტიკა ირჩია. მეტოქის ამ მეთოდმა აშკარად დააფრთხო „აზოტი", ნაცვლად იმისა, რომ კალათბურთელები ბურთის სწრაფ გათამაშებას მისძალებოდნენ, პირიქით, ტემპი დააგდეს და შეტევები შეაყოვნეს, რაც ზღვისპირელებმა არ აპატიეს და ქარაბაკის გარღვევის შემდეგ ახლა ვიცე-ჩემპიონი იქცა მდევრად.

გუნდების ვნებათაღელვა მსაჯებსაც გადაედოთ, რამდენიმე ეპიზოდში ისინი დროულად ვერ გაერკვნენ, ყოველივემ კი ერთიორად დაძაბა ვითარება. საქმეში მატჩის კომისარი, მურმან ქურიძეც ჩაერია. იგი ერთხანს მკაცრად ესაუბრა მეტოქეთა მწვრთნელებს და მათ წესრიგისკენ მოუწოდა. შეხვედრაც ასე 5 წუთი გაჭიანურდა და მერეღა განახლდა.

ნერვიულობა დიდად ვნებს „აზოტს". ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ და რაღა ეს შემთხვევა იქნებოდა გამონაკლისი. ხსენებული ეპიზოდის შემდეგ ხმელიძის გუნდი მოიშალა, „აზოტს" შეტევაში ორგანიზება მოაკლდა, ვერც დაცვაში თამაში შეათანხმა ძველებურად და დამთავრებამდე 6 წუთიღა აკლდა, როცა 10 ქულით (64:74) ჩამორჩა მოწინააღმდეგეს.

ბათუმელთაგან ლომის წილი დაიდო ალეკო დავითულიანმა, რომელიც წამდაუწუმ აწიოკებდა მეტოქეს და საბედისწეროდ, მე-5 პერსონალური რომ არ მიელო, იქნებ უიმედო დღეში ჩავარდნილიყო „აზოტი".

ის იყო, ხალხმა ლაპარაკი იწყო — „აზოტს" თუ დალუპავს, ისევ თავისივე ზედმეტი ნერვიულობაო — წიკლაურმა აიწყვიტა. ლევანმა ორი გარღვევა თავადვე დააგვირგვინა და როცა გოგობერიშვილმაც ხელი წააშველა, ზღვისპირელთა 10-ქულიანი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. ამან ბასკოელი კილაძე იმდენად ააღელვა, რომ საჯარიმოს ხაზიდან წიკლაურს ნასროლი რომ გაუცუდდა, „კილამ" ბურთს თავისსავე კალათში მიუჩინა ადგილი.

ამის ანაზღაურება „ბასკომ" მალევე შეძლო, მაგრამ მომდევნო ეპიზოდში ტომარაძის გუნდი ელემენტარული უყურადღებობის გამო დაისაჯა. ბათუმელებმა უმეთვალყუროდ დატოვეს ზაზა გაბისონია, რომელსაც მანამდე 4 ნასროლი სამიანიდან ერთიც ვერ ჩაეგდო. ამან გაბისონიას ნერვიც ვერ შეუტოკა და მეხუთე ცდაზე საწადელიც აისრულა. რუსთაველმა სამიანი რომ ჩააგდო, „აზოტი" ქულით დაწინაურდა — 78:77.

სირენამდე 24 წამით ადრე იგივე გაბისონია ბეჟანიშვილზე დაჯარიმდა. ვაკოს ორივე საჯარიმომ მიზანს უწია და 81:80 — წინ „ბასკოა".

მატჩის გმირობა ბედმა სწორედ „აზოტის" უკანახაზელს, ზაზა გაბისონიას არგუნა. რუსთაველებმა ბურთი კარგა ხანს ათამაშეს, თუმც სასროლ პოზიციაში თავი ვერც ერთმა ამოყო. სხვა გზა რომ აღარ იყო, გაბისონიამ გადაწყვიტა სროლა, იგი სამქულიანი ხაზიდან საკმაოდ მოშორებით იდგა და ორი მცველი ავიწროვებდა. ზაზამ მაინც გარისკა, ესროლა და სასწაულებრივი ჩააგდო. დარჩენილ სამ წამში კი „ბასკოს" სროლის შანსი აღარ მიეცა...

ბოლოსთვის შეგნებულად მოვიტოვეთ აზოტელი ლევან წიკლაური. მან კარიერაში, ალბათ, საუკეთესო მატჩი ითამაშა „ბასკოს" წინააღმდეგ. ქარაბაკი, კილაძე და ბეჟანიშვილი აშკარად დაჩრდილა რუსთაველთა თავდამსხმელმა, აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრის, ბერუაშვილის გარეშე დარჩენილ „აზოტს" (მიშას საერთოდ არ უთამაშია) „წიკომ" ფარქვეშ ყველანაირი პრობლემა მოუხსნა და თავისიანთა სასახელო გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი.

დაძაბულობა არც სდასუ — „ვითას" შეხვედრას მოაკლდა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ეს გუნდები მეოთხე საფეხურზე დამკვიდრებას ეშურებიან, რათა პლეი ოფში თამაში დაიბევონ.

ყოველდღიურ თამაშს მიუჩვეველი კალათბურთელები თითქოს დაღლილად გამოიყურებოდნენ. გუნდები მძიმედ მოქმედებდნენ და თვალსაჩინო უპირატესობას ვერც ერთი მათგანი აღწევდა. შეხვედრის შინაარსში თვალნათლივ იკითხებოდა, რომ კულმინაცია დროის დინებას უნდა მოეტანა. რაც უფრო ნაკლები დრო რჩებოდა, უფრო და უფრო იძაბებოდა თამაში.

ვარაუდი გამართლდა, უშელავათო ბრძოლა ბოლო წუთებში გაჩაღდა. ბუნებრივია, რომ მატჩის ბედიც ამ დროს გაირკვა. ვითელმა ნუგზარ კოკოლიშვილმა საჯარიმოს ხაზიდან ორი ქულით დააწინაურა თავისიანები. სდასუ-ს საპასუხო შეტევისთვის მთელი 31 წამი ჰქონდა, მაგრამ მეტოქეს ვეღარაფერს გამორჩა. ხოშტარიას ნასროლზე ჩხეიძის დამატებული კალათზე კი დატრიალდა, მაგრამ...

„მაკაბისთან" შეხვედრაში სტუ თავიდანვე 17:0 დაწინაურდა და მატჩის სადავეები აღარც გაუშვია ხელიდან. წინა დღით ტრაგიკულად დაღუპული თანაგუნდელის, ბაქარ ფიცხელაურის ხსოვნის პატივსაცემად მაკაბელებს მკერდზე სამგლოვიარო ნიშნები ეკეთათ. ყოველივემ გუნდის ხასიათზეც მნიშვნელოვნად იმოქმედა და, შეიძლება ითქვას, „მაკაბი" ტექნიკოსთა გუნდს უბრძოლველად დანებდა.




ბასკო — აზოტი 81:83. ალეკო დავითულიანი (№15) აზოტელი ზვიად ბაბიაშვილის წინააღმდეგ

**საქართველოს 9 ჩემპიონატი 3 ტური მესამე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 25 | 23 | 2 | 2349:1883 | 48 |
| აზოტი | 25 | 20 | 5 | 2279:1898 | 45 |
| სტუ | 25 | 18 | 7 | 2242:1829 | 43 |
| ვითა | 25 | 16 | 9 | 2098:2000 | 41 |
| სდასუ | 25 | 16 | 9 | 2057:1906 | 41 |
| მაკაბი | 25 | 14 | 11 | 2102:1881 | 39 |

**საქართველოს 9 ჩემპიონატი 3 ტური მესამე**

## საუკეთესო მოთამაშე

**ლევან წიკლაური -აზოტი-**




*რუსთაველებმა მანამდე შეუძლებელს მიაღწიეს და მესამე ცდით გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი დაამარცხეს. „აზოტის" თავდამსხმელმა ლევან წიკლაურმა კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა.*

**— ლევან, მოდით, „მაკაბისთან" მატჩით დავიწყოთ. „აზოტი" მიმდინარე ჩემპიონატში მეორედ მარცხდება გუნდთან, რომლის ეჭვსეულში მოხვედრა რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურამდე საეჭვო იყო...**

— „მაკაბიმ" ვიცე-ჩემპიონი კი არა, ჩემპიონი დაამარცხა რეგულარულ ჩემპიონატში და თანაც ორივე შეხვედრაში. თამაში არ გამოგვივიდა. ამას ისიც დაერთო, რომ ბერუაშვილი შეუძლოდ იყო და ამიტომაც დავმარცხდით. ოცდაერთჯერ ნასროლი სამქულიანიდან მხოლოდ სამი რომ მიაღწევს მიზანს, რა წარმატებაზეა ლაპარაკი?

**— მართალია, „ბასკოსთან" გამარჯვებას გაბისონიას სამქულიანი სროლის შემდეგ მიაღწიეთ, მაგრამ ეს მოხდა შეხვედრის ბოლო წამებზე, მანამდე კი გუნდს სამქულიანი სროლები არც ამჯერად გამოსდიოდა ჩვეულად, ვერც ბერუაშვილმა მოასწრო გამოჯანმრთელება...**

— „ბასკოსთან" უფრო მობილიზებულნი გავედით მოედანზე, რადგან უდიდესი იყო ზღვისპირელებთან გამარჯვების სურვილი. რეგულარულ ჩემპიონატში ხომ ორჯერვე დამატებით დროში დავმარცხდით. ბედი აშკარად არ გვწყალობდა და უსამართლობა იქნებოდა, ამჯერადაც არ გაგვმართლებოდა.

**— რამდენად დამსახურებულია გამარჯვება, რომელსაც გუნდი ძირითადი დროის დამთავრებამდე სამი წამით ადრე ჩაგდებული ბურთით აღწევს. რა გარანტია იყო, რომ ის ბურთი ჩავარდებოდა?**

— შეხვედრაში, რომელსაც ერთხანს 15 ქულის სხვაობით ვიგებდით, გამარჯვებას ნამდვილად ვიმსახურებდით.

**— ნაადრევად ხომ არ ირწმუნეთ გამარჯვება. მეორე ტაიმში უკვე თქვენ აღმოჩნდით მდევრის როლში და თანაც ათი ქულით.**

— გადაიღალა გუნდი, ექვსი კაცით ორი ტაიმის ერთ დონეზე ჩატარება და, თანაც, ლიდერთან შეხვედრაში, დამეთანხმებით, ძალიან ძნელია. პირადად მე შეუცვლელად ვითამაშე.

**— თქვენს კარიერაში საუკეთესო მატჩს თუ დაგვისახელებთ?**

— ეს დღევანდელი შეხვედრა იყო, მაგრამ უკეთესზეც ვოცნებობ.

**— 197-სანტიმეტრიანი სპორტსმენი როგორ ახერხებთ, რომ ფარზე ბრძოლას იგებთ და თანაც თქვენზე ბევრად მაღალ კალათბურთელებთან?**

— ვერ გეტყვით, ახსნა მიჭირს.

## სლოვენია

ექვსეულის V ტური

პივოვარნა — ოლიმპია 79:78, სავინსკი — ტრიგლავი 93:74

**სლოვანი 76:89 კრკა**

სლოვანი: ნოვაკი (9), ლაკოვიჩი (12), ჟაკელი, უგრეხელიძე (4), ჯურკოვიჩი (8), კოვაჩი (1), პავიჩი (4), ბოისა (17), მარავიჩი (14), შუშტარშიჩი, ცქიტიშვილი (7)

კრკა: დრაჟოვიჩი (3), იევტოვიჩი, ტარანიში (2), პეტროვი (28), სმოდიში (13), ვისკოვიჩი (8), გრუმი (8), დრობნიაკი (13), ნაკიჩი (14)

არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს მატჩი, რომ არა „სლოვანის" მიერ ჩაფლავებული დასაწყისი. ნოვო მესტოს „კრკამ" 11:0 მოიგო საწყისი წუთები. ამ მონაკვეთში შესანიშნავად ითამაშა ნოვომესტოელთა ლიდერმა მატიაჟ სმოდიშმა, რომელმაც ორი სამქულიანი ჩააგდო.

„სლოვანის" ქართველი ფორვარდი ვლადიმერ ბოისა, თურმე, ითხოვდა, სმოდიში მე დამაჭერინეთო, მაგრამ მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა სხვაგვარად გადაწყვიტა.

მას შემდეგ, რაც სმოდიშმა „სლოვანის" კალათი აიკლო, მაჰორიჩმა მისი მეურვეობა ბოისას ანდო. ვლადიმერმა ბევრი არაფერი გაატანა ევროპის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო: სტარტზე დაკარგული ქულები ლიუბლიანელებს ძვირად დაუჯდათ. მართალია, მერე მატჩი თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა, მაგრამ არ არის „კრკა"-ის გუნდი, უპირატესობა, თანაც 11-ქულიანი, იოლად დათმოს.

ბოისამ კი ალკვეთა სმოდიშის თარეში, მაგრამ „სლოვანს" სხვა მხრიდან მოევლინა რისხვა. გამთამაშებელმა სიმონ პეტროვმა, რომელიც ახლახან აიყვანეს სლოვენიის ნაკრებში, შორი და საშუალო მანძილებიდან სროლებით დაარბია ლიუბლიანელთა კალათი. ამას „სლოვანი" ძირითადად ბოისას და მარკო მარავიჩის საშუალო მანძილიდან სროლებით პასუხობდა.

ბოისამ 17 ქულის გარდა 8 მოხსნა და ერთი პასი გააკეთა. მან ხუთი ნასროლი ორქულიანიდან სამი ჩააგდო. ხუთი სამქულიანიდან ერთხელ მიაღწია მიზანს, ხოლო ცხრა საჯარიმოდან რვა გამოიყენა. ბოისა თავისიანთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო და მოედანზე 28 წუთი გაატარა.

სასტარტო ხუთეულში დაიწყო შეხვედრა დავით უგრეხელიძემ, რომელმაც მოედანზე ცხრა წუთი დაჰყო. დათომ სამიდან ორი ორქულიანი ჩააგდო და სამი ბურთი მოხსნა. ფეხის ტრავმა მოირჩინა ნიკა ცქიტიშვილმა და მწვრთნელმა იგი 16 წუთი ათამაშა. მან ოთხიდან სამი ორქულიანი და ოთხიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო, თანაც, ერთი ბურთი მოხსნა.

მომდევნო მატჩს „სლოვანი" შაბათს გამართავს ლაშკოს „პივოვარნასთან", რომელმაც ბოლო ტურში ლიუბლიანის „ოლიმპია" დაამარცხა და პირველად ამ სეზონში წაართვა ლიდერობა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 27 | 25 | 2 | 2406:1990 | 52 |
| ოლიმპია | 27 | 24 | 3 | 2377:1707 | 51 |
| კრკა | 27 | 19 | 8 | 2134:1922 | 46 |
| სლოვანი | 27 | 14 | 13 | 1989:1978 | 41 |
| ტრიგლავი | 27 | 13 | 14 | 1986:2114 | 40 |
| სავინსკი | 27 | 12 | 15 | 2155:2165 | 39 |

7-12 ადგილები

ლოკა კავა — ზაგორიე 76:82, მარიბორი — ჰელიოსი 70:95, კრაშკი ზიდარი — როგლა ატრასი 102:63

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ზაგორიე | 27 | 16 | 11 | 2001:2086 | 43 |
| ჰელიოსი | 27 | 9 | 18 | 2088:2281 | 36 |
| ლოკა კავა | 27 | 8 | 19 | 1925:2114 | 35 |
| როგლა ატრასი | 27 | 8 | 19 | 1971:2178 | 35 |
| კრაშკი ზიდარი | 27 | 7 | 20 | 1972:2099 | 34 |
| მარიბორი | 27 | 7 | 20 | 1923:2293 | 34 |

## საბერძნეთი

XXVI ტური

ირაკლისი — ირაკლიონი 93:70, დაფნი — ოლიმპიაკოსი 60:69, პანათინაიკოსი — არისი 93:85, ესპეროსი — ნიარ ისტი 98:91, სპორტინგი — პერისტერი 61:82, პაოკ — აეკ 71:65, მარუსი — პანიონიოსი 72:66

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 26 | 21 | 5 | 1869:1642 | 47 |
| პანათინაიკოსი | 26 | 21 | 5 | 1990:1681 | 47 |
| აეკ | 26 | 19 | 7 | 1938:1740 | 45 |
| პაოკ | 26 | 16 | 10 | 1916:1813 | 42 |
| პერისტერი | 26 | 15 | 11 | 1935:1880 | 41 |
| პანიონიოსი | 26 | 14 | 12 | 1920:1891 | 40 |
| ირაკლისი | 26 | 14 | 12 | 1882:1789 | 40 |
| არისი | 26 | 13 | 13 | 1847:1850 | 39 |
| ნიარ ისტი | 26 | 11 | 15 | 1992:2099 | 37 |
| მარუსი | 26 | 11 | 15 | 1823:1873 | 37 |
| ირაკლიონი | 26 | 11 | 15 | 2008:1986 | 37 |
| დაფნი | 26 | 8 | 18 | 1829:2014 | 34 |
| ესპეროსი | 26 | 5 | 21 | 1783:2110 | 31 |
| სპორტინგი | 26 | 3 | 23 | 1719:2083 | 29 |

ამით საბერძნეთის ჩემპიონატის რეგულარული სეზონი დასრულდა. პლეი ოფი ორფაზიანია — თავიდან 5-12 ადგილებზე გასული გუნდები გამოარკვევენ ოთხ უძლიერესს, შემდეგ ეს ოთხეული რეგულარულ ჩემპიონატში 1-4 ადგილებზე გასულებს შეუერთდება და მეოთხედფინალიდან დაიწყებს საბერძნეთის ჩემპიონატის გამოვლენას. 5-12 ადგილებზე გასულები ასე დაწყვილდნენ:

**ირაკლისი — მარუსი**

**არისი — ნიარ ისტი**

**პანიონიოსი — ირაკლიონი**

**პერისტერი — დაფნი**

ეს გუნდები ორ მოგებამდე ითამაშებენ. შეხვედრები გაიმართება 28-29 მარტს, 4-5 აპრილს და, თუ საჭირო გახდა, 6-7 აპრილს. მეოთხედფინალი 11 აპრილს დაიწყება.

„ესპეროსი" და „სპორტინგი" პირველი დივიზიონიდან გავარდნენ.

## რეგულარული ჩემპიონატი

# სიეტლის მეოთხე, ელიოტის მეშვიდე

27 მარტი

**სიეტლი 82:90 სან ანტონიო**

სიეტლი: პეიტონი (21), ბერი (14), მაქსველი (6), ბეიკერი (21), ფოსტერი (12), ლუისი (6), მაკკოი, პატერსონი (2)

სან ანტონიო: ჯონსონი (9), ელი (6), ელიოტი (10), დანკანი (30 ქულა, 18 მოხსნა), რობინსონი (23 ქულა, 16 მოხსნა), კერსი (2), ჯეკსონი, დანიელსი (9), უოლკერი (1)

**იუტა 105:113 დალასი**

კვლავ არ უთამაშია ვლადიმერ სტეფანიას. არადა, „სიეტლის" ძირითადმა ცენტრმა ჰორას გრანტმა დილის ვარჯიშზე მხარი იტკინა და მატჩისას სათადარიგოთა სკამზე სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი იჯდა. „სონიქსის" მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა მის ნაცვლად ხუთეულში გრეგ ფოსტერი გაამწესა, რომელმაც 41 წუთში 12 ქულას და 6 მოხსნას მოუყარა თავი. ეს იყო და ეს, სტეფანია ფოსტერის შემცვლელადაც არ შეიყვანეს.

თუმცა, ვერც სტეფანია და, ალბათ, ვერავინ შეაჩერებდა იმას, რაც სიეტლის" ფარზე ხდებოდა. „სან ანტონიოს" დევიდ რობინსონმა და ტიმ დანკანმა ჯამში თითქმის იმდენივე [illegible]ხსნა გააკეთეს, რამდენიც მთელმა „[illegible]ნიქსმა" ერთად აღებულმა. ფარზე [illegible]ლებული უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, „სფურზი" მეოთხე მეოთხედის შუაწელში 71:75 აგებდა.

მერე კი სიეტლელთათვის კოშმარი დაიწყო. „სან ანტონიომ" 17:3 მოიგო ხუთწუთიანი მონაკვეთი. გარდატეხა შონ ელიოტმა მოახდინა, რომელმაც სამქულიანი ჩააგდო და „სფურზი" 80:76 დააწინაურა. აღსანიშნავია, რომ ელიოტმა მეშვიდე თამაში ითამაშა, რაც თირკმლის გადანერგვის შემდგომ მკურნალობას მორჩა.

„სიეტლმა" ზედიზედ მეოთხედ წააგო, თუმცა მის საპლეიოფო შანსებს არაფერი ემუქრება: სეზონის დასაწყისში მიღწეულ მოგებათა მარაგი ჯერ კიდევ საკმარისია.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| მაიამი | 43 | 26 | 62,3 |
| ნიუ იორკი | 43 | 26 | 62,3 |
| ფილადელფია | 41 | 28 | 59,4 |
| ორლანდო | 35 | 36 | 49,3 |
| ბოსტონი | 30 | 40 | 42,9 |
| ნიუ ჯერსი | 29 | 40 | 42,0 |
| ვაშინგტონი | 25 | 46 | 35,2 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა* | 47 | 23 | 67,1 |
| ტორონტო | 39 | 30 | 56,5 |
| შარლოტი | 38 | 31 | 55,1 |
| დეტროიტი | 36 | 33 | 52,2 |
| მილუოკი | 33 | 37 | 47,1 |
| კლივლენდი | 27 | 42 | 39,1 |
| ატლანტა | 25 | 44 | 36,2 |
| ჩიკაგო | 14 | 55 | 20,3 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| იუტა* | 47 | 22 | 68,1 |
| სან ანტონიო* | 45 | 25 | 64,3 |
| მინესოტა* | 43 | 26 | 62,3 |
| დალასი | 30 | 40 | 42,9 |
| დენვერი | 28 | 42 | 40,0 |
| ჰიუსტონი | 26 | 44 | 37,1 |
| ვანკუვერი | 19 | 50 | 27,5 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი* | 59 | 12 | 83,1 |
| პორტლენდი* | 51 | 18 | 73,9 |
| ფინიქსი* | 45 | 24 | 65,2 |
| საკრამენტო | 40 | 29 | 58,0 |
| სიეტლი | 40 | 30 | 57,1 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 53 | 24,3 |
| კლიპერსი | 14 | 57 | 19,7 |

*— გავიდნენ პლეი ოფში

## თურქეთი

XXVI ტური

ბეშიქთაში — გალათასარაი 80:71, ფენერბაჰჩე — დარუშაფაკა 74:84, ითუ — ულქერი 65:71, ქარშიაქა — მიდონოსე 110:88, ტელეკომი — ტროი 77:71, ქომბასანი — თოფაში 77:70, ოიაქი — ეფესი 60:87

თურქეთის რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში სტამბოლის „ულქერმა" თანაქალაქელ ითუ-ს 71:65 მოუგო. 16 წლის ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია, თუმცა გუნდის ათკაციან განაცხადში იყო და სათადარიგოთა სკამზეც იჯდა. „ულქერმა" რეგულარული ჩემპიონატი მესამემ დაამთავრა და პლეი ოფის მეორე წრეში სტამბოლის „დარუშაფაკას" შეხვდება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 26 | 21 | 5 | 2039:1834 | 47 |
| თოფაში | 26 | 19 | 7 | 1926:1763 | 45 |
| ულქერი | 26 | 18 | 8 | 1953:1827 | 44 |
| ქარშიაქა | 26 | 17 | 9 | 1994:1901 | 43 |
| ბეშიქთაში | 26 | 17 | 9 | 1947:1865 | 43 |
| დარუშაფაკა | 26 | 15 | 11 | 1913:1931 | 41 |
| გალათასარაი | 26 | 14 | 12 | 1979:1923 | 40 |
| ტელეკომი | 26 | 14 | 12 | 1966:1921 | 40 |
| ფენერბაჰჩე | 26 | 12 | 14 | 2023:1981 | 38 |
| ტროი | 26 | 11 | 15 | 2026:2063 | 37 |
| ქომბასანი | 26 | 9 | 17 | 1840:1871 | 35 |
| მიდონოსე | 26 | 7 | 19 | 1992:2152 | 33 |
| ითუ | 26 | 6 | 20 | 1793:2018 | 32 |
| ოიაქი | 26 | 2 | 24 | 1714:2055 | 28 |

პლეი ოფის პირველ წრეში ორი მატჩი გაიმართება, ერთმანეთს 7-10 ადგილზე გასული გუნდები შეხვდებიან:

**გალათასარაი — ტროი**

**ტელეკომი — ფენერბაჰჩე (1:0)**

„ტელეკომმა" რეგულარულ ჩემპიონატში ორჯერვე მოუგო „ფენერბაჰჩეს", ამიტომ სერიას 1:0 დაწინაურებით დაიწყებს. მატჩები 11, 13, 16 და, თუ საჭიროა, 18 და 20 აპრილს გაიმართება. სერია სამ მოგებამდე გაგრძელდება.

პლეი ოფის მეორე წრეში გუნდები ასე დაწყვილდებიან:

**ეფესი — ტელეკომი ან ფენერბაჰჩე (1:0)**

**თოფაში — გალათასარაი ან ტროი**

**ულქერი — დარუშაფაკა**

**ქარშიაქა — ბეშიქთაში**

„ეფესმა" რეგულარულ ჩემპიონატში ორ-ორჯერ მოუგო „ტელეკომსაც" და „ფენერბაჰჩესაც", ამიტომ სერიას 1:0 დაწინაურებით დაიწყებს.

პირველ დივიზიონს გამოეთხოვნენ სტამბოლის ითუ და ბურსას „ოიაქი".

## იტალია

XXVII ტური

ბენეტონი — ადეკო 86:56, ძუკეტი — აეროპორტი 86:84, ვიოლა — იმოლა 88:82, პეპსი — კანტუ 91:75, ვარეზე — სიენა 81:77, რეჯანა — სკავოლინი 82:83, მიულერი — ტრიესტი 83:71

**კინდერი 66:74 ფორტიტუდო**

კინდერი: აბიო (14), ეკონომუ (6), შტომბერგასი (14), სკონოჩინი (22), ბინელი (4), მ. ანდერსენი (4), დ. ანდერსენი (2), ანსალონი, რუინი

ფორტიტუდო: იარიჩი (15), ბაზილე (5), კარნიშოვასი (17), ს. ვრანკოვიჩი (2), ფუჩკა, მაიერსი (20), გალანდა (13), პილუტი, გაი (2), რუჯერი

ბოლონიური დერბის მოგებით „კინდერი" შეინარჩუნებდა „ფორტიტუდოს" დაწევის თეორიულ შანსს, მაგრამ წააგო და მეორე ადგილიც დაკარგა — ტრევიზოს „ბენეტონი" მილანის „ადეკოს" დამარცხების შემდეგ ცხრილში ალზევდა.

„კინდერს" არ ჰყავდა დაშავებული რიგოდო, ფროზინი, დანილოვიჩი და ბონორა. მიუხედავად ამისა, მან გულიანად დაიწყო თამაში და ტაიმი 35:34 მოიგო. შესვენების შემდეგ „ფორტიტუდომ" ერთი მონაკვეთი 17:4 მოიგო, ხოლო მარკო იარიჩმა ზედიზედ 12 ქულა მიითვალა.

დამთავრებამდე 42 წამით ადრე „კინდერი" სამი ქულით აგებდა. უგო სკონოჩინის შეეძლო გათანაბრება, მაგრამ სამქულიანი ააცილა და „ფორტიტუდომ" ამ ჩემპიონატში მეორედ მოუგო თანაქალაქელს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 27 | 25 | 2 | 2127:1841 | 52 |
| ბენეტონი | 27 | 20 | 7 | 2093:1905 | 47 |
| კინდერი | 27 | 19 | 8 | 2054:1831 | 46 |
| სკავოლინი | 27 | 17 | 10 | 2100:2010 | 44 |
| ძუკეტი | 27 | 16 | 11 | 2061:2028 | 43 |
| აეროპორტი | 27 | 15 | 12 | 1961:1999 | 42 |
| ვიოლა | 27 | 14 | 13 | 2038:2077 | 41 |
| სიენა | 27 | 13 | 14 | 1879:1874 | 40 |
| იმოლა | 27 | 13 | 14 | 2223:2226 | 40 |
| ტრიესტი | 27 | 11 | 16 | 2004:1989 | 38 |
| ვარეზე | 27 | 11 | 16 | 2032:2050 | 38 |
| მიულერი | 27 | 10 | 17 | 1967:2066 | 37 |
| პეპსი | 27 | 9 | 18 | 1910:2029 | 36 |
| ადეკო | 27 | 9 | 18 | 1924:2095 | 36 |
| კანტუ | 27 | 8 | 19 | 1900:2122 | 35 |
| რეჯანა | 27 | 6 | 21 | 2003:2134 | 33 |

## ესპანეთი

XXIX ტური

კასერესი — ტაუ 62:75, ბარსელონა — კახა სან ფერნანდო 64:48, კანარიასი — ბადალონა 79:78, ფორუმი — ფუენლაბრადა 82:78, ტდკ — რეალი 57:83, ესტუდიანტესი — ხირონა 79:71, ბრეოგანი — პამესა 65:62, კანტაბრია — უნიკახა 62:83, ხიხონი — ლეონი 77:71

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 29 | 21 | 8 | 2143:1914 | 50 |
| სან ფერნანდო | 29 | 21 | 8 | 2092:1950 | 50 |
| პამესა | 29 | 19 | 10 | 2329:2126 | 48 |
| რეალი | 29 | 19 | 10 | 2213:2029 | 48 |
| ტაუ | 29 | 19 | 10 | 2275:2104 | 48 |
| ესტუდიანტესი | 29 | 19 | 10 | 2111:2023 | 48 |
| უნიკახა | 29 | 17 | 12 | 2057:1998 | 46 |
| კანარიასი | 29 | 16 | 3 | 2092:2138 | 45 |
| ხირონა | 29 | 13 | 16 | 2137:2103 | 42 |
| ბადალონა | 29 | 13 | 16 | 2271:2267 | 42 |
| კასერესი | 29 | 13 | 16 | 2080:2127 | 42 |
| ბრეოგანი | 29 | 13 | 16 | 2106:2176 | 42 |
| ფორუმი | 29 | 12 | 17 | 1987:2087 | 41 |
| ფუენლაბრადა | 29 | 10 | 19 | 2127:2160 | 39 |
| ხიხონი | 29 | 10 | 19 | 1965:2178 | 39 |
| კანტაბრია | 29 | 10 | 19 | 1997:2252 | 39 |
| ტდკ | 29 | 9 | 20 | 1932:2067 | 38 |
| ლეონი | 29 | 7 | 22 | 1939:2154 | 36 |

## საფრანგეთი

XXVIII ტური

ანტიბი — ბეზანსონი 76:65, ევრე — დიჟონი 98:103, ვილერბანი — შამპანი 93:66, შოლე — მონპელიე 111:73, საონი — ნანსი 66:82, სტრასბური — პარი სენ ჟერმენი 68:61, გრაველინი — ლიმოჟი 79:80, ლე მანი — პო ორტეზი 60:69

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 28 | 22 | 6 | 2152:1903 | 50 |
| ლიმოჟი | 28 | 20 | 8 | 2101:1928 | 48 |
| პო ორტეზი | 28 | 19 | 9 | 2106:2031 | 47 |
| შოლე | 28 | 18 | 10 | 2115:2015 | 46 |
| პსჟ | 28 | 17 | 11 | 2060:1839 | 45 |
| საონი | 28 | 16 | 12 | 2078:1939 | 44 |
| ლე მანი | 28 | 16 | 12 | 2093:2026 | 44 |
| სტრასბური | 28 | 16 | 12 | 2018:1998 | 44 |
| დიჟონი | 28 | 15 | 13 | 2124:2058 | 43 |
| ნანსი | 28 | 12 | 16 | 1953:2003 | 40 |
| ბეზანსონი | 28 | 11 | 17 | 2048:2087 | 39 |
| ევრე | 28 | 10 | 18 | 2002:2113 | 38 |
| ანტიბი | 28 | 10 | 18 | 1877:2080 | 38 |
| გრაველინი | 28 | 9 | 19 | 1985:2208 | 37 |
| მონპელიე | 28 | 7 | 21 | 1919:2190 | 35 |
| შამპანი | 28 | 6 | 22 | 1923:2136 | 34 |

## კვირის მოთამაშე

### კევინ გარნეტი

**• მინესოტა •**




„მინესოტა ტიმბერვულვზის" ფორვარდი კევინ გარნეტი გახდა კვირის მოთამაშე და აჯობა დეტროიტელ გრანტ ჰილს, რომელიც ცოტათი ჩამორჩა ლაურეატს. გარნეტმა ამ სეზონში მესამედ მოიპოვა კვირის მოთამაშის ტიტული და ამ მაჩვენებლით გაუტოლდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" შაკილ ონილს.

გარნეტის „მინესოტამ" წინა კვირაში ოთხიდან ოთხი თამაში მოიგო, რომელთაგან სამი დამატებით დროში დამთავრდა. „ტიმბერვულვზმა" მოუგო „კლივლენდს" (111:107), „ბოსტონს" (109:106), „ნიუ ჯერსის" (116:115) და „ტორონტოს" (106:101). თავად გარნეტის მატჩში საშუალო მაჩვენებლები 35,3 ქულა და 10,0 მოხსნა გახლდათ. „ბოსტონის" წინააღმდეგ გარნეტმა კარიერის რეკორდი დაამყარა 40 ქულით, ამასთანავე თამაშიდან 23 ნასროლიდან 16 ჩააგდო. ორი დღის შემდეგ გარნეტმა 38 ქულა ჩაუგდო „ნიუ ჯერსის". საერთოდ, წინა კვირაში მინესოტელმა ფორვარდმა თამაშიდან 84-ჯერ ესროლა და მიზანს 57-ჯერ მიაღწია (67,9 პროცენტი).

გარნეტთან შედარებით ჰილის მონაცემები მოკრძალებულია. მატჩში საშუალოდ 27,8 ქულა, 8,3 მოხსნა და 6,0 პასი. ამასთან, „დეტროიტმა" სამი მატჩი მოიგო და ერთი წააგო.

გარნეტისა და ჰილის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ კვირის მოთამაშეობისთვის ბრძოლას აზრი დაეკარგა. ამის მიუხედავად, ტიტულის კანდიდატებად მაინც განიხილებოდნენ ედი ჯონსი („შარლოტი"), რეი ალენი („მილუოკი"), დარელ არმსტრონგი („ორლანდო"), ალენ აივერსონი („ფილადელფია") და მიჩ რიჩმონდი („ვაშინგტონი").


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

REUTERS ამსტერდამიდან




# მოყვარულთა დალოცვა

ჰოლანდიაში გაჩქარებით მიმდინარეობს მოახლოებული ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება. ქვეყნის უმთავრეს და უახლეს საფეხბურთო ადგილას, „ამსტერდამ არენაზე" ევრო-2000-ის ოფიციალური წარდგენა გაიმართა. მოედანზე ვარსკვლავები არ გასულან, მიდგომა და პოზიცია სახალხო იყო — ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების სამოსი მოყვარულმა ფეხბურთელებმა მოირგეს. ჭეშმარიტად, ფეხბურთი სახალხო თამაშია.

# სვასტიკა

გულშემატკივრებს რას გაუგებ, ისინი მშვიდებად და გიჟებად იყოფიან. სოფიის ცესკას გულშემატკივარი თავის საფეხბურთო განწყობას პოლიტიკურსაც უმატებს — ცესკურ სამოსზე ფაშისტური ნიშანი გამოუხატავს და ფიქრობს, რომ სოფიურ დერბიში „ლევსკის" დამარცხებაში, ადოლფ ჰიტლერიც დაეხმარება.

REUTERS სოფიიდან



REUTERS ნიუ იორკიდან




# ლოთარი ნიუ იორკში

ლოთარ მათეუსი ამერიკაშია და ნიუ იორკისა და ნიუ ჯერსის ერთიან გუნდში, „მეტროსტარზში" თამაშობს. თამაშობს და ერთობა კიდეც, თავის მეგობარ ქალთან, მარენ მიულერ-ვოლფარტთან ერთად „მედისონ სკვერ გარდენში" მისულა და „ნიკსის" თამაშსაც დასწრებია. იქაურ ცენტრს, პატრიკ იუინგს კი ლოთარისთვის „ნიკსის" მაისურა უჩუქებია.

| ინგლისი | |
|---|---|
| II დივიზიონი | |
| რექსჰემი 3:1 სკანთორპი | |
| ბრისტოლი 2:2 სტოკი | |
| ჩესტერფილდი 0:1 ბერი | |
| უიკომბი 1:0 ჯილინგემი | |
| III დივიზიონი | |
| კარლაისლი 2:0 [illegible] | |
| მენსფილდი 0:0 როჩდეილი | |
| ამხანაგური მატჩი | |
| მალტა 0:3 ჩრდ. ირლანდია | |
| 0:1 ჰიუზი (13პ), 0:2 ქუინი (15), 0:3 ჰილი (41) | |

# მესქვოშე ბარადა

სქვოშისა იცით რამე? სქვოში არის კედელზე ჩოგბურთის თამაშის მსგავსი რამ, სადაც ინგლისელს ფეხი დაუდგამს, მეტად პოპულარული რამ. სქვოშის შეჯიბრებები დიდ მაღაზიებსა და საავადმყოფოებში იმართება ხოლმე. ეგვიპტელთა განთქმული მესქვოშე აჰმედ ბარადა კი ამაყად გადმოდის მანქანიდან, ბოლო შეჯიბრებანი მოუგია და მსოფლიო რეიტინგში მესამე ადგილზე დამკვიდრებულა.



# შტრუნცი კინოში

REUTERS სოფიიდან

კულტურული ღონისძიება: „ბაიერნის" ფეხბურთელი ტომას შტრუნცი და მისი ცოლი კინოპრემიერაზე მისულან. პოპულარული გერმანელი კომიკოსის ოტო ვალკესის მონაწილეობით გადაღებულ ხოხმას „ოტო - კატასტროფათა ფილმი" პრემიერის დღიდანვე უამრავი ხალხი აწყდება.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli